ჯვარი

5 2021

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
21005
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 63-ე წელი | სექტემბერი-ოქტომბერი | №5 | 2021 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2021

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

ᲛᲝᲬᲘᲚᲔ, ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ

ᲑᲐᲦᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ – ლექსები 3
ᲝᲚᲘᲙᲝ ᲟᲦᲔᲜᲢᲘ – გვირილები (მონოპიესა) 11
ᲚᲔᲚᲐ ᲙᲣᲠᲢᲐᲜᲘᲫᲔ – ლექსები 33
ᲡᲐᲚᲝᲛᲔᲐ ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ – ლექსები 43
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ – ჩანაწერ-ჩანახატები 51
ᲓᲐᲗᲝ ᲑᲣᲐᲫᲔ – ლექსები 63
ᲛᲔᲚᲘ ᲗᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔ – მოთხრობები; ლექსები 68
ᲚᲐᲚᲘ ᲤᲠᲣᲘᲫᲔ – ლექსები 76
ᲓᲐᲚᲘ ᲗᲔᲓᲝᲠᲐᲫᲔ – მწვანე მელიების სამფლობელო (ზღაპარი) 85
ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲝᲒᲠᲐᲭᲐᲫᲔ – ლექსები 90

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲐ, ᲞᲣᲑᲚᲘᲪᲘᲡᲢᲘᲙᲐ

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲭᲐᲫᲔ – აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემა
ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ ტექსტებში 93
სხვად ქცევის სევდა ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ
პროზაში და ქართული სინამდვილე 100
გზა ადამიდან ადამიანამდე 105
ოკუპანტის სახე „არსენა მარაბდელში“ 108

ᲬᲘᲠᲘᲚᲘᲡᲘ

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲐᲠᲐᲛᲘᲫᲔ – გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე 114



ᲒᲐᲚᲐᲗᲔᲠ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲚᲝᲛᲗᲐᲜ

სალამი, ლომო, ჩვენ შევხვდით კიდევ,
მდუმარედ წევხარ გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს,
დამძიმებული დარდით და ფიქრით...
სევდით იხსენებ დროს უნეტარესს,
ტყეებს მოხატულს ფერად ღრუბლებით,
ახლა კი ჩუმად ვუმზერთ ერთმანეთს,
ერთმანეთს ჩუმად ვესაუბრებით...
ჩვენ ერთნაირი გვერგო სვე-ბედი,
მეც მიმაჯაჭვეს დროის გალიას
და ამ დღეების გისოსებიდან
გაქცევას ვცდილობ დიდი ხანია...
შენც შორ სივრცეებს იმედით ზვერავ,
ზოგჯერ მოგივლის ბრძოლის სურვილი,
უდაბნოსავით მცხუნვარე მზერას
კედლებს მიაბჯენ ორლესულივით...
სიბრაზით ბრდღვინავ ფაფარაშლილი
და ელვასავით უვლი გისოსებს,
მაინც არ არის შენი საშველი,
მაინც არავინ არ შეგიცოდებს...
ბრუნდები უკან ლომის აჩრდილი,
ვინ განუგეშებს ბედის მომჩივანს?!
განწირული და მწარედ დასჯილი
ისევ კუთხეში წვები მორჩილად...
სალამი, ლომო, ჩვენ შევხვდით კიდევ,
მე – გარეთ, შენ კი – გალიის შიგნით,
დაღლილი თავი თათებზე გიდევს,
დამძიმებული დარდით და ფიქრით.

ქართლი

(ეტიუდი)

ყვითლად მოქარგულ ქართლის გორებზე
კვლავ ვიღაც გვიხმობს ქარის საყვირით,
თავზე დაგვბრუნავს ზეცის მორევი
და ღამეს უჩანს მთვარის საყელო...
მივდივართ, შორით ჩნდება სურამი,
ზურაბის დედის მარადი სევდით,
ასე ლამაზი და სასურველი
ცას შემსხვრეული ქედების ხედი...
მივდივართ, ქარზე წამოშლილ მინდვრებს
თითქოს ეზრდებათ ფრთები ალვების,
რომ ღამ-ღამობით ცაში აფრინდნენ
მოცულნი უცხო იდუმალებით...

სტამბულში

გამოჩნდა ბოსფორი და ვიწრო ყურეში
შევდივართ,
ჩვენს ზემოთ ხიდია გაბმული,
ფერდობი გადაშლილი მოჩანს ყურანივით,
ირგვლივ ილანდება ბებერი ისტამბული...
შენ იყავ პირველი მტერი მოსისხარი,
სხვაც ვინმე ამ ქვეყნად ყოფილა თუკი,
ყაყანებს, ფუთფუთებს ქუჩებში ისლამი,
– სალამ ალეიქუმ! – ხელს მართმევს თურქი...
ქუჩა ჰგავს ამღვრეულ და ფერად მდინარეს,
ჩადრიდან გოგო მიმზერს მომღიმარი,
სად ზეცა უკავია უთვალავ მინარეთს
და კრიალოსანით ერთობა იმამი...
მიპატიებია სისხლი და ტკივილი,
ვივიწყებ წარსულში რაც იყო, რაც არი,
წინ მხვდება მოლების გაბმული კივილი
და თეთრი აია სოფიას ტაძარი...
ტრიალებს ბუღი სულის შემხუთავი,
მზის ცხელი დისკო ჰკიდია მაღლა,
შუადღის ლოცვანს აღავლენს სულთანი
და ხელაპყრობილი უჩოქებს მაჰმადს...
მთების გადაღმიდან მოცურავს ღრუბელი

და ქარი ქუჩის მტვერს სახეში მაშლის;
ისტამბულ, მშვიდობით!
სისხლის აუღებლად,
მარჯვენის მოუჭრელად ვბრუნდები სახლში...

მეუღლეს

ამღვრეულია უკვე ამინდი,
მხრებზე მოისხეს ნისლი ქედებმაც, –
ვერ მოგიტანე ქართლის მინდვრები,
ვერ ჩამოვკიდე ოთახს კედლებად...
ვერც ღამეული მთვარის ნათელი
გამოვამწყვდიე სახლის წყვდიადში
და ვერ აგინთე სანთლად ზამთარიც
თავის სიწმინდით და სიდიადით.
ამოვსებული ტალღების ბორგვით
ვერ დაგიფინე კართან ზეფირი,
ვერ მოგილალე ირმების ჯოგი,
ვერც ვარსკვლავები, როგორც შეგპირდი ...
.....
ამღვრეულია უკვე ამინდი,
მხრებზე მოისხეს ნისლი ქედებმაც, –
აყვავებული ქართლის მინდვრები
ვერ ჩამოვკიდე ოთახს კედლებად...

თრთვილით ირთვება უკვე ასკილი...

N-ს

თრთვილით ირთვება უკვე ასკილი,
მზეც დასავლისკენ მისდევს ტრამალებს;
მოდი, ძვირფასო, უკანასკნელად
და შენი თმების ბინდში დამმალე...

მოდი მილეულ მთვარის კელაპტრით
და ფოთოლდამჭკნარ სხივთა იელით;
ოდესღაც ჩემთან, ვით კლეოპატრა,
თქვი, ხომ იყავი შენც ბედნიერი?!

განქარდა ჟამი ვარდისფურცლობის,
ის თეთრი ცხენიც აღარ ჭიხვინებს

და გასავლელი გზები, უცნობი,
ჩამოღამდნენ და ჩამოიჭირხლნენ...

თრთვილით ირთვება უკვე ასკილი,
მზეც დასავლისკენ მისდევს ტრამალებს;
მოდი, ძვირფასო, უკანასკნელად
და შენი თმების ბინდში დამმალე...

საგაზაფხულო ეტიუდი

თოვლი დაბერდა... და იცრემლება,
ისევ უმატა ირგვლივ ჟინჟვლამაც,
მალე ყვავილი – შუქი ტყემლების
შემოენთება ველს გარიჟრაჟად...
და ბალახების მწვანე ღვართქაფი
გადითქრიალებს მინდვრებზე ისევ,
საგაზაფხულო ციდან ღმერთებიც
კვლავ გადმოფენენ აპრილის ნისლებს...
და აიშლება შავად მდინარეც,
ბორგვით ჩაუვლის ძილგამკრთალ ნაპირს
და გრძელი ზამთრის ძილით მძინარი
ისევ აავსებს ხეობას ხაფით...
თოვლი დაბერდა... და იცრემლება,
ისევ უმატა ირგვლივ ჟინჟვლამაც;
მალე ყვავილი – შუქი ტყემლების,
შემოენთება ველს გარიჟრაჟად...

იესოს დაბრუნება

ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...
დაბზარულია სივრცის კედლები
და სივრცის იქით მოჩანს სხვა ხედი,
შორს კი ნისლებში ელავს ბეთლემი,
როგორც სამყაროს გადასახედი...
გადაჰკრავს რიჟრაჟს ფერი იოდის,
ღამე დაიმსხვრა და დაიბზარა
და თვით იუდა ისკარიოტელს

თავის ღალატი თვითონვე ზარავს...
მიდის იესო და მრევლი მისდევს,
ციდან მოისმის გუგუნი ზარის, –
ისევ ბრუნდება ნატანჯი ქრისტე,
ო, გიხაროდენ, იერუსალიმ...
ზეცა გრგვინავს და მიწა ზანზარებს,
ელვით ეშვება მთებზე ავდარი;
მიდის იესო ისევ ნაზარეთს,
ჩვენთვის ჯვარცმული და კვლავ აღმდგარი...

ხეები ქალაქში

საკუთარ ზეცის წართმევის შიშით
აშრიალებენ შერჩენილ იმედს
და დგანან მაღალ სახლების ჩრდილში
მონატრულები ქარებს და წვიმებს...
სიზმრად ხედავენ, მზე როგორ ავსებს
ჩიტთა გალობით დახუნძლულ ტყეებს
და ენატრებათ მინდორში გასვლა
მტვრიან ქალაქში დამწყვდეულ ხეებს...

ცხოვრება

არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში – შხამი, შხამში – ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...
და სიყვარული, რომ გვწამდა გუშინ,
ჩვენგანვე მოკვდა და გაიაფდა,
შემოგვპარვია მალულად სულში
თვითონ იუდა და კაიაფა...
ლამის მოყვარე გავაკრათ ჯვარზე
ჩვენი გესლის და შურის ლურსმნებით,
დაუსრულებლად გრძელდება ასე,
ბრუნავს და ბრუნავს კვლავ კარუსელი...
არეულია ნათელში ბინდი,
ალერსში – შხამი, შხამში – ცდუნება,
დრო კი თავის გზით მიდის და მიდის,
საკუთარ თავში დასაბრუნებლად...

ფიქრები კრწანისის ველზე

ისევ მიღვიძებს ტკივილი ძველი
მოუშუშებელ დარდს და იარებს,
ყაყაჩოებად სისხლს აფრქვევს ველი
და კოცონივით მზეზე ბრიალებს...
ხმალთა კვესებით, ყიჟინით, გრგვინვით,
შეურიგებელ გუგუნით, ზარით,
ჩემ წინ დაეცა სამასი გმირი,
„მე ერთადერთი გადავრჩი მგზავრი...“
კიოდა ქარი, ტიროდა ქარი
და ცახცახებდა დაჭრილი არე,
ო, ვერ შევძელი, ვერ მივუსწარი,
ვერ ვუერთგულე, ვერ მივეხმარე...
თავს მადგას მათი მაღალი ჩრდილი
და მავედრებენ მომავლის ღმერთებს;
მე – შერცხვენილი და თავდახრილი,
გადარჩენილი სამას მეერთე...
მამულო ჩემო, არასდროს ვეძებ,
ბედმა ცხოვრება გამიიოლოს,
მე მათ მაგივრად უნდა დავეცე,
მე მათ მაგივრად უნდა ვიომო...
ისევ მიღვიძებს ტკივილი ძველი
მოუშუშებელ დარდს და იარებს;
ყაყაჩოებად სისხლს აფრქვევს ველი
და კოცონივით მზეზე ბრიალებს...

სამასი არაგველი

სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც,
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,
ფშავ-ხევსურეთის ჯვარ-ხატის ყმები...
ქარქაშში წკრიალებს სამასი მახვილი,
ერთმანეთს ჟღარუნით ამხნევებს ფარ-ხმალი
და მთვარე, სამასი ვაჟკაცის მნახველი,
მწვერვალთა გადაღმა ეშვება ფართხალით...
და მზედ ანთებული სამასი გული
ერთად ძგერს მტრის ხილვის და ძლევის ფიქრით,
სამასი რჩეული, სამასი ლომგული

კრწანისის ველისკენ ყიჟინით მიქრის...
რამდენი ხირჩლა და რამდენი ბეწინა
და კიდევ ვინ მოთვლის სხვა გმირი რამდენი,
სამასი გრგვინვა და სამასი თავგანწირვა,
მამულისთვის ანთებული სამასი სანთელი...
სამასი რისხვა და სიკვდილი ურჯულოსთვის,
დღეს ციდან მოგუგუნე სამასი ზარი,
ქვითკირით ნაშენები სამასი ციხე-ბურჯი,
ხსოვნაში ჩაუქრობ სინათლედ მდგარი...
სამას ცხენს სამასი მხედარი მოაგელვებს,
ფლოქვების თქარუნზე კრთებიან მთებიც,
ბარისკენ ეშვება სამასი არაგველი,
არაგვის ხეობის ჯვარ-ხატის ყმები...

თაია

მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია;
– მაგწონსა ქალავ ქალაქის ქუჩები?
– ძალიან, ძალიან კაია...
– აქაურ ვაჟებს შენ ვერ გადურჩები!
– ნუ ამბობ, თუ მიხოლ, გაია!..
მთაწმინდაზე ყვავიან ალუჩები,
ღიმილით მომყვება თაია.

შემოდგომა
(ეტიუდი)

მილეული მზე ბრწყინავს ცის თაღზე,
სივრცეს აცვია ნისლის არილი
და შემოდგომის დაცლილი ბაღი
დგას გაძარცული დედოფალივით...
ჰგვანან ხეები ხელებაშვერილ
მლოცველებს, ქცეულთ უცხო დარდებად
და მოსდებიან ჭალებს შაშვები
საღამოს ბინდის შესამატებლად...
და დუმს მინდორი, სად მოსისინე
ქარი ბინადრობს ახლა მარტოდენ
და სადაც მხოლოდ თივის ზვინები
უკვე შეცივნულ მიწას ათბობენ...

.....
მილეული მზე ბრწყინავს ცის თაღზე,
სივრცეს აცვია ნისლის არილი
და შემოდგომის დაცლილი ბაღი
დგას გაძარცული დედოფალივით...

მონღოლეთში

...მდინარის პირზე მთვლემარე მონღოლს,
(ჩუმ შთამომავალს ქვეყნის ამკლების!)
მაღლით ესევა ქინქლა და კოღო
და ტანთ ახურავს ჩრდილი აქლემის...
და, ვით სჩვევიათ მონადირეთა,
რომ არ დაკარგონ ნადავლი, ისე,
ზოგჯერ იღვიძებს, – თითქოს მღიმედან
თვით თემურ ლენგის თვალები მიმზერს...
...ამ ტრამალიდან, მამულო, მრავალ
წლების გადაღმა, სადაც სისხლიან
შენს წარსულს სძინავს, შესუდრულს შავად,
არ გაგიხსენო, არ შემიძლია...
იყო ხმაური, ხმალთა კვესება
და თქარათქური ცხენთა უცხოთა,
თავზე მუმლივით ვინ გესეოდა,
თვით ზეციერმაც არა უწყოდა...
და გახვეული ცეცხლში, ღადარში,
შეურიგებელ ყიჟინით, ბრძოლით,
შენ მოდიოდი და შენ გადარჩი,
„შენ, სასწაულო, სასწაულთ შორის“...
ო, არაფერი არ არის მკვდარი, –
იმ ჭრილობებით მტკივა სხეული,
ის შორეულიც კვლავ დაჰქრის ქარი,
მიხმობს ბრძოლებიც ის შორეული...
ჩემზე გატეხეს შუბი და ხმალი,
გულს გამიყარეს მწარედ ისარი, –
გადაუხდელი მაწუხებს ვალი,
რა ვქნა, მაშინ თუ ვერ მოგისწარი...
.....
დღეს კი სიცხისგან მთვლემარე მონღოლს,
(ჩუმ შთამომავალს ქვეყნის ამკლების!)
მაღლით ესევა ქინქლა და კოღო
და ტანთ ახურავს ჩრდილი აქლემის...

ოლიკო ჟღენტი

გვირილები

სულიკო ჟღენტის კინოსცენარების მოტივებზე

(მონოპიესა ორ მოქმედებად და 9 ეპიზოდად)



სცენის მარცხენა ნაწილში სხვადასხვა მაკეტია განთავსებული, რაც სპექტაკლის მსვლელობისას მოძრავი დეკორაციის ფუნქციას იძენს. მაკეტებს შორის არის: თბილისის კინოთეატრი „აპოლო“, „თბილისური ეზო“, „ფუნიკულორი“, „სამხედრო ჰოსპიტალი“, „კინოსტუდიის პავილიონი“, „ბათუმი“. თითოეული მაკეტის „გაცოცხლება“ და „ამოქმედება“ მიზანსცენის (ეპიზოდის) მიხედვით უნდა მოხდეს.

დეკორაციის წინ შტატივზე დამაგრებული კინოკამერა დგას, რომლის ობიექტივიც, მოქმედების შესაბამისად, კონკრეტული მაკეტისკენ იქნება მიმართული. დეკორაციის ამოძრავებას მაყურებელი ცოცხალ რეჟიმში (პარალელურად), დიდ ეკრანზე ადევნებს თვალს.

სცენის სიღრმეში შავ ფონზე თეთრი ცარცით მათემატიკური „ფორმულებია“ გამოსახული, ერთგან ვკითხულობთ: თემური + ნათელა = სიყვარულს. იქვე, რკინის ძელზე მოზრდილი ზომის თეთრი ბუშტია დაკიდებული.

სცენის მარცხენა მხარეს – რამპასთან მუქი ფერის ხის საწერი მაგიდა და სკამი დგას.

მარჯვენა მხარეს სიღრმეში – დიდი ზომის ეკრანია. ეკრანის წინ 4 ცალი მუქი ფერის ტუმბო (კუბის ფორმის) დგას, ეკრანის გვერდით კედელთან ღია გარდერობი დგას (გორგოლაჭებზე), რომლის ძელზე მუქი ფერის სამხედრო შინელი, პიჯაკი და ჰალსტუხია დაკიდებული, იქვე, ძველი ყაიდის სტუდენტური პორტფელი დევს.

ეკრანის მოპირდაპირე მხარეს დიდი სავარძელი დგას, მაღალი საზურგით. სავარძლის უკან – შემაღლებულ ადგილას კინოპროექტორია მოთავსებული; სავარძლის გვერდით მაღალ ტუმბოზე ძველი საბეჭდი მანქანა დგას. სავარძლის უკან კინოფირების შესანახი საშუალო ზომის რკინის ყუთია (კონტეინერი) მოთავსებული.

სცენაზე გამნათებელი და კინოოპერატორი გამოჩნდება. ეს უკანასკნელი შტატივზე ამაგრებს კინოკამერას, რომლის ობიექტივს ერთ-ერთი მაკეტისკენ მიმართავს. სცენის ერთ მხარეს გამნათებელი აპარატურას ასწორებს. მომზადების პროცესში ერთვება სპექტაკლის მონაწილე ერთადერთი მსახიობი მამაკაციც. დარბაზი თანდათან ბნელდება, მხოლოდ ერთი პროჟექტორის შუქი ანათებს მკვეთრად.

სცენის სიღრმეში მდგომი მსახიობი ძველი მუყაოს საქაღალდეებს იღებს და საწერი მაგიდისკენ მიემართება, უცებ შეყოვნდება, პროჟექტორის ძლიერი შუქი თვალს ჭრის. მსახიობი ცდილობს დარბაზის მიმართულებით გაიხედოს.

მსახიობი *(ანიშნებს ხელით)* – შუქი გაასწორე, გესმის?! დათო!..

შუქის ძლიერი ნაკადი თანდათან მოწესრიგდება. მსახიობი საქაღალდეებს მაგიდაზე აწყობს, ზემოდან მტვერს მსუბუქად დაბერტყავს, ოდნავ ჩაახველებს, შემდეგ სათვალეს გაიკეთებს და საქაღალდეების გახსნას შეუდგება; იქიდან ამოღებულ კინოსცენარებს გულისყურით სათითაოდ ათვალიერებს, ზოგჯერ გადაშლის, სახეზე ცნობისმოყვარობა ეხატება.

მსახიობი (*კითხულობს*): სულიკო ჟღენტი – კინოსცენარები (პაუზა), „ჯარისკაცის მამა“... *(გვერდით გადადებს);* „ღიმილის ბიჭები“... *(გადადებს)* „ნერგები“... *(გადადებს)* „წუთისოფელი“... „ცხოვრება დონ კიხოტ ლამანჩელისა“... *(ოდნავ ეღიმება)*, „ჟამი მტრობისა, ჟამი სიყვარულისა“ (*ჩაფიქრდება*).

ერთ-ერთი საქაღალდიდან მომცრო ზომის გამხმარი გვირილების კონა გადმოვარდება. მსახიობი მცენარეს ხელში აიღებს, დახედავს, ეღიმება, საჩვენებელი თითით ფრთხილად შეეხება და ისეთივე სიფრთხილით ჩადებს საქაღალდეში, შემდეგ მეორე საქაღალდეს გახსნის...

მსახიობი *(აგრძელებს კითხვას)*: „ფესვები“... პიესა „მიწის შვილები“ – რუსთაველის თეატრის დადგმა... რეჟისორები: მიხეილ თუმანიშვილი, რობერტ სტურუა... 1970 წელი... „იბერიული ბალადა“...

მსახიობი *(კითხულობს გაკვირვებით)*: „უცნაური საუკუნეა, ხალხებს აახლოებს, ადამიანებს კი აშორებს...“ *(პაუზა)* ბოლო კინოსცენარი... არ გადაღებულა... (*ჩაილაპარაკებს)*

მსახიობი მაგიდაზე გაფანტულ სცენარებს თავს მოუყრის, საქაღალდეებში ჩააწყობს და გულმოდგინედ შეკრავს. უცებ ქვემოთ დაიხედავს და მაგიდის უჯრას გამოწევს, რაღაცას შენიშნავს, ხელში აიღებს – სათამაშო თვითმფრინავი აღმოჩნდება, მსახიობს ეღიმება.

მსახიობი *(ნოსტალგიურ განწყობაზე, დარბაზისკენ):* ბავშობიდან მფრინაობაზე ვოცნებობდი... ვერ წარმომედგინა ცხოვრება თუ არ გავხდებოდი მფრინავი *(სათამაშო თვითმფრინავს მაგიდაზე ფრთხილად გაასრიალებს*), და, ამაში, დიდი როლი ითამაშა კინომ... განსაკუთრებით მფრინავებზე გადაღებული ფილმები მომწონდა...

მსახიობი სკამიდან დგება, თვითმფრინავს ხელში აიღებს და ნელი მოძრაობით სავარძლის გვერდით – ტუმბოზე „დაუშვებს“, შემდეგ კინოპროექტორის ღილაკს ხელს დააჭერს, რა დროსაც ელექტრონის შუქი თეთრ ეკრანს მიანათებს. მსახიობი რკინის კოლოფიდან ფირს ამოიღებს, გაშლის და პროექციის შუქზე დააკვირდება.

მსახიობი *(მაყურებლისკენ):* ჩემს ცხოვრებასაც რომ ვაკვირდები, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოსდა უკვე ნანახ ფილმს ვუყურებდე...

ისმის მუსიკის ხმა. შუქი ეცემა თბილისის კინოთეატრის „აპოლო“ მაკეტს (ოპერატორი ოდნავ აამოძრავებს კინოობიექტივს). პარალელურად ეკრანზე ამოძრავდება „აპოლოს“ მაკეტი. მსახიობი

კინოთეატრის შენობის წინა „ფასადს“ მოხსნის, რითაც, ოპერატორის კინოკამერას დეკორაციის „ფოიესა“ და „კინოდარბაზში“ მოძრაობის საშუალებას მისცემს.

კინოთეატრი „აპოლოს“ ვიდეო-რგოლის დასრულების შემდეგ ეკრანზე ჩნდება ესპანეთის სამოქალაქო ომის კადრები (უხმოდ) – 1930-იანი წლის კინოქრონიკები. მსახიობი დიდი ეკრანის შორიახლოს დგება და ინტერესით უყურებს კინოქრონიკას.

მსახიობი (*ხალისით***)**: მფრინავობამ ისე გამიტაცა, რომ ესპანეთის სამოქალაქო ომშიც კი გადავწყვიტე მოხალისედ წასვლა... მახსოვს მთელი კლასი ვაპირებდით ესპანეთში გაპარვას. ღამით სულ მაბოდებდა: გვადალახარა, ვალენსია, ასტურია, ტაბო, მადრიდი, ბარსელონა... *(აღტაცებით)*

პროჟექტორის შუქზე, მაკეტი „თბილისური ეზო“ განათდება. მსახიობი „ფრენა-ფრენით“ (ხელებგაშლილი) მაკეტისკენ გაემართება და მის ფონზე დადგება.

მსახიობი *(სახით კინოკამერისკენ, ხმამაღლა დაიძახებს)***:** „ღიმილის ბიჭები“. ეპიზოდი #1, დუბლი – 1, ვარდისუბანი.

ყურადღებით ათვალიერებს მაკეტს „თბილისური ეზო“. მისი სახე ერთდროულად გაოცებას, სევდას და ბავშვურ აღტაცებას გამოხატავს.

მსახიობი *(აჩვენებს მაყურებელს)*: ჩვენს ქუჩას ვარდისუბანი ჰქვია... ეს კი ჩვენი ეზოა, აი, ჩვენი სახლიც... დედაჩემს თეთრეული გაუფენია *(თითით ეხება თოკს)*... აქ ჩემი კლასელი – ბაადური ცხოვრობს – ჩვენ საერთო კედელი გვყოფს... აგერ – ძია დავითის აივანიც!... *(აჩვენებს)*

მსახიობი ღრმად ჩაისუნთქავს ჰაერს და დარბაზს მიმართავს.

მსახიობი *(ხალისიან განწყობაზე)*: არაფერი სჯობს ჩვენი სახლის აივნიდან თბილისური დილის ნახვას *(ხელს გაიშვერს)* ჯერ შორს აღმართული კავკასიონის თეთრი მწვერვალები მოვარაყდებიან ვარდისფრად, მერე გორაკებზე შეფენილი ნაძალადევი განათდება, ბოლოს კი მტკვრისპირა უბნებს ეწვევა დილა...

სცენა მთლიანად განათდება. შემოდის ეზოს ჟრიამულის და ქუჩის ხმები.

მსახიობი *(მხიარულად)*: ახლა ჩვენს ეზოში სახედარი შემოჩინდრიკდება და მთელ სახლს გააღვიძებს მემაწვნის ძახილი *(პირთან ხელს მიიტანს და მთელ ხმაზე გაყვირის)*: მაწონი! მაწონიიიი!

პაუზა.

მსახიობი *(გასძახებს მთელი ხმით):* მალხაააზ!.. ლევაااან!.. გოგიიი!.. *(ოდნავ შეყოყმანდება)* ჭკუისკოლოფა! *(ხელებით უსტვენს)* ბაადუუურ!.. ბოლოკااა!.. ვილიიი!..

ეკრანზე მაკეტის პროექცია: „თბილისური ეზო“. მსახიობი მაკეტთან მიდის და „ეზოს“ თაღში (ჭრილში) სათამაშო „პობედა“ ავტომობილს გაატარებს, რასაც ოპერატორის კინოკამერა „აფიქსირებს“. ამ მოძრაობას პარალელურად ეკრანზე უყურებს მაყურებელი.

ეკრანის ჩაბნელება. მსახიობი სცენის სიღრმეში, მაყურებლისკენ ზურგით დგება და შავ ფონზე თეთრი ცარცით მათემატიკური ფორმულის გამოყვანას იწყებს.

მსახიობი *(ხმამაღლა)*: სინუს... კოსინუს... ტანგენს... კოტანგენს... *(შემობრუნდება დარბაზისკენ)*: ეს ჩემი მეზობელი ბაადურია და სკოლაში წასვლის წინ მათემატიკის ფორმულებს იმეორებს... *(პატარა გოგონას წვრილი ხმით გამოჯავრება):* ანა უნდ მარტა ბადენ... ანა უნდ მარტა ბადენ... *(ბრაზმორეული ხელებს ყურებთან იფარებს)* ეს ჩემი დაა, გააწყალა გული... *(აგრძელებს გამოთ-*

ქმით) ზვიადაურო, ძმობილო /რად არ მიჩვენებ შენს სახეს! *(ისევ გოგონას წვრილი, გაბმული ხმით)* ანა უნდ მარტა ბადენ! ანა უნდ მარტა ბადენ!

პაუზა.

(ოდნავ ჩაახველებს, ხმას იცვლის და დაბოხებული ხმით) დილა მშვიდობისა! გაგაცნობთ უკანასკნელ ამბებს! *(ხელით მიანიშნებს „აივნისკენ“)* ახლა უკანასკნელი ცნობების დროა... ძია დავითი პროფესიით რადიოს დიქტორია და სამუშაოზე წასვლის წინ კითხვაში ვარჯიშობს ხოლმე. ამიტომ ჩვენს ეზოში რადიოს არავინ უსმენს – ამბებს პირდაპირ ძია დავითის აივნიდან ვისმენთ... *(მნიშვნელოვნად)* საზღვარგარეთის უკანასკნელი ცნობები ჰიტლერის, მუსოლინისა და შეიარაღების შესახებ ლაპარაკობს... *(დატუქსვით)*: დაუწიე, ბიჭო, ხმას! მომასმენინე, რას ამბობს ეს კაცი! *(თმას დინჯად გადაივარცხნის)* ისმის მამაჩემის ხმა ოთახიდან *(მიდის მაგიდისკენ).*

დედაჩემი საუზმეს აწყობს და შემკრთალი ხმით ამბობს *(შეშფოთებით):*

– ცუდადაა არეული ქვეყანა, ვაითუ ომი დაიწყოს?! ცუდი ამბები ისმის *(მაგიდასთან ხელის მოძრაობით ჩაიდნიდან ჩაის დასხმას იმიტირებს, თან გვერდით იყურება):*

– თემურ, მოდი, ისაუზმე!

მსახიობი მაგიდას მიუჯდება, ჭიქაში შაქრის ნატეხების ჩაგდების და კოვზის მოძრაობის იმიტაციას აკეთებს.

– ომი არ იქნება! – დაბეჯითებით აწყვეტინებს მამაჩემი, – ვინ უნდა დაგვიწყოს ომი? გერმანიასთან თავდაუსხმელობის პაქტი გვაქვს დადებული. ჩვენ ჩვენთვის და თქვენ თქვენთვისო *(აგრძელებს „ჭიქაში კოვზის მორევას“).*

– რა ვიცი, რა ვიცი!.. – შეწუხებული ხმით იმეორებს დედაჩემი, – აი, ჩვენ ქვემოთ რომ გოგია ცხოვრობს, ყოველდღე პურის ფქვილი და შაქარი მოაქვს – მარაგს იმზადებს.

– სულელი ყოფილა *(მშვიდად).*

(გვერდით გაიხედავს, მკვეთრად იცვლის ტონს) – ჭამის დროს წიგნს მოეშვი, – მეუბნება დედაჩემი და ცდილობს წიგნი ხელიდან წამგლიჯოს, მაგრამ მე არ ვანებებ.

– გუშინ რას აკეთებდი? რატომ გუშინვე არ ისწავლე? *(მკაცრად)* – მიწყრება დედაჩემი.

– უსარგებლო სირბილს ის არ გერჩია, გაკვეთილი გესწავლა? – ჭკუას მარიგებს მამაჩემი *(ხელის მოძრაობით „ბუტერბროდს იმზადებს“).*

– რას ჰქვია უსარგებლო სირბილი? – მოვითხოვ აზრის დაზუსტებას *(აგრძელებს შეკამათებას და „ჭიქიდან ჩაის მოხვრეპს“).*

– იმას, რასაც შენ აკეთებ – დილიდან საღამომდე კინოთეატრში ჯდომას და ფილმების ყურებას, მაგალითად, – აზუსტებს თავის ნათქვამს მამაჩემი...

– კი, მაგრამ, როგორ შეიძლება ადამიანმა მხოლოდ ის აკეთოს, რაც სასარგებლოა? *(ეკამათება)* ზოგჯერ ხომ მოგინდება ისეთი რამე გააკეთო, რაც სრულებითაც არაა სასარგებლო...

– ესე იგი, რაც მოგინდება, ყველაფერი უნდა გააკეთო? შენ იქნებ სახლის დაწვაც მოგინდეს?

– არა, ეს არ მომინდება *(მშვიდად)* – მე ხომ გიჟებზე არ ვლაპარაკობ!

– მე ასე მომეჩვენა, – მობოდიშებით ამბობს მამაჩემი და ბუტერბროდს მაწოდებს.

პაუზა.

(მაგიდიდან წამოდგება და ბოლთას სცემს) მე, მაგალითად, ხანდახან მომინდება, რომ წყალში თავით გადავხტე...

– მერე, მერე? – მეკითხება მამაჩემი.

– ჰოდა, მეც ვხტები, თუმცა ეს არავისთვის არაა სასარგებლო, ან, ვთქვათ, მივდივარ ქუჩაში და უცბად სირბილი მომინდა, ან ხეზე ასვლა, ჰოდა, მეც გავრბივარ, თუმცა არსად მიმეჩქარება, ან კიდევ, ხეზე ავდივარ, თუმცა, იქ არაფერი დამრჩენია *(მიდის მაგიდასთან)...*

მსახიობი საწერი მაგიდის უჯრას გამოაღებს, იქიდან ქაღალდის ჩიტს ამოიღებს და ჰაერში გაუშვებს, შემდეგ იმავე უჯრიდან მომცრო ზომის რკინის ზარს ამოიღებს, გააქანებს და ხმაურით რეკავს.

მსახიობი სწრაფად შებრუნდება, ეკრანის გვერდით დაწყობილ ხის ტუმბოებს სათითაოდ აწყობს სცენის ცენტრში (2 რიგად ამწკრივებს), რაც მაყურებელში საკლასო ოთახის ილუზიას შექმნის.

მსახიობი *(მხიარულად):* ჩვენს კლასში ჭიდაობაა გაჩაღებული, იქით მერხებზე სირბილი. გოგოები ცალკე სხდებიან მერხებზე. ჩვენ მათი წვალება გვიყვარს *(ერთ-ერთ კუბზე შემოჯდება)* მივუსხდებით თუ არა გვერდით, ისინი მაშინვე ზურგში მუშტებს ჩაგვცხებენ და მერხიდან წამოგვაგდებენ. მეტისმეტად უკარება გოგოები არიან. ბიჭებთან ერთად მერხზე ჯდომა ცუდ საქციელად მიაჩნიათ.

მე ნათელა მყავს გამწარებული. წავავლებ ნაწნავებზე ხელს და ჩიკორივით ვატრიალებ – აი, ასე (*აჩვენებს მხიარულად).*

– გამიშვი ხელი, შე ხულიგანო!.. გამიშვი ხელი! – მიყვირის იგი და თვალებზე ცრემლები აწვება.

მსახიობი სკამზე შეხტება, ხელებს ფართოდ გაშლის (დირიჟორივით) და მხიარულად წაიმღერებს:

– თუ შენ ურტყამ ნაფაზებს... *(დირიჟორის მოძრაობით)...*

– ნაფაზებს, – მპასუხობს ერთხმად მთელი კლასი.

– მაშინ ხალხიც გაფასებს... *(დაბოხებული ხმით).*

– გაფასებს... – *(განსხვავებული ტონალობით).*

– ორიანის ნათესავს *(ნათელას წკრიალა ხმით).*

– ნათესავს *(განსხვავებული ტონალობით).*

– არ მისცემენ ატესტატს, – წაიმღერა ნათელამ თავისი წკრიალა ხმით.

– ატესტატს! *(ჩაბოხებით).*

სცენაზე ისმის შუშის მსხვრევის ხმა... მსახიობი შეცბება და სასწრაფოდ ჩამოხტება სკამიდან. კლასში ჟრიამულის ხმა და მხიარულება შეწყდება.

სცენის უკან მსახიობი მოზრდილი ზომის სათვალის შავ ჩარჩოს იკეთებს, ცალ ხელში მასწავლებლის გრძელ ჯოხს დაიჭერს, მეორეში – პატარა გლობუსს და მაგიდისკენ მიემართება. ცოტა ხნით შეჩერდება, რა დროსაც ისმის კარის გაღების და მიჯახუნების ხმები.

– გამარჯობა! *(დინჯად, აუჩქარებლად, ოდნავ ჩახლეჩილი ხმით).*

– გაგიმარჯოთ, პატივცემულო მასწავლებელო! *(მხრებში გასწორდება, ერთ ადგილას გაშეშებული და დაძაბული სახით).*

მსახიობი იატაკზე მოფენილ ქაღალდის ჩიტებს მოავლებს მზერას, ჯერ გვერდით – კედლისკენ გაიხედავს, შემდეგ ქვემოთ – იატაკზე დაიხედავს, სახეზე გამომეტყველება ეცვლება, თითქოს, შუშის „ნამსხვრევებს“ ჯოხით ეხება და ფრთხილად „გადააბიჯებს“.

მსახიობი *(საქმიანი სახით გლობუსს მაგიდაზე დადგამს და ჩახლეჩილი ხმით ამბობს):* ვინ გატეხა ფანჯარა? *(პაუზა)* მე გეკითხებით, ვინ ჩაამტვრია ფანჯრის მინა? *(ცდილობს ბრაზის შეკავებას, ხელში ნერვიულად ატრიალებს ხის ჯოხს)* ვინ არის მორიგე?

– მე ვარ, მასწავლებელო, – წამოდგა ნათელა მერხიდან.

– მითხარით, ვისი ნახელავია ეს?

– არ ვიცი, მასწავლებელო, მე არ დამინახავს *(მხრების აჩეჩვით).*

– კარგი, დაჯექი, – *(დაჟინებული და გამომცდელი მზერით)* – ადგეს და თქვას, ვინც ეს გააკეთა. ნუთუ ის, ვინც ეს ჩაიდინა, ასეთი მშიშარაა?!

კლასში ისეთი სიწყნარე ჩამოვარდა, ბუზის გაფრენას გაიგონებდი.

– თქვით, რა, ვინც გატეხეთ! – გულმოსულად დაიძახა მალხაზმა.

– არ მეგონა, თუ ამ კლასში ასეთი ლაჩარი აღმოჩნდებოდა, – გულისტკივილით თქვა მასწავლებელმა, – ძალიან მეწყინა, რაც მართალია, მართალია.

– მასწავლებელო (ხელის აწევით). ჩვენს შორის ვიღაც ლაჩარი აღმოჩნდა *(მტკიცედ და თავდაჯერებულად)* – ამბობს ბათუ, – დღეს ეს ლაჩარი დანაშაულს დამალავს *(რიტორიკულად)*, ხვალ უფრო მეტ დანაშაულს ჩაიდენს და მერე... მერე ალბათ სამშობლოს გაყიდის *(ბოლო ფრაზას მაღალფარდოვნად და რიხით წარმოქვამს).*

– ბიჭო, რას მიედ-მოედები! – წამოიძახა მალხაზმა *(ხელს აიქნევს და შემდეგ მუშტის მოღერებით),* – დაჯექი მანდ! ფანჯრის გატეხვა და სამშობლოს ღალატი ერთია? იცი შენ, რა არის სამშობლო?

– ვიცი, – *(შემწყნარებლური ღიმილით)* მიუგო ბათუმ.

– აბა, გვითხარი, – უცბად დაინტერესდა მასწავლებელი, – მიპასუხეთ, როგორ გესმით სამშობლო და სამშობლოს სიყვარული.

– სამშობლო... სამშობლო... *(თავს მოიქექავს და გულუბრყვილოდ ამბობს)* ჩემი უბანია, ჩემს ფანჯრიდან რომ მახათას მთა და მყინვარწვერი მოსჩანს... მოკლედ, რაც მე ძალიან მიყვარს, რა! – უპასუხა ბოლოკამ *(თითის შეხებით მსუბუქად დაატრიალებს გლობუსს).*

მსახიობი (*შეკამათებით*): სისულელეს ამბობ! – წამოიძახა ბათუმ, – ჩვენი სამშობლო გადაშლილია კარპატებიდან წყნარ ოკეანემდე და ყინულოვან ოკეანიდან პამირის მთებამდე. შენ კი იძახი მახათას გორა, მახათას გორა! *(გამობრაზებით)*

პაუზა.

– ჩემი სამშობლო ის არის, სადაც ჩვენი ხალხი ცხოვრობს, – ვთქვი მე.

– თემურმა სწორი თქვა, – იძახდა ბაადური, – ჩემი სამშობლო ის არის, სადაც მე თავისუფლად გავივლი და უცხოდ არავინ ჩამთვლით, სადაც ისევე ფიქრობენ, როგორც მე ვფიქრობ.

– სიჩუმე! კმარა კამათი! *(ბრაზისგან ჯოხს დაარტყამს მაგიდაზე)* – დაიძახა მასწავლებელმა. *(წამოდგება და რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს).*

მსახიობი უცებ შეყოვნდება, იატაკზე დაიხედავს, ჯოხით „დამსხვრეულ შუშებს“ ეხება, თითქოს, მათ შორის უნდა გაიაროს.

მსახიობი *(„კლასისკენ“ მიბრუნებული, მკაცრი ტონით):* ბუაჩიძე! ხვალ მშობელს მოიყვან!

– მესმის, მასწავლებელო, – ჩავარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ნათელამ.

პაუზა.

ახლა შევუდგეთ გაკვეთილს *(მაგიდასთან ჯდება, ჯოხს გვერდით გადადებს, სათვალეს გაისწორებს და მოსასმენად მოემზადება).*

– მასწ!.. *(ნერვიულად)* – გაუბედავად ავწიე ხელი.

– დაიწყე! *(იყურება სათვალის ჩარჩოს ზემოდან),* – თქვა მასწავლებელმა და მოსასმენად მოემზადა.

– მასწავლებელო *(წამოდგება, ლუღლუღით)*... ეს ფანჯარა მე გავტეხე... *(მორცხვად გაიხედავს გვერდით)* – რაღაც არაბუნებრივი ხმით ვთქვი მე. მთელმა კლასმა შემომხედა. ვიგრძენი, როგორ ვწითლდებოდი...

– კარგი, *(მძიმედ ჩაილაპარაკებს)* – დაჯექი! – *მითხრა მასწავლებელმა.*

ჯოხით ხელში დარბაზისკენ ზურგით მიტრიალდება, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს, შემდეგ შებრუნდება და მთელი ხმით დაიყვირებს.

მსახიობი: *(ჩახლეჩილი და ბრაზიანი ხმით)*: ცხოველებს ზრდიან, მხეცების აღზრდაც ხერხდება, შენ კი არ იქნა, არ დაგადგა საშველი! ჯერ იყო, კლასში კუ შემოიყვანე და გაკვეთილი ჩაშალე. გაპატიეთ! მერე იყო, სამასწავლებლო ოთახს გარედან ბოქლომი დაადე და მთელი პედსაბჭო შუაღამემდე შიგ ჩაკეტე. ესეც გაპატიეთ! *(პაუზა)* ერთი სიტყვით, მეტს აღარ გაპატიებთ. ხვალ მშობელს მოიყვან *(მკაცრად).*

– ხვალ კვირაა, მასწ! *(ეშმაკურად გადახედავს დარბაზს)* – შეახსენა ბოლოკამ და ამ დროს ზარიც დაირეკა...

მსახიობი მაგიდიდან პატარა რკინის ზარს იღებს და გაბმულად რეკავს, შემდეგ ორად მოკეცილ კეპს ჯიბიდან ამოიღებს, გაშლის და დაიხურავს. სცენის ჩაბნელება. შემოდის ქუჩის და ტრამვაის მოძრაობის, სიგნალისა და საყვირის ხმები. შუქი ეცემა თბილისის ქუჩის მაკეტს, რომლის ფონზე მსახიობი ხელით გაასრიალებს სათამაშო წითელ ტრამვაის. კინოკამერის ობიექტივი „ქუჩისკენ“ იქნება მიმართული, პარალელურ რეჟიმში პროექცია ეკრანზე.

მსახიობი სცენის ცენტრში, თეთრი ცარცით რელსების ხაზვას შეუდგება, შემდეგ კუბებს შორის, მსუბუქი მოძრაობით, ტრამვაის კიბეზე ახტომის და ჩამოხტომის მოქმედებას გაათამაშებს.

მსახიობი *(მხიარულად)*: ერთმანეთის მიყოლებით ვახტებით გაქანებულ ტრამვაის. ყველანი საფეხურებზე ვართ ჩამოკონწიალებული და ჩვენებურად ვერთობით *(აჩვენებს მოძრაობაში)* მიმქრო-

ლავი ტრამვაის წინა საფეხურიდან ვხტებით და უკანა საფეხურს ვახტებით, ზოგიერთები მეტსაც ახერხებენ: უკანა საფეხურიდან ხტებიან, ტრამვაის სირბილით უსწრებენ და წინა საფეხურს ახტებიან. ვაგონის ფანჯრებიდან შეშფოთებით გვადევნებენ თვალს.

მსახიობი *(ერთ-ერთ ტუმბოზე ჩამოჯდება, ბრაზმორეული, დარბაზისკენ იშვერს თითს)*: შეხედეთ ერთი, შეხედეთ, რას გვანან! – აღშფოთებული ამბობს ღია ფანჯარასთან მჯდომი სქელი ქალი.

მსახიობი წამოდგება და ახლა ტრამვაის საკიდებელს „ჩაეჭიდება“ ხელით.

(დანანებით) – ეჰ, ამათგან აბა, რა ხალხი უნდა გამოვიდეს! – გულისტკივილით ამბობს მეორე, – ეს რა ახალგაზრდობა მოდის! ვაგონის ბაქანზე მდგომი მელოტი მეკითხება *(ოდნავი ირონიით და თავის კანტურით):* გიკვირს, ბიძიკო? ძალიან გიკვირს, ორი ფეხი რომ გაქვს, ხომ? არა, ახლა, ნამეტანი ნუ გაგიკვირდება, შე კაცო! ფეხი ორი უნდა გქონდეს, აბა, რაა! ასე დააწესა ბუნებამ.

სცენის ჩაბნელება. ქუჩისა და ტრამვაის ხმები მინელდება. შუქი ეცემა თბილისური ეზოს მაკეტს. ეკრანზე პროექცია – თბილისური ეზო. მსახიობი თავზე კეპს შეატრიალებს და მაკეტის ფონზე ჩამოჯდება.

მსახიობი *(საიდუმლოდ):* სკოლის შემდეგ ჩვენს ეზოში შევირბენდით ხოლმე *(ხელით რაღაცას ეძებს)* აი, აქ... აგურის ყორეში *(აჩვენებს)*, ბიჭები პაპიროსის კოლოფს ვმალავდით... *(კოლოფს იღებს და იქიდან ტარიან პაპიროსს ამოიღებს).*

მსახიობი სიგარეტს აბოლებს, მისი სახე სიგარეტის მსუბუქ კვამლში ეხვევა.

მსახიობი *(ისევ შემოატრიალებს კეპს):* თემურ, რატომ სთქვი, ფანჯარა მე ჩავამტვრიეო?! – ეშმაკური ღიმილით მეკითხება ბოლოკა.

– იმიტომ, რომ მე ჩავამტვრიე! – ვპასუხობ მე *(ოდნავ გაღიზიანებული ტონით, ნერვიულად მოქაჩავს სიგარეტს).*

– ოოჰ, კარგი ერთი! ჩვენ ხომ ვიცით, რომ შენ არ ჩაგიმტვრევია *(ეშმაკურად).*

– მორჩი ახლა ლაპარაკს, შემეშვი... *(გაღიზიანებული)* – ვეუბნები ბოლოკას.

– აბა, მივდივართ კინოში?! (სწრაფად წამოდგება) – ამბობს ვილი, – დღეს კინო „ოქტომბერში“ „100 მამაკაცი და ერთი ქალიშვილი“ გადის... დინა დურბინი თამაშობს.

მსახიობი უსტვენს მელოდიას ვერდის „ტრავიატადან“.

– მერე ფული? *(ჟესტიკულაციით)* – ამბობს ლევანი.

– ო, მოიცა რა! უკანა გასასვლელიდან შევიპარებით, როგორც მაშინ *(არხეინად).*

თბილისური ეზოს მაკეტი ბნელდება და ნათდება თბილისის კინოთეატრის „აპოლო“ მაკეტი. ეკრანზე ჩნდება ფრაგმენტი ამერიკული ფილმიდან „100 მამაკაცი და ერთი ქალიშვილი“. დინა დურბინი ასრულებს არიას ვერდის ოპერიდან „ტრავიატა“.

მსახიობი სავარძელში ჯდება და უყურებს ეკრანს, თანაც სიგარეტს აბოლებს.

კინოფრაგმენტის დასრულებისთანავე ეკრანი და კინოთეატრის მაკეტი ერთდროულად ჩაბნელდება.

შუქი ეცემა საწერ მაგიდას. მსახიობი მაგიდასთან დგება. ჯიბიდან ოთხად დაკეცილ ფურცელს ამოიღებს და ნერვიულად გაშლის.

მსახიობი *(მორცხვად):* ლექსების წერა დავიწყე, ისე, ჩემთვის ვწერ... არავის ვაკითხებ *(ჩუმად, თითქოს, არავინ გაიგოსო)... ნათელას გარდა (თავს მორცხვად ჩაღუნავს, შემდეგ თითქოს გამბედაობას მოიკრებს და კითხულობს)*:

რატომ მიხმობ, რად მეძახი,

ღამეა და ქარი ქრის, სიყვარულზე, სიხარულით

უსიმღეროდ არ ითქმის.

რატომ გინდა სიყვარულმა დამბუგოს და დამნაცროს,

გულს მოგტაცებ საგულედან

ჩემს გულს მოგცემ სანაცვლოდ.

ფოთლები რომ ჩურჩულებენ, ქარია თუ ფიქრები,

ნუ მეძახი, მაინც მოვალ,

მარად შენი ვიქნები.

პაუზა.

გუშინ გვირილები დავკრიფე და დღეს დილით ეს ლექსი, გვირილებთან ერთად ნათელას მერხში ჩუმად შევუცურე *(აქეთ-იქით იყურება, თითქოს შიშობს, რომ არავინ შენიშნოს).*

მსახიობი ქაღალდის ფურცელს ისევ ოთხად დაკეცავს და სწრაფად ჩადებს მაგიდის უჯრაში.

ჩაბნელება.

რადიოში ისმის დავითის ომახიანი და ოპტიმისტური ხმა: დღეს 1941 წლის 22 ივნისია, კვირა – მშრომელთა დასვენების დღე. გთავაზობთ მუსიკის საათს.

მსახიობი *(ვიდეოკამერისკენ შებრუნებული, ხმამაღლა აცხადებს):* „ღიმილის ბიჭები“, ეპიზოდი #2 , „მთაწმინდის პლატო“.

შუქი ეცემა ფუნიკულიორის მაკეტს. ეკრანზე პროექცია – „მთაწმინდის პლატო“. ვაგონების მოძრაობა. ისმის მხიარული საესტრადო მელოდია.

მსახიობი *(მხიარულად)* დღეს სკოლის გამოსაშვები საღამო გვაქვს. უკვე სტუდენტობისთვის ვემზადებით და მალე ჩვენი მე-10ბ კლასიც აღარ იარსებებს – „იგი წავა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა!“ *(პოეტურად)* მე, რა თქმა უნდა, მფრინავი გავხდები!

მსახიობი მთაწმინდის პლატოს მაკეტთან დგება.

(მხიარულ განწყობაზე): დილიდან მთელი ჩვენი კლასი მთაწმინდის პლატოზე ავდივართ.

მთელი პარკი ავიკელით ჩვენი კლასის გოგო-ბიჭებმა.

ყველა ატრაქციონი შემოვიარეთ...

დავქროდით საქანელათი...

მერე კარუსელით... *(მაკეტის დეტალს – კარუსელს ხელით აამოძრავებს)* მე ერთი წამითაც არ ვშორდები ნათელას...

ეკრანი ბნელდება. რადიოხმა თბილისის ფუნიკულორის პარკის კეთილმოწყობის შესახებ გადმოსცემს ცნობას. მსახიობი რკინის ძელთან მიდის და თეთრ ბუშტს ფრთხილად ჩამოხსნის.

მსახიობი *(რომანტიკული, მეოცნებე სახით):* როცა მთაზე ვარ, გაფრენა მომინდება ხოლმე, – თქვა ნათელამ.

– მოდი, გავფრინდეთ, *(მხიარულად)* – ვუთხარი მე.

– როგორ? – გაეღიმა ნათელას.

– გავიქცეთ, გავიქცეთ და ბოლოს გავფრინდებით, – მაჯაში ჩავავლე ხელი, – აი, ასე, გავიქცეთ? *(თითქოს ნახტომისთვის ემზადება).*

პაუზა.

ჩემმა შეხებამ იგი შეაკრთო. მძაფრი მოძრაობით მაჯა გაითავისუფლა და გვერდზე მიდგა.

– ასე არა! ასე არა! *(ოდნავ დამფრთხალი ხმით, ხელებს ზურგს უკან მალავს).*

– ნათელა, რა მოგივიდა?! *(ოდნავ გაკვირვებული).*

– არაფერი, არაფერი! *(დაბნეულად ეღიმება)* – მოდი, ჯერ შენ გაიქეცი, მერე მე გამოვიქცევი, კარგი? კარგი? *(ბავშვური მიამიტობით)*

კარგი *(მხრების აჩეჩვით)*... ვთქვი მე, შევტრიალდი და გავიქეცი.

ისმის ვალსის მელოდია. პროჟექტორის შუქი თეთრ ბუშტს „დასდევს“, რომელიც მსუბუქად დაფრინავს სცენის სივრცეში. მსახიობი ცდილობს ძაფით დაიჭიროს ბუშტი, მაგრამ ყოველ მცდელობაზე ხელიდან უსხლტება.

მსახიობი *(გაოცებული):* მაღლა, გზის ბოლოში, ნათელას თეთრი კაბა მოჩანდა *(იძახის მთელი ხმით)* ნათელაااა!.. იგი სირბილით დაეშვა. ხელები გაშლილი ჰქონდა *(მკლავებს ფართოდ შლის),* თითქოსდა მართლა უნდა გაფრენილიყო. დაღმართში სირბილის სიმსუბუქემ გაიტაცა და ისეთი სისწრაფით მოქროდა, რომ აშკარა იყო, – მოსახვევში თავს ვეღარ შეიკავებდა... ეს თვითონაც იგრძნო *(შეშინებული მთელ ხმაზე ყვირის)* – ვაიმე, თემუუურ!

მსახიობი *(მკლავებს ფართოდ გაშლის):* მკლავები გავშალე და წინ დავუხვდი. ინერციის ძალა ძალიან ძლიერი იყო. ძალაუნებურად ერთმანეთს ჩავეხვიეთ და ისე დავტრიალდით, მერე გავჩერდით და... გავფრინდით...

მსახიობი თეთრ ბუშტს ჰაერში დაიჭერს. ისმის სიმღერა „რატომ მიხმობ?“ (ტექსტის ავტორი სულიკო ჟღენტი, მუსიკა ბიძინა კვერნაძის) სიმღერის ფონზე მსახიობი მსუბუქი და რიტმული მოძრაობით იწყებს ცეკვას.

პაუზა.

ხანგრძლივმა, გონებისწამღებმა პირველმა კოცნამ ორივენი დაგვარეტიანა... *(მაყურებლისკენ)* იგი ჩემზე ადრე გამოერკვა, ხელი მკრა და გზას ბორძიკით გაუდგა. საშინლად დავიბენი *(თეთრი ბუშტი ისევ „უსხლტება“ ხელიდან).*

– ნათელა!.. ნუ გეწყინება, რა!.. *(სწრაფი ნაბიჯებით აედევნება ბუშტს და დაბნეული ლუღლუღებს).*

– რა აიჩემე ეს ფეხით წამოსვლა!.. რა აიჩემე?! – მეუბნება ნათელა და თან ცრემლები მოდის *(ბრაზმორეული, სლუკუნით).*

– როდის ავიჩემე... ისე ვთქვი... ერთხელ ვთქვი *(თავს იმართლებს):*

– რატომ მაკოცე, ა? რატომ მაკოცე, ბიჭო?! *(სლუკუნით, თითქოს, ლოყაზე მომდგარ ცრემლებს იწმენდს).*

– იმიტომ, რომ მიყვარხარ! *(ბრაზით)* – განა შენ კი არ იცი? წერილებში ხომ ამას გწერდი?.. რამდენი წერილი მიიღე? – ვეკითხები ნათელას.

– თორმეტი... – *(პასუხობს სწრაფად და ბავშვური მიამიტობით).*

– მერე? *(ბრაზით)*

– უცნაური წერილებია, – მპასუხობს ნათელა *(ქვითინს სიცილი ერთვის)* ყოველ ღამე ვკითხულობ და მაინც ვერაფერი გავიგე.

– ახლა ხომ გაიგე? *(ისევ ხმამაღლა და გაბრაზებით).*

მან თავი გადაიქნია...

პაუზა.

– შენი გულისთვის იცი, რას ვიზამ? – *(ქვემოთ, იატაკზე დაიხედავს, თითქოს რაღაცას ეძებს)* გინდა, ამ ქვას დავხრავ! გინდ რკინაც იყოს. გინდა, აქედან თავით გადავხტები? *(პაუზა)* მოდი, გინდა, აი, იმ გვირილებს დაგიკრეფ! *(სთავაზობს),* უცებ შევთავაზე ნათელას.

ორივეს სიცილი აგვიტყდა. ნათელა ცრემლებით დასველებულ ლოყებს იწმენდდა და იცინოდა.

სცენა თანდათან ბნელდება. ხმადაბლა შემოდის მუსიკა – შოსტაკოვიჩის #2 სიმფონია. მსახიობი დარბაზისკენ ზურგით შებრუნდება და ერთ ადგილზე გაქვავდება. ეკრანზე ჩნდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ნაცისტური გერმანიის სამხედრო კინოქრონიკები (უხმო კადრები).

რადიოხმა – ძია დავითი (მკაცრი და დრამატული ტონით): დილის ოთხ საათზე ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად, ვერაგულად თავს დაესხა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს. მტრის ავიაციამ დაბომბა ქალაქები: კიევი, ლვოვი, ოდესა, სევასტოპოლი...

ისმის საჰაერო განგაშის სიგნალის ხმა. სცენის სიღრმეში მაყურებლისკენ ზურგშექცევით მდგომი მსახიობი თეთრ წებოვან ლენტს ჯვარედინი ფორმით აკრავს შავი კედლის ფონზე.

მსახიობი *(მაყურებლისკენ შებრუნებული, სევდანარევი ღიმილით):* როცა ძია დავითმა კიევის დატოვება გადმოსცა, ჩვენი მეზობელი ოლიფანტე ნაჯახით გამოენთო... მას შემდეგ ძია დავითის ხმა ჩვენს სახლში აღარ ისმის... ახლა ამბებს რადიოთი ვისმენთ. ძია დავითი სამსახურიდანაც გვიან ღამე ბრუნდება, იმის შიშით, რომ ეზოში მეზობლებს არ შეეფეთოს...

(აგრძელებს სევდიანად) ჩვენი სკოლის შენობაში ჰოსპიტალი მოთავსდა. ჩვენი სკოლა კი სხვა სკოლაში გადაიტანეს. ჩვენს კლასში შესახვევი პუნქტი გახსნეს, სამასწავლებლოში საოპერაციო ოთახი...

ეკრანზე პროექცია. მეორე მსოფლიო ომის სამხედრო კინოქრონიკები. მსახიობი თეთრი ტილოს ნაჭერს მხრებზე შემოიხვევს, შემდეგ გრძელ სინს აიღებს, რომელზეც პატარა რკინის ჯამი, მრგვალი სამაგიდო სარკე, ოდეკოლონის ფლაკონი, თმის საკრეჭი და საპარსი ინსტრუმენტები აწყვია. პროექციის დასრულებისთანავე შუქი ეცემა საწერ მაგიდას.

მსახიობი *(ხალისით):* ჩემი კლასელი ბიჭების მსგავსად, მეც მოხალისედ წავედი ფრონტზე... ჩვენს თაობას არჩევანის უფლება არ დაგვიტოვეს – ყველას ჯარისკაცობა გვარგუნა ბედმა... ჯერ 17

წელიც არ შეგვსრულებოდა, მაგრამ ბავშვებიც არ ვიყავით *(ჩაიცინებს),* ჩვენ ყველას ერთნაირად გვქონდა თავები გადაპარსული, ყველას ერთნაირი ფორმები გვეცვა (*ინსტრუმენტებს სათითაოდ აწყობს მაგიდაზე, დაჯდება და სარკეში იყურება),* ზრდასრულ ასაკსაც გადავაბიჯეთ, მაგრამ... ეს წვერ-ულვაში რომ არა და არ გვეზრდება? *(სარკეში იყურება, თითქოს წვერი უნდა მოისინჯოს ხელით)* გასაპარსი მართლაც არაფერი გვაქვს!.. მაგრამ... *(ჯამს ფუნჯით „ააქაფებს“)* გაპარსვა მაინც ყველას გვინდა, ისე, თავდაჯერებისთვის *(სამართლებელს გახსნის და სახის „გაპარსვას“ შეუდგება).*

ჩვენი მოსარგები ტანსაცმელიც ხომ ვერაფრით ამოვარჩიეთ. ბათინკებს ჩავიცვამთ თუ არა, ფეხსახვევი ზემოთ ამოგვეჩრებოდა. ტოლაღებიც წამდაუწუმ გვძვრებოდა, ფეხსახვევების ფეხზე დახვევაც ვერა და ვერ ვისწავლეთ...

პაუზა.

მსახიობი თეთრი ტილოს ნაჭერს მხრებიდან იხსნის, დაკეცავს და იმავე ნაჭრით იმშრალებს სახეს, შემდეგ „ოდეკოლონს“ სახეზე მიიპკურებს, სკამიდან წამოდგება, ინსტრუმენტებს ისევ სინზე დააწყობს და სცენის უკან გააქვს.

სცენის გარშემო შუქი ვარსკვლავებად აკიაფდება.

მსახიობი *(სევდიანად)*: საღამოს ნათელასთან ერთად ფუნიკულორზე ავდივართ...

– როგორ ბნელა! *(შეშინებული იყურება)* მხოლოდ ვარსკვლავები ანათებენ! ვინ იცის, რამდენ ვარსკვლავზე იქნება სიცოცხლე! *(მეოცნებე სახით აიხედავს მაღლა)* – მეუბნება ნათელა.

– ნათელა, გახსოვს, რა ლამაზი იყო აქედან ღამის ქალაქი? ახლა მხოლოდ სიბნელეა და მეტი არაფერი.

– გაზაფხულზე ისევ გამოჩნდებიან გვირილები, თემურ... მანამდე ხომ დაბრუნდები?

– ალბათ...

– რა თქმა უნდა, დაბრუნდები ... აბა, ასე დიდხანს ხომ არ გასტანს ომი...

– ნათელა, გაზაფხულზე ისევ გნახავ და გვირილებს დაგიკრეფ ...

პაუზა.

– ნახვამდის, თემურ! *(დამშვიდობების ნიშნად ხელს იქნევს).*

– ნახვამდის, ნათელა!

პაუზა.

მსახიობი *(დარბაზისკენ):* პირველი მოქმედების დასასრული. *(გაიხედავს კინოკამერისკენ).* რამდენი დუბლია გადაღებული?

სცენა მთლიანად ნათდება.

შესვენება 15 წუთი *(აცხადებს და გადის სცენიდან).*

II მოქმედება

მსახიობი სცენაზე შემოდის. მას სამხედრო პალტო (შინელი) აცვია, შიგნით მეზღვაურის ზოლიანი მაისური მოუჩანს. თავზე პილოტის ქუდი ახურავს, ცალ მხარზე თოფი აქვს გადაკიდებული, მეორე მხარზე ხაკისფერი ზურგჩანთა. ხელში თეთრი ფერის სკამი უჭირავს, რომელსაც სავარძლის გვერდით დადგამს, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და სწრაფი მოძრაობით, საწერ მაგიდას და სკამს წააქცევს იატაკზე.

მსახიობი *(ტაშს შემოკრავს და კინოკამერის მიმართულებით გასძახებს):* „გვირილები“, ეპიზოდი #3, ომი, დუბლი #1.

ეკრანზე ჩნდება მეორე მსოფლიო ომის კინოქრონიკები. ისმის იარაღიდან გასროლის, ჭურვების გასკდომის და სამხედრო თვითმფრინავების გადაფრების ხმები. მსახიობი მწყობრი, ჯარისკაცული ნაბიჯებით გაემართება სცენის სიღრმეში, შემდეგ შემობრუნდება და ერთ ადგილზე იწყებს სალაშქრო წყობით (მარშით) სვლას.

მსახიობი *(მკაცრი და დრამატული ტონით):* სამხედრო საზღვაო დესანტი ომის ომია, ისეთი, კაცს რომ განატრებინებს: „ნეტავ, ჩვეულებრივ ომში მამყოფაო“!..

უცებ შეჩერდება, სწრაფ ბრუნს აკეთებს და დარბაზისგან ზურგშექცევით, ჯარისკაცივით გაიჭიმება. სცენის მიღმა ისმის ზღვის, ქარის ზუზუნის, ტყვიამფრქვევისა და თვითმფრინავის გადაფრენის ხმები.

(აგრძელებს სევდიანად) მტერი დღეში 10-12-ჯერ მაინც გვიტევდა. მიწა იწვოდა, ცა ირღვეოდა და სისხლი მდინარებდა...

მსახიობი დარბაზისკენ მირუნდება.

ომის რომანტიკა – ეს ცრუ, მოგონილი რომანტიკაა, ხელოვნურად შექმნილი მათ მიერ, ვისაც ომი არ უნახავს და არ გამოუცდია... ომი სიბინძურეა, ულმობლობაა... *(სასოწარკვეთით)* ომი – გვამების მასიური წარმოება!...

წაქცეულ მაგიდასთან (პირობითად სანგარს წარმოადგენს) ჩაიმუხლება. სიცივისგან მობუზულს, სახეზე შიში და დაბნეულობა ეხატება.

მსახიობი *(ცახცახით):* ფრონტზე ციების ეპიდემია მძვინვარებდა... უცნაური ვირუსია – ტრანშეის თუ სანგრის ციებას ეძახიან... ისეთი ძლიერი ტკივილები იცის – მთელ ძვალსა და რბილში ატანს, თავის ტკივილებისგან იტანჯები... როცა ციება შემომიტევდა.. ტყვიამფრქვევს ამოვეფარებოდი ხოლმე და იმდენჯერ გავისროდი სანამ რკინა არ გახურდებოდა... მერე ამ ტყვიამფრქვევს შემოვეხვეოდი *(იგი ხელით შემოეხვევა მაგიდას)* და ასე ვთბებოდი...

ისმის თვითფრინავის გადაფრენის, ყუმბარების სროლის, ჭურვების გასკდომის ხმები. მსახიობი ყურებზე იფარებს ხელებს, შემდეგ იატაკზე გაწვება და ჰაერში უმიზნოდ ისვრის თოფს – დარბაზის საპირისპირო მიმართულებით.

სროლის ხმები ძლიერდება. მსახიობი დაბნეული და შეშინებული აქეთ-იქით იყურება, ხან მაგიდას ამოეფარება, ხან თავს ამოყოფს, შემდეგ ისევ ჩამალავს ტყვიების ზუზუნში.

(დარბაზისკენ) ახალგაზრდა ბიძაშვილი მყავდა, მამამისი 1937 წელს დახვრიტეს. ის იყო ჩემი მფარველი. ბავშვობაში თუ რაიმე გამიჭირდებოდა, ამირანს ვუხმობდი ხოლმე; ომის დაწყებამდე გარდაიცვალა, მოულოდნელად გული გაუჩერდა...

მსახიობი *(ღრიალებს ძლიერი სროლის ფონზე)* პირველად რომ დავიჭერი, მახსოვს, სამედიცინო ნაწილში გავრბოდი, რომ მიმესწრო. ერთი საათის განმავლობაში ცა და მიწა ირყეოდა, იმდენად ახლოს სკდებოდა ყუმბარები, რომ ჰაერის ცხელი ტალღა აქეთ-იქით მისროდა... და ანგარიშმიუცემლად ვყვიროდი: „ამირან, მიშველე! ამირან, გადამარჩინეეეეეეეეე! *(სახეზე მტანჯველი ტკივილი ეხატება).*

სცენა ბნელდება. იატაკზე შუქი ეცემა სანგრების მაკეტს. მსახიობი შინელს იხდის და „სანგრების“ მაკეტთან დააფენს. შემოდის „ლეკურის“ მუსიკა. ნახევრად წამოწოლილ მდგომარეობაში, ცეკვის რიტმზე თითებს ამოძრავებს. პარალელურად ეკრანზე „ცოცხლდება“ სანგრების დეკორაცია. ჩნდება ასოციაცია ფილმის „ჯარისკაცის მამის“ ეპიზოდთან, როცა ახალი წლის ღამეს, დაღლილი ჯარისკაცების გასამხიარულებლად, მუსიკოსები „ლეკურის“ მელოდიას დაუკრავენ. ეკრანის დაბნელება.

მსახიობი (*მძიმედ წამოდგება*): იმ დღეს შეტევაზე გადასვლა გვიბრძანეს... ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის მაღლობი უნდა აგვეღო... სროლით მივიწევდით მთის მწვერვალისაკენ. საოცარი შეგრძნებაა... ფრონტზე ძალიან მძაფრად განიცდი, როცა შენ გვერდით ჯარისკაცი იღუპება... ამ დროს დანაშაულის გრძნობა გაწუხებს, თითქოს შენი სიკვდილი წაიღო თან...

ჯერ ერთი ჯარისკაცი დაეცა ჩემ გვერდით, მერე მეორე. აი, სულ ახლოსაა მთის თხემი. ლამის ხელით მივწვდე... უეცრად უკნიდან ძახილი მომესმა: – ჰეი, ჯარისკაცო!.. ძამიკო!..

მივიხედე. დაჭრილი მეზღვაური იყო.

– ძამიკო, მითხარი, რა მოჩანს იქით, მთის გადაღმა?

– აქედან არ მოჩანს, – ვუპასუხე მე, – აი, ავალ და გადმოგძახებ!..

მწვანე, ლორთქო ბალახში მივცურავ... მერე გვირილები დაიწყო...

აი, ის აღმართიც გამოჩნდა. უნდა გავიქცე... უეცრად მკერდში საშინელ დარტყმას ვგრძნობ... მთა ჩემკენ იწევს, ლამისაა თავზე გადმომემხოს...

გასროლის ხმები. სცენის ნაწილი კვამლში ეხვევა...

მსახიობი *(იატაკზე გულაღმა წევს, მზერა მაღლა, შორეულ სივრცეში მიუპყრია):* ალბათ ახლა გვირილები ირხევიან და ისინი ამას ამჩნევენ... *(დაბალი, მისუსტებული ხმით):* სისხლისაგან დაწრეტილს განძრევის არაქათი არ მქონდა. არც დაძახება შემეძლო... საღამოთი ჩემს დამარხვას აპირებდნენ, მაგრამ შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ... ცოცხალი ვარ!

მსახიობი ცალი ხელით თოფის კონდახს ეყრდნობა, ნელ-ნელა წამოიმართება.

ნაწილში არავის ეგონა თუ სიკვდილს გადავურჩებოდი – ტყვია სულ რაღაც რამდენიმე სანტიმეტრით აცდა გულს *(ხელს მიიდებს მკერდთან).*

ისმის რადიოს ხმა – დიქტორი ჯერ გერმანულად, შემდეგ ქართულად გადმოსცემს ცნობას სადესანტო ნაწილებზე ვერმახტის წარმატებული იერიშის შესახებ, რამაც საბჭოთა არმიის კატასტროფული მარცხი გამოიწვია.

მსახიობი *(აგრძელებს)* სადესანტო ოპერაციის დროს მძიმედ დავიჭერი და ჰოსპიტალში მომათავსეს. წერილი გავაგზავნე სახლში: „დაჭრილი ვარ, ვწევარ ამა და ამ ქალაქში, ამა და ამ ჰოსპიტალში“...

ეკრანზე პროექცია – ჰოსპიტლის მაკეტი. კინოკამერა „მოძრაობს“ პალატებში. ჩნდება მედდების და დაჭრილი ჯარისკაცების ფიგურები (ფოტომონტაჟი).

პროექციის დასასრული. სცენის მარჯვენა მხარეს შუქი ეცემა მსახიობს. ცალ ხელში სამგზავრო ჩემოდანი უჭირავს, მეორე ხელით ნაჭერში გამოკრული ბოხჩა. ისმის მატარებლის და სატვირთო მანქანის გრუხუნის ხმა.

მსახიობი (სევდიანად): საბრალო დედაჩემი... რა არ იღონა, რომ ფრონტის ხაზზე გავლის უფლება მოეპოვებინა, მაშინ თბილისიდან ბათუმამდეც კი ვერ ჩახვიდოდი, თუკი საშვი არ გქონდა გამოწერილი. დედაჩემს ყველა დაეხმარა – ახლობლები, ნაცნობები თუ უცნობები. დიდი გაჭირვებით და წვალებით ჩამოაღწია ვლადიკავკაზამდე, სადაც ჩემი ჰოსპიტალი იყო... მაგრამ უკვე 3 დღის გაწერილი ვიყავი, ისევ ფრონტზე დამაბრუნეს. დედა ძალიან დაღონებულა, რომ ვერ მნახა, ჩემთვის წამოღებული მოსაკითხები კი დაჭრილებისთვის დაურიგებია.

მამაჩემმა დაიფიცა, რომ ლოგინში არ დაიძინებდა, ვიდრე ფრონტიდან არ დავბრუნდებოდი და იატაკზე წვებოდა**...** დედა კისერზე ჩამოკიდებულ უზარმაზარ სიმძიმეს ატარებდა... *(ბოხჩას ფრთხილად, მოწიწებით დადებს ჩემოდანზე).*

მსახიობი *(კამერისკენ შებრუნებული ტაშს შემოკრავს და დაიძახებს):* ეპიზოდი #5, მახარაშვილი.

მსახიობი „სანგრების“ მაკეტიდან მოზრდილი ზომის ფოტოებს იღებს და ყურადღებით ათვალიერებს...

ჩვენს ასეულში ერთი მოხუცი ჯარისკაცი მსახურობდა – უბრალო გლეხი – კახელი მევენახე... გვარად მახარაშვილი... რამინი ერქვა... რამინ მახარაშვილი... მახსოვს მისი მოუსვენარი, შრომისმოყვარე ხელები. საოცრად ღონიერი და ძლიერი იყო ეს კაცი, უსაქმოდ ვერ ნახავდი... 17-18 წლის ბიჭებს მამაშვილურად გვექცეოდა...

ლაშქრობისას ზოგჯერ გრძელი გზის გავლა გვიხდებოდა... 20, 25... ზოგჯერ 100 კილომეტრის. ჩვენი იარაღი გზაში მძიმდებოდა... ფუთობით ხდებოდა... რამინი ბიჭებს იარაღის ზიდვაში გვეხმარებოდა... ერთხელ ყველაზე მძიმე ტვირთი მან ატარა – ორი ზურგჩანთა, ოთხი ავტომატი, ჭურვების მთელი შეკვრა ჰქონდა აკიდებული... მაინც რა დევგმირი იყო ასეთი *(გაკვირვებით)...*

რამინი უჩექმობით იყო გაწამებული – არმიის საწყობში ვერ იშოვეს მისი ზომა ფეხსაცმელი და იძულებული შეიქნენ, საგანგებოდ შეეკერათ. სამაგიეროდ, ბრიგადის მეთაურის ბრძანებით, მახარაშვილს ორ ულუფა საჭმელს აძლევდნენ (*ღიმილით).*

უცნაურია... მაშინ მეგონა, რომ ხნიერი იყო, არადა 50 წლისაც არ იქნებოდა…

შემოდის ზღვის, ხის კარების შეღების და ჭრიალის ხმები. მსახიობი საკვების კონტეინერს (სამხედრო დანიშნულების) იღებს, გახსნის, ნახავს, რომ ცარიელია. რამდენჯერმე კოვზით არაკუნებს.

ერთხელ ჩვენმა სადესანტო რაზმმა პატარა ზღვისპირა სოფელი დაიკავა. გერმანელებმა მაშინვე ალყაში მოგვაქციეს. საკვების მოწოდება შეწყდა. შიმშილმა შეგვაწუხა... სოფელი ცარიელი იყო.

საჭმელი რომ გვეშოვნა, ცარიელ სახლებში შევდიოდით, ცოტა ხორბალს, მჟავე პომიდორს ვშოულობდით. ჯიბეები სავსე გვქონდა ხორბლით, ვიღებდით მარცვლებს და... და, აი, ასე... ვღეჭავდით.

მსახიობი სცენის ლუკთან გაჩერდება. ლუკს თავსახურს ახდის.

– ერთ დღესაც მძიმე, სასტიკი ბრძოლის შემდეგ ბლინდაჟის აგება გვიბრძანეს. ბრძოლისგან გადაღლილს მაშინვე ჩამეძინა.

მსახიობი „ლუკში“ ჩადის და ისე ჩადგება, რომ სცენაზე მხოლოდ თავი მოუჩანდეს.

მსახიობი *(გაოგნებული):* დილით ღიღინი და რაღაც უცნაური ჩახაჩუხის ხმები გავიგონე... თითქოს სანგარს თხრიანო...

ყრუდ ისმის გასროლის ხმები.

წელში ვერ ვიმართებოდი, რადგან ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, მოწინააღმდეგის სნაიპერს ესროლა *(სროლის ხმაზე ლუკში ჩაიმალება და ისევ ამოყოფს თავს).*

ვხედავ... ეს მახარაშვილი... ცალ გვერდზე – თეძოზე წამოწოლილი... სასანგრე ნიჩბით მიწას თოხნის, ჯიბიდან ხორბლის მარცვლებს იღებს და თესავს... გავგიჟდი *(ნელ-ნელა ამოდის ლუკიდან)*... ამ ხოცვასა და გაწამაწიაში ეს კაცი იწვა და ხორბალს თესავდა! სახეზე შევატყვე, ძალიან კმაყოფილი იყო, ხელი რომ არ შევუშალეთ მუშაობაში.

მსახიობი წელში გასწორდება და დარბაზისკენ ზურგშექცევით სცენის სიღრმისკენ გაემართება, თან ხორბლის მარცვლებს ჯიბიდან იღებს მუჭით და გარშემო სცენაზე მიმოფანტავს.

ჩაბნელება. ეკრანზე ჩნდება სამხედრო ჰოსპიტლის მაკეტი. მსახიობი თეთრ სკამზე ზის. მას მეზღვაურის ზოლიანი მაისური აცვია. სამედიცინო თეთრ დოლბანდს ნელი მოძრაობით წელს ზემოთ შემოიტარებს.

მსახიობი: როცა მეოთხედ დავიჭერი... ნაწილში არავის ეგონა თუ სიკვდილს გადავურჩებოდი. ექიმებმა თქვეს, ნამსხვრევებს იმ მომენტში გაუვლია, როცა გული შეკუმშული იყოო. ამან გადამარჩინა. 4 მილიმეტრით აცდენია გულს. ჯერ კიდევ ჰოსპიტალში უნდოდათ ამოღება. ორჯერ გავიქეცი საოპერაციო მაგიდიდან. აღარ შემეძლო ისევ გაჭრა, ისევ სისხლი... ჭრილობა მკერდში იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ ჰოსპიტლიდან სახლში გამომიშვეს, როგორც საბრძოლოდ უვარგისი.

პაუზა.

იმ ტყვიის ნაწილებს დღემდე დავატარებ, სადღაც აქ *(ხელით მიანიშნებს)* გულთან ჩარჩენილს...

მსახიობი *(კინოკამერისკენ მიბრუნდება და ხმამაღლა დაიძახებს)***:** ეპიზოდი #5, სულიკო ჟღენტი. დაბრუნება.

სცენის დაბნელება. ეკრანზე პროექცია – 1945 წლის 9 მაისის საზეიმო კადრები. შუქი ეცემა მსახიობს, რომელიც მაყურებლისკენ ზურგშექცეული სცენის ცენტრში დგას, ცალ მხარზე ჯარისკაცის ზურგჩანთა აქვს გადაკიდებული.

მსახიობი *(ტრაგიკული ხმით):* „თემურ... ბოლოკა... მალხაზ... ბაადურ... ვილი... ლევან... გოგი... ჭკუისკოლოფა...

„თბილისური ეზოს“ დეკორაციასთან სანთლებია ჩამწკრივებული. მსახიობი თავდახრილი დგას და სათითაოდ ანთებს სანთლებს.

სცენაზე სრული სიჩუმე ჩამოვარდება. სიბნელეში სანთლები ციმციმებენ.

მსახიობი სცენაზე წაქცეულ მაგიდას და სკამს საწყის მდგომარეობაში აბრუნებს.

ეკრანზე პროექცია – 1940-იანი წლების ბათუმის კადრები.

მსახიობი*:* როცა ფრონტიდან დავბრუნდი, ჩემი ოჯახი უკვე ბათუმში ცხოვრობდა – მამაჩემი სამუშაოდ იქ მიავლინეს. ბათუმში დავიწყე პატარ-პატარა მოთხრობების, ნოველებისა და ნარკვევების წერა... ჯერ გაზეთში ვბეჭდავდი, მერე წიგნებადაც გამოიცა.

ერთი სიტყვით აჭარიდან დაიწყო ჩემი მწერლობა. თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზეც ჩავირიცხე... მაგრამ... *(იყურება ეკრანისკენ)* მაგრამ გული მაინც კინოსკენ მიმიწევდა... მაგრამ... *(გახედავს ეკრანს)* რატომღაც მეგონა, რომ ჩემს სათქმელს კინოში უფრო მეტად ვიტყოდი, ვიდრე პროზაში თუ ბელეტრისტიკაში...

მსახიობი პროექტორს ჩართავს და სავარძელში ჯდება. ეკრანზე ჩნდება კადრები მეორე მსოფლიო ომის საბჭოთა კინონადავლის – ამერიკული ფილმებიდან.

(უყურებს ეკრანს აღტაცებით): ჩვენს კინოთეატრში „ტრაფეინი“ ანუ ნადავლის ფილმები გამოჩნდა. მთელი ქალაქი დადიოდა ამ ფილმების სანახავად *(მაყურებლისკენ)*.

ერთ დღეს გაზეთიდან შემთხვევით გავიგე, რომ მოსკოვის საკავშირო კინოს ინსტიტუტი აცხადებს მიღებას სასცენარო ფაკულტეტზე... (*აღელვებული*) მოსვენება დამეკარგა... ბევრი ვიფიქრე და ბოლოს გადავწყვიტე – უნდა წავიდე!

სამგზავრო თანხა – 800 მანეთი – დედაჩემმა მეზობლებისგან ისესხა და სადგურში გამაცილა. ეს ამბავი მამაჩემმა მხოლოდ სახლში დაბრუნების შემდეგ გაიგო. ჯერ გაბრაზდა, მერე დამშვიდებით უთქვამს – გამოცდებს მაინც ვერ ჩააბარებს და მალე სახლში დაბრუნდებაო...

ისმის რადიოს ხმა: მოსკოვის დროით საღამოს ნოლ ექვსი საათია **(ისმის საათის სიგნალის ხმა). მსახიობი პორტფელს გახსნის და იქიდან კონვერტების შეკვრას ამოიღებს, შემდეგ მაგიდაზე აწყობს და საქმიანი სახით შეუდგება სათითაოდ გახსნას.**

მსახიობი *(კითხულობს)*: სალამი, დედა! ჩვენი ინსტიტუტი ერთადერთია საბჭოთა კავშირში და მთელ ევროპაშიც. ამიტომ ბევრი ხალხი აწყდება. მე ქალაქიდან მოშორებით, საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. აქედან ინსტიტუტამდე ერთი საათის გზაა ელექტრომატარებლით... როცა ტრანსპორტის ფული არ მაქვს, სასწავლებელში ფეხით დავდივარ.

პორტფელს გახსნის და იქიდან მაჯის საათს ამოიღებს, მექანიზმს მომართავს და მაჯაზე იკეთებს.

დღეს მივიღე თქვენგან გამოგზავნილი 200 მანეთი. ძალიან გაჭირვებული ვიყავი და კარგ დროს მივიღე. ვაპირებდი საათის გაყიდვას. გუშინწინ ვიყავი მესაათესთან. შენი საათი ძალიან ძვირფასია და „კამისიონი მაგაზინში“ გაყიდეო. მე, რა თქმა უნდა, „კამისიონში“ არ წავსულვარ და ძალიან მიხარია, რომ საათი გადამირჩა...

მერე წავედი ერთ ნაცნობთან და 6 თუმანი ვისესხე. ახლა კი ამ ფულმაც მომისწრო. თქვენ, ალბათ, ბრაზდებით, რომ ასე ხშირად გთხოვთ ფულს, მაგრამ, რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია.

რადიოხმა: ძია დავითი ტრაგიკული ტონით აცხადებს ცნობას სტალინის გარდაცვალების შესახებ. ჟღერს სამგლოვიარო მუსიკა. ეკრანზე ჩნდება 1953 წლის 9 მარტის სამგლოვიარო პროცესიის

კადრები. ხალხის უსასრულო ნაკადში ადამიანების გაოგნებული და სასოწარკვეთილი სახეები მოჩანს. გამოსახულების ჩაბნელება.

მსახიობს მოზრდილი ყუთი შემოაქვს სცენაზე. ყუთს იატაკზე დადგამს და აღელვებული, ნივთების ამოყრას შეუდგება... სცენაზე იყრება ქალის, მამაკაცის, ბავშვის ფეხსაცმელები, ქუდები, შლაპები, შარფები, ჩანთები, კალოშები, სათვალის ჩარჩოები.

მსახიობი *(იატაკიდან აღებულ დამტვრეულ სათვალეს იკეთებს, შემდეგ მაგიდასთან მიდის, ერთ-ერთ კონვერტს აიღებს, იქიდან წერილს ამოიღებს და კითხულობს).*

სალამი, დედა! დღეს... 9 მარტს ტრუბნაიას მოედანზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა... მე და ჩემი ინსტიტუტის მეგობრები გრძელ პროცესიას მივუყვებოდით, როცა, მოულოდნელად, ხალხის უზარმაზარმა ტალღამ სადღაც გადამისროლა... არ ვიცი, როგორ მაგრამ... რაღაც სასწაულებრივად გადავურჩი ჭყლეტას... *(ოდნავ წაბორძიკდება, შეშინებული აქეთ-იქით იყურება და ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით ამბობს*), მოედანზე მასობრივ ჭყლეტას ასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა... თუმცა ამის შესახებ არავინ საუბრობს... ყველა დუმს...

მსახიობი მაჯის საათზე დაიხედავს, ყურთან მიიტანს, დარწმუნდება, რომ მუშაობს. წერილს დაკეცავს და ისევ კონვერტში ჩადებს, წამით ჩაფიქრდება, შეყოყმანდება, ჯიბიდან ასანთს ამოიღებს, ღერს გაკრავს და კონვერტს ცეცხლს მოუკიდებს.

დაბნელება.

სცენის მარცხენა კუთხეში შუქი ეცემა კინოპავილიონის დეკორაციას. ეკრანზე ჩნდება კინოპავილიონის სპეციფიკური ანტურაჟი. მსახიობი ღია გარდერობთან მიდის, საკიდიდან მუქი ფერის პიჯაკს ჩამოხსნის, ჩაიცვამს, კისერზე ჰალსტუხს იკეთებს, თავზე კეპს მოირგებს, გულის ჯიბესთან ავტოკალამს დაიმაგრებს, ხელში ტყავის პორტფელს დაიჭერს და კინოსტუდიის პავილიონის მაკეტისკენ გაეშურება. ისმის 1950-იანი წლების საბჭოთა საესტრადო (ჯაზის) მუსიკა.

მსახიობი *(თავმომწონედ):* სალამი, დედა! ჩვენი ინსტიტუტი და კინოსტუდია ერთ შენობაშია მოთავსებული. აქვეა კინოფაბრიკა, პავილიონები... მოკლედ მთელი კინოქალაქია ჩვენს გარშემო.

ახლა იღებენ კინოფილმს, რომელიც 7 მილიონი მანეთი ჯდება. მოკლედ, არც ერთ დარგს არ ხმარდება იმდენი, რამდენიც კინოს. სამაგიეროდ, მომგებიანიცაა. კინომუშაკები ყველაზე უფრო დაფასებული ხალხია ამ ქალაქში. ჩვენს ინსტიტუტში ყველა ლექტორს „პაბედა“ ჰყავს (*ბოლო ფრაზას ხაზგასმით წარმოთქვამს, მაკეტიდან სათამაშო ავტომობილ „პობედას“ იღებს და საწერ მაგიდაზე გაატარებს*, მაყურებლისკენ მიბრუნებული, აგრძელებს ოპტიმისტური ტონით)

– სალამი, დედა! მე კარგად ვარ. გამოცდები ჩავაბარე. ყველაფერში ოთხიანები მივიღე, მხოლოდ ერთი ხუთიანი მაქვს. ასე რომ, სტეპენდია მექნება. შარვალ-კოსტუმი კარგი ვიყიდე. პირველად რომ ჩამოვედი, ცუდად ჩაცმული ვიყავი, ახლა კი პიჟონივით დავდივარ *(პიჯაკის საყელოს და კეპს გაისწორებს).* მოკლედ, სულ ჩქარა მაგრად გავიწევი... გიგზავნი ჩემს ფოტოსურათებს...

მსახიობი სცენის ცენტრში დგება, დარბაზისკენ შებრუნებული, თითქოს ფოტოკამერის წინ პოზირებს. ფოტოაპარატის ყოველი გაჩხაკუნების ხმაზე მსახიობს მკვეთრად ეცემა შუქი (გაელვებით).

ჩაბნელება.

მსახიობი ფირის კოლოფების ყუთს (კონტეინერს) საწერი მაგიდის გვერდით დგამს, შემდეგ ტუმბოდან საბეჭდ მანქანას იღებს და მაგიდაზე დადგამს; უჯრიდან ამოღებულ საბეჭდ ფურცლებს მანქანის მექანიზმში ჩადებს და საქმიანი სახით შეუდგება ბეჭდვას.

მსახიობი *(სერიოზული ტონით):* განცხადება საქართველოს კულტურის მინისტრს...

გამომგზავნეს თბილისის კინოსტუდიაში სასცენარო განყოფილების რედაქტორის თანამდებობაზე, ამავე კინოსტუდიის თხოვნის საფუძველზე – საგზურის №927/54.

სტუდიის დირექტორმა გამომიცხადა, რომ თავისუფალი ადგილის უქონლობის გამო მას საშუალება არ აქვს დამნიშნოს სამუშაოზე დანიშნულებისამებრ *(ბოლო სიტყვას ხაზგასმით წარმოთქვამს გამოჯავრებით).* ამასთანავე, მან მირჩია დამეწყო მუშაობა სცენარზე და წინადადება მომცა უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში დამეწერა სცენარის ლიბრეტო და წარმედგინა იგი სტუდიისათვის. დირექტორის ეს მოთხოვნა შევასრულე *(პიჯაკის ჯიბიდან იღებს კალამს და მაგიდაზე დადებს).*

პასუხად კი... სამსახურიდან მომხსნეს *(წამოდგება, იხდის პიჯაკს და სკამის საზურგეზე გადაკიდებს, შემდეგ ჰალტუხსაც შეიხსნის და სავარძელში მოისვრის, სახეზე დამცინავი ირონია და სარკაზმი ეხატება).* ლიბრეტოზე მუშაობა მიხდებოდა უბინაობის პირობებში და ასე... ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე... მიშვებთ კინოსტუდიიდან, გამოდის, რომ პირდაპირ ქუჩაში მაგდებთ *(მაჯიდან საათს იხსნის და მაგიდაზე დებს)* მართალია, ეს ლიბრეტო ერთ კვირაში დავწერე... ისიც უბინაობის პირობებში; კინოსტუდიის დირექციამ კარგად იცოდა ყოველივე ამის შესახებ *(კეპს იხსნის და იმასაც გვერდით მოისვრის).*

მიდის კინოპავილიონის მაკეტთან. ხელში იღებს სათამაშო ავტომობილს „პობედას“, უყურებს ირონიული სახით, შემდეგ საწერ მაგიდაზე გაასრიალებს.

მიუხედავად ამისა, მე ახლაც არ მიმაჩნია ისეთად, რომ იგი შეფასებულ იქნას, როგორც „ყოვლად უვარგისი“! მე გავეცანი სხვა ლიბრეტოებსაც და იმ დასკვნამდე მივედი, რომ კინოსტუდიაში საერთოდ არ გაეგებათ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ლიბრეტო.

სათამაშო „პობედას“ აიღებს და ხელის გულზე „გაატარებს“.

აქ ზედმეტი ხელგაშლილობით ხვდებიან ე. წ. ლიტერატურულ დიდკაცობას, ან სრულიად შემთხვევით, ასე ვთქვათ, პირდაპირ ქუჩიდან მოსულ „ავტორებს“ *(დაცინვით)...*

ისმის გემის საყვირის ხმა...

მსახიობი *(ტაშს შემოკრავს და კინოკამერისკენ მიბრუნებული იძახის):* **ეპიზოდი #7.** კინოსცენარები.

შუქი ეცემა მაკეტს – ბათუმის სასტუმრო „ინტურისტი“. ეკრანზე ჩნდება ფრაგმენტები ფილმიდან „სეინერები გადიან ზღვაში“. მსახიობი ეკრანის წინ სავარძელში ჯდება და უყურებს ეკრანს.

ჩემი პირველი სცენარი ბათუმელ კაპიტანზე – გივი უკლებაზე დავწერე... სცენარის გმირები ზღვა და ზღვის ადამიანებია.

ეკრანზე ჩნდება კინოქრონიკა. ფილმის „ზღვის ბილიკი“ გადაღების მომენტები.

მსახიობი (ხალისიან განწყობაზე): ბათუმში ხშირად ნახავთ ფილმის გადამღებ ჯგუფებს – ახლა სანაპიროზე იღებენ ფილმს მოხუც მეზღვაურზე, რომელსაც მსახიობი სერგო ზაქარიაძე ასრულ-

ებს. ფილმის რეჟისორი რეზო ჩხეიძეა – ჩვენ კინოს ინსტიტუტიდან ვიცნობთ ერთმანეთს. სანაპიროზე გავდივარ ხოლმე და მსახიობის თამაშს ვაკვირდები... მინდა, რომ სპეციალურად ამ მსახიობისთვის დავწერო სცენარი, რომელსაც რეზო ჩხეიძე გადაიღებს.

მსახიობი რკინის კონტეინერიდან კინოფირის რგოლს იღებს, გაშლის და პროჟექტორის სინათლეზე უყურებს. ცელულოიდის ხვეულები თანდათან ეფინება საწერ მაგიდას. მსახიობი მაგიდას მიუჯდება და საქმიანად შეუდგება მანქანაზე ბეჭდვას.

(ომახიანად) განცხადება კინოსტუდიის დირექტორს (პაუზა). უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც განუწყვეტლად ვმუშაობ სცენარზე „ჯარისკაცის მამა“ (ბეჭდავს). სცენარის პირველი ვარიანტები დავწერე ყოველგვარი ხელშეკრულებისა და ავანსის გარეშე... ასევე შემდეგი, მესამე, ავანსის მიუღებლად.

15 თვის მანძილზე ვმუშაობდი სცენარის მესამე და მეოთხე ვარიანტებზე... მაშინ, როცა სცენარის საბოლოო ვარიანტი უკვე დამტკიცებულია, კინოსტუდიის სამხატვრო საბჭო უარს აცხადებს სცენარის მიღებაზე...

(ქაღალდის ფურცელს იღებს და ირონიულად გამოაჯავრებს) – თქვენს სცენარში გიორგი მახარაშვილი ზედმეტად იდეალიზებულია და ჰეროიკული!!!

მსახიობი *(თავდაჯერებით)*: გიორგი არსად არავითარ განსაკუთრებულ გმირობას არ იჩენს. ვისაც ომი უნახავს ან ომზე დაწერილი ნაწარმოები წაუკითხავს, მან კარგად იცის, რომ ჯარისკაცის ცხოვრება ფრონტზე, ეს მძიმე და ხიფათიანი შრომაა.

კინოფირს გაშლის და აღელვებული სახით იწყებს მაკრატლით დაჭრას.

მსახიობი (დაცინვით *გამოაჯავრებს*): ის ყველაზე უშიშარია!

ყველაზე გულკეთილი! *(დაცინვით)*

პაუზა. *(თავს ანებებს კინოფირის მაკრატლით ჭრას და დარბაზს მიმართავს)* საერთოდ, გიორგი სცენარში გააზრებულია, როგორც კეთილი ადამიანი. რა არის ამაში დასაგმობი? *(გაკვირვებული)* ახლა ხელის ერთი მოსმით „ანადგურებენ“ სცენარს, რომელზედაც მე რეჟისორთან ერთად ორი წლის განმავლობაში ვიმუშავე, და რომელშიც ჩავაქსოვე უდიდესი ენერგია და მთელი ის გამოცდილება, რომელიც ომიდან გამომყვა... ბრძოლებში სამჯერ ვარ დაჭრილი. მიღებული მაქვს შვიდი ჭრილობა და კონტუზია.

კინოსტუდიის დირექტორს ვთხოვ ჩაერიოს საქმეში და დაიცვას სცენარი უსაფუძვლო და უსამართლო თავდასხმებისგან.

ჩვენს კინოსტუდიას ჯერ არც ერთი საყურადღებო ფილმი არ შეუქმნია ისეთი დიდი მოვლენის შესახებ, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომი, ეს მაშინ, როცა ქართველმა ხალხმა უდიდესი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურების საქმეში.

ამ ომში 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი წავიდა და იქიდან ნახევარზე მეტი არ დაბრუნებულა!

ეს თემა არ არის წარსულის თემა, არამედ დღევანდელი დღისა და მომავლის თემაა. იგი ეხება მომავლის წინაშე ჩვენს თანამედროვეთა პასუხისმგებლობის გრძნობას!

ეკრანზე ჩნდება ფრაგმენტები ფილმიდან „ჯარისკაცის მამა“, რასაც მოსდევს საერთაშორისო კინოფესტივალის ქრონიკები. ფილმის აღიარებისა და წარმატების ამსახველი კადრები. ეკრანის

ჩაბნელება. შუქი ისევ ეცემა კინოპავილიონის მაკეტს. მსახიობი სათამაშო სატვირთო მანქანას იღებს და ხელით გაატარებს.

ეკრანის ჩაბნელება. შუქი ეცემა მსახიობს, რომელიც საწერ მაგიდათან დგას და ელექტროსაპარსით წვერს იპარსავს.

მსახიობი *(ჩაფიქრებული)* – ჰოდა, ვფიქრობდი, – აი, დავამთავრებ სკოლას, სტუდენტი გავხდები და ბედნიერი ვიქნები. მერე, სტუდენტი რომ გავხდი, ვფიქრობდი, – აი, დავამთავრებ ინსტიტუტს და ბედნიერი ვიქნები. ამასობაში ომიც დაიწყო. ვფიქრობდი – აი, გავიმარჯვებთ, შევუდგები მშვიდობიან ცხოვრებას და ბედნიერი ვიქნები... *(წვერის გაპარსვას დაასრულებს)* თურმე ბედნიერება ის იყო, როცა სკოლაში დავდიოდი, როცა ინსტიტუტში ვსწავლობდი, როცა ახალგაზრდა ვიყავი და ვომობდი. ამას ახლა ვხვდები... *(ჩაიცინებს)*

სცენაზე შუქი ქრება. პროექცია ეკრანზე: ფილმის „ღიმილის ბიჭების“ გადაღების ეპიზოდი – კინოქრონიკა. ფილმის ახალგაზრდა გმირები ტრამვაის მისდევენ. ფილმის ეპიზოდს ღია მანქანიდან იღებს რეჟისორი და ოპერატორი.

ეკრანის ჩაბნელება. მსახიობი სამგზავრო ჩემოდანს მაგიდაზე დადებს, გახსნის და ელექტროსაპარსს და ფოტოაპარატს ჩადებს.

მსახიობი *(აღელვებით):* ჩვენს ოჯახში დიდხანს ინახებოდა გაცრეცილი ლურჯი ფურცელი, რომლითაც ჩემს მშობლებს ატყობინებდნენ, რომ მათი შვილი გმირულად დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში. იქვე ეწერა საძმო საფლავის მისამართი – სადღაც, უკრაინაში, პატარა დასახლებულ პუნქტში...

მერე დაღუპვის ცნობა – ეს ლურჯი ფურცელი – სადღაც დაიკარგა. იმ დასახლებული პუნქტის სახელიც გადამავიწყდა... მას შემდეგ სულ იმაზე ვოცნებობ, რომ წავიდე და მოვძებნო ის დასახლებული პუნქტი, ის საძმო საფლავი. რატომღაც მგონია, რომ იქაურობის უნახაობით რაღაც გამომრჩა ცხოვრებაში, სადღაც დაირღვა დროთა კავშირი.

შემოდის ზღვისა და ქარის ზუზუნის ხმები. მსახიობი სანგრების „დეკორაციასთან“ მიდის, ფოტოაპარატს მოიმარჯვებს და კადრებს იღებს.

მსახიობი (*სევდიანად*): აქ ყველაფერი ისეა სახეშეცვლილი, რომ ვეღარაფერს ვცნობ. სულ სხვა ქუჩები, სხვა ეზოები... მხოლოდ ლანდშაფტია იგივე. ლანდშაფტი და ბექობზე გადმომდგარი ის ეკლესია *(ეკლესიის სამრეკლოს ზარის ხმა).* აგერ ორკუზიანი მთაც გამოჩნდა *(აჩვენებს)*... ესეც ჩემი სანგარი *(უყურებს გახარებული სახით)*... მიწა ინახავს ხსოვნას, ადამიანებმაც როგორ არ უნდა შეინახონ იგი?! *(თვალს მოკრავს და გაეღიმება),* გაშლილ ველზეც ისევ ბიბინებს მწვანე ბალახი და გვირილები...

ყრუდ ისმის ქვემეხის გრუხუნი.

აი, აქ, ვისხედით ჯარისკაცები ტრანშეაში, ვუყურებდით იმ მთას *(ხელით აჩვენებს*), სადაც ფაშისტები იყვნენ გამაგრებულნი, და ვნატრობდით, ნეტავ ამ მთის იქით გადაგვახედაო... (*შეწუხებული):* მაგრამ მე რა მომდის? თვალთ მიბნელდება *(მხრებში ოდნავ მოიხრება, მკერდთან ხელს მიიჭერს)* უეცრად მკერდში საშინელ დარტყმას ვგრძნობ... მთის თხემამდე ორიოდე ნაბიჯია... *(თითქოს სურს ხელით შეეხოს)* უფრო იქით – ლურჯი ცის ნათელი უსაზღვროება... *(პაუზა)* „ის“ ნაღმის ნამსხვრევი... *(რაღაც გაახსენდება, სახეზე ტკივილი და ტანჯვა ეხატება)* ისევ დაიძრა მიზნისაკენ... *(ოდნავ წაბარბაცდება)*

ეჰ, სწორად უთქვამს პოეტს: „ჩვენ სიბერისაგან კი არა, ძველი ჭრილობისაგან გარდავიცვლებით!“ *(ჩაიკეცება).*

ჩაბნელება. შუქი ეცემა მსახიობს. იგი თეთრი სკამის საზურგეს არის ორივე ხელით ჩაჭიდებული და სევდიანი ხმით აცხადებს: ეპიზოდი #8, სულიკო ჟღენტის უკანასკნელი ლექსი.

ქარიან, უკუნ ღამეში
ბავშვი ეძებდა დედას.
ძახილში იყო ვედრება და უნაპირო სევდა.
იყო იმედი შველის, იმედი გადარჩენის,
მშობლის გამოჩენის და ყველა დანარჩენის,
რითაც სავსეა ღამე და სასოება ჩვენი,
ამ მიუსაფარ ღამეს მოსავს ქარი და ბნელი,
დედა, მითხარი რამე! შეშინებული ბავშვი
ამ წყვდიადში და ქარში შენს გამოჩენას ველი...

დაბნელება. სცენის გარშემო შუქი ვარსკვლავებად აინთება.

ხმა სცენის მიღმა: იდუმალებითაა მოცული კომეტების ბედი. ისინი სამყაროს უშორესი წერტილებიდან მოგვევლინებიან და კვლავ უკან ბრუნდებიან. ხდება ხოლმე, რომ ის წავა, გადაიკარგება სამყაროს უსასრულობაში, შემდეგ კი კვლავ გვეწვევა და მას ჩვენი შორეული თაობები დაინახავენ...

შუქი ეცემა მსახიობს. ცალ ხელში ნერგი უჭირავს, რომლის ფესვებზე თეთრი სველი ტილოა შემოხვეული.

მსახიობი *(ვიდეოკამერისკენ, აცხადებს):* სულიკო ჟღენტი, პიესა „მიწის შვილები“, ეპიზოდი #9.

მსახიობი სცენის ცენტრში ნერგის „დარგვას“ შეუდგება.

ადამიანი, ეტყობა, მაინც მთლიანად არასოდეს კვდება, რადგან ყოველ ჩვენგანში ჩვენი წინაპარი ცხოვრობს. ყოველი ჩვენგანი დიდი ხანია დაიწყო და დასრულება არ უწერია, რადგან დაუსაბამოა ეს სიცოცხლე, უსრული და უკიდეგანო, როგორც ეს ვარსკვლავებიანი ცა, ეს გვირილებით სავსე დედამიწა, ეს სიყვარულით სავსე ჰაერი, ყველაფერი ის, რისთვისაც ღირს სიცოცხლეცა და სიკვდილიც.

ჩვენი დედამიწა შორიდან რომ დაინახო, ერთი ბეწოა, მაგრამ ჩვენთვის – ადამიანებისათვის, გაუთავებელი სახნავ-სათესი, ვაზისა და ნერგის გასახარელი, მარჩენალი დედამიწა...

მსახიობი სცენიდან გადის. ისმის მუსიკა. სცენის სიღრმეში ნერგების დეკორაცია განათდება.

დასასრული

2020 წ.

დედა კურტანიძე

* * *

ერთი კილო ინტროვერტი ამიწონეთ,
შავ პარასკევს ინტროვერტების
ბუნდღა არ დატოვეს,
ეს ხამი ხალხი!
წელიწადში კი მაგრამ
რამდენი პარასკევია?

იქნებ მეც შემევლო თვალი
ვიტრინებში გამოკიდებული ინტროვერტებისთვის
red light street-ის
შუქები რომ ლიცლიცებენ წინ
და მაინც რაღაცნაირი ხელშეუხებელია.

როგორი ხარისხის ინტროვერტებს ელოდებით შემდეგ კვირაში?
ამ თაროზე ვხედავ,
ჩამოფასებულებია,
ობი მოსდებიათ,
მალე აყროლდება კიდეც,
ძაღლებს მაინც მიუყარეთ, მადლი არ არის?

მაინც რაღაცნაირად ჟღერს
ეს სიტყვა ინტროვერტი,
რაღაცნაირი cool არის,
გესმის და რაღაც ბნელ ხვეულებში შესვლა გინდება
(რამდენი ხანია არავიში შესულხართ?),
აი, როგორც ბავშვობაში,
გვეძინა და ვეღარც გვეძინა,
ვეღარც ვფხიზლობდით,
სანამ საწოლქვეშ

რამე გოლიათებს არ აღმოვაჩენდით,
რომელთაც არაფერი განსაკუთრებული არ ერქვათ,
არც ინტრივერტივით cool იყო
ან შესაბრალისი
ან გასაზომი
ან შესაფუთი
ან ასაწონი,
ვინაიდან ვიცოდით,
გავიზრდებოდით და
ის უნახავი გოლიათი
აუცილებლად გადაგვეყრებოდა
სადმე გზაზე.

* * *

კამერებს თვალი არსად გაურბით,
ვაგონები კი შეასკდნენ გვირაბს
თავით
და დღემაც
გამოიხედა ზედა ფანჯრიდან.
ამოძრავდება ურიგო და უხმო ხეები
ვერმოწყვეტილი თავის ადგილს
სიმწვანე ვეღარ შერჩენილი მწვანე თვალებით.

ამოტუმბული დედამიწა
ითხოვს შველას და
ვინც რამეს კიდევ მოელოდა მისგან გზადაგზა
თვითონ ჩავიდა ვერჩასვლის შიშით.

ერთი სადგურიც და მივაღწევთ
უცხო ქალაქში,
მისტიურ და კვლავ ჩაუმქრალი
სიხარულისკენ
და საბაჟოზე მებაჟის წინ ზეავწევთ ხელებს.

ერთი ჩემოდნით,
თმებით მხრებზე
შეავლე თვალი
იმ ობიექტივს
ან ობიექტს,
ვინ იცის, იქნებ სახეს ეცხოს
გვირაბის კვამლი.

* * *

წარმოვიდგინე,
რომ მე ვარ გოგონა,
რომელიც მეტროს ვაგონში ცხოვრობს,
ყოველ დღე ვიცვლი სადგურებს
და არ მბეზრდება,
ვასწორებ საათებს
და მგზავრებს ჩამოსვლის უფლებას
ვაძლევ.

ისინი ვერ მხედავენ მე,
მაგრამ ჩემგან კურთხეულები არიან,
მათ ჩემი ლოცვა იცავთ,
მე ვკრებ მათ ფიქრებს და
მატარებლის ფანჯრებში ვბლარავ,
ხალხს კი ჰგონია რომ
მატარებელი უსწრაფესად მიჰქრის,
მე ფერადი გოგონა ვარ –
წითლით წელს ზემოთ,
წელს ქვემოთ კი კაშკაშა ყვითელი ვარ,
ცისფერი ლენტით მაქვს შეკრული წელი,
ჩემი თვალები კი გამჭვირვალეა,
მე ვიცავ ფეხზე მდგომ მგზავრებს,
მე მათ ხელებს ძალას ვაძლევ,
კარგად მოეჭიდონ სახელურებს,
ერთმანეთს,
და მიყვნენ სიჩქარის დინებას,
არ მსხდომებს ვაკლებ ყურადღებას,
მე მათი სხეულის ანაბეჭდებს
ვფანტავ ჰაერში,
რათა მეტროს ჰქონდეს
სპეციფიური სუნი,
ყოველ ასვლა-ჩამოსვლას კი
მოძრაობის გემო.

მე ვარ სიჩუმე და მოლოდინი,
ერთწუთიანი ან ოდნავ მეტი,
მე ნერვიული ბოლთა ვარ
და მთვრალის სიხარული,

რომელსაც გაუმართლა და
ვერ შეამჩნიეს.

არა, კი არ წარმოვიდგენ,
არამედ მე ვარ გოგონა და
მე მეტროს ვაგონში ვცხოვრობ,
მე გამჭვირვალე ვარ და ვერავინ მხედავს,
მაგრამ მატარებლის პირველი დაკივლებისას
მაინც ვკრთი და ვიმალები,
თითქოს ეს სიცოცხლესთან
მოუმზადებელი შეხვედრა იყოს.

* * *

რანაირია ეს ღმერთი,
უკომპრომისო,
შემაძრწუნებლად მაღალი ღმერთი,
მე კი მოციმციმე მონიტორი ნელ-ნელა მიშრობს თვალებს
და ღმერთის ასტიგმატური გამოსახულება
მახსენებს ჩემს ყველა შეცდომას –
რომ ჩემს თვალებს ცრემლი აკლია.

რომ ჩემი თვალები
უქმე გამოსახულებებზე დაიხარჯნენ,
რომ თვალის უპეებისთვის სხვა კრემი მაქვს,
რომელიც დიდი ხანია რომელიღაც ყუთში ჩავდე,
კანი ხომ მხოლოდ კანია
მაინც დაფარავს დასაფარს,
აი, ცისფერი მონიტორის წინ კი
ყველა ჩემს მკრეხელობაზე სათითაოდ იტყვის.

მაინც რა მაღალია ღმერთი
და მე როგორ მივგავარ ერთწლოვან ყვავილებს,
რომელიც წელიწადში მინიმუმ ერთხელ კვდება,
მეორე წელს კი ისევ იმხელა იზრდება,
რომელმაც ცას ვერასოდეს მიაღწია,
მაგრამ მაქვს ცისფერი მონიტორი,
როგორც ღმერთის ასტიგმატური გამოსახულება,
რომელიც დაუნდობლად მიშრობს თვალებს.

* * *

ქუჩის ძაღლებისთვის რა გვაქვს რომ შევთავაზოთ?
გაირყვნა ყველა გეგმა და ამოსავალ წერტილად იქცა ერთი პეშვი გართობა,
წინწკლავს წვიმა და ეს დარმატინელის სევდაა
ან ბედისწერის ხაზები ხელისგულზე,
ან დაგვიანებული და აღარმოსული ტრამვაი,
აუღებელი ბილეთი და აუღიარებელი შერიგება,

გუშინ ხელისგულებს ვაწებებდი ლოყებს
და მეგონა გავაშრე ყველა მოგონება და გასაიდუმლოებული ვნება,
ამოსაკემსი წინდები
ჩემი კაპილარებით ამოვავსე,
ჩემი ფეხით მივიტანე საკერავი მანქანა
მეზობლის ანტიკვარიატის მაღაზიაში,
მაღაზიაში რომლის წინ ქუჩის ძაღლები ტრიალებენ,
რომლებიც ვერ შეჭამენ ჩვენს მოგონებებს,
ვერც ხელისგულებს გავუშვერთ ასალოკად,
მაქსიმუმ მოწყალება
გამოვითხოვოთ.

* * *

მე ბროწეულის ხესთან დამელოდება ჩემი ღმერთი,
აფეთქებულ ყვავილებთან,
გადამსკდარ ნაყოფთან,
ტოტები კი უძრავად შრიალებენ
და ჩრდილში,
ჩრდილში ზის ჩემი ღმერთი!

დღევანდელი ცა
არც ისე ნაცრისფერია
და არც ისე მათბობს
ფოთოლცვენამიხატული ღიმილი,
მე ჩემს აივანზე გავალ
და გადავხედავ გამოუძინებელ ქალაქს,
უორგაზმო კორპუსებს,
ნევროტულ ქუჩებს...

ჩემი ერთი ამოსუნთქვა
ერთი აბი ანტიდეპრესანტია,

რადგან მთელი შემოდგომის ჰაერი
ჩამეყინა ფილტვებში,
ჩემი ნეკნები აკვნის არტახებია,
რომელშიც შემკოჭეს.

მთელი შემოდგომა
ნევროლოგის ოთახის წინ ჯდომას ჰგავს,
თეთრხალათიანი ექიმები
ჩამოცვენილი ფოთლებივით დადიან
და ეს სეზონის
მთავარი დღესასწაული არის.

კიდევ ერთი აბი და
ფილტვებს გავითავისუფლებ
და თვალები დაინახავს
შენით ავსებულ ქუჩებს,
რომელსაც ბროწეულის ხისკენ მივყავარ,
სადაც დაღლილი ღმერთი მელოდება.

* * *

ეს გზა ტაძრამდე მიმიყვანს?
ეს საერთოდ არაა გზა,
ეს ჟანგბადის ზოლებია
და მასზე, როგორც სათხილამურო ტრასაზე,
გაიელვებს ცეცხლი,
და მე და ჩემი რომელიმე წარსულში ჩატოვებული თავი
გავერთხმებით მიწაზე.

ვუყურებ საკურთხეველს
ან კარავს,
რომელიც ახლოსაა ტბასთან,
სადაც ღამღამობით
ყველაზე შერყვნილ მთვარეს ვხედავ,
მაგრამ მისი ვნებები გაფილტრულია თოვლის ვერცხლისფერში.
ვუყურებ და ვფიქრობ,
აღარაფერი დამრჩა აღსარებაზე სათქმელი ღმერთო,
რადგან ჩემმა წუხილმა
სიტყვების ჯუნგლები ვერ გაკაფა.

უკანაც თვითონ მოვისროლე სავარცხელი.

ასე მშრალად
და თვალების ცივი ელვარებით
როგორ თანავიარსებოთ დიდო ღმერთო?

დილით სარეცხი გავფინე
და ჩემი სველი მაისური ისე დაეკიდა თოკზე,
ვიფიქრე, ველარ გავიმართებოდი,
ყოველ გაშრობას ხომ
თითო ჩვენი სიზმარი მიაქვს.

მე მაინც ყოველ ღამე
სიფხიზლისა და უფრო დიდ
რეალობას შორის გაკიდული
ასე ვშრები თიხისგან და ქვიშისგან
და ზღვის ქაფებს
მარადიული სილურჯე მოაქვთ.

ეს გზა ტაძართან მიმიყვანს?
აღარაა გზა, აქ მხოლოდ ქარაფებია,
სადაც მხოლოდ ლამაზრქიანი ჯიხვების ნახვა შეიძლება
და თვალებბრიალა არწივების,
ძლიერი ფრთებით
ყოველი შეფართქუნებისას
ყინულიან ქარაფებში რომ გადაუშვებენ ჩემს ცოდვებს.

* * *

ჩემი ლამაზი ბიჭი
შემოდგომას გაურბის,
მაგრამ მაინც შემოიხვევს ხოლმე
მუქ მწვანე შარფს და
იისფერ პალტოში გაეხვევა
და ჩამოყრილი მხრებით გაიღიმებს.

ჩემი ლამაზი ბიჭი
მარად მოხეტიალე ქარავანს ჰგავს,
რომელმაც ვერასოდეს დააღწია თავი უდაბნოს
და ოქროსფერ სიცხეს
მხოლოდ თავის სხეულში ატარებს.

ველარ ვერევი შიშებს
რომ ოდესღაც უდაბნოს ქვიშას

ალაგმავს ქარი
და წაიშლება მისი ნაფეხურები
და მასზე ევკალიპტები
წამოიმართებიან.

ჩემი მშვენიერი ბიჭი
მაგონებს ყავის ორთქლს,
რომელსაც ყოველ დილით
ჩემს აივანზე ვფანტავ სველი ტუჩებით
და მის არომატულ გამჭვირვალებაში
ტყდება მთელი ქალაქი.

მე უკვე გადამიტყდა ხერხემალი.

და ჩემი დაშლილი ნეკნებისგან
ის ვერასოდეს ააწყობს ფაზლს,
რადგან საკუთარი გულმკერდი
დაუნდობლად შეუშვირა ჩანჩქერებს,
რადგან მის გულში
მთელი უდაბნოს მცხუნვარება ჩატეულა
და ქარავანიც აღარსად მიდის.

* * *

ღმერთო,
მე და შენ უნდა დავილაპარკოთ,
ცოტა მკაცრად დაგელაპარაკები,
ცოტა ხნით დამითმე ეს როლი,
რა საჭირო იყო ამდენი ენა,
ველარაფერი გადავთარგმნე ჩემს ენაზე,
ყველაფერი უცხოა და საჭიროებს სწავლას,
ღამეების თენებას,
მე კი საყვარლის მკლავებშიც კი ვერ გავათენე,
მხოლოდ სიგარეტთან
და თხუთმეტ ფინჯან ყავასთან
და ლექსებთან,
რომელსაც მრავალნი გადათარგმნიან,
მაგრამ რა ვქნა ახლა,
შემომრჩა ამდენი კინო,
ამდენი ლექსი,
ამდენი ფრაზა

უნახავ-წაუკითხავი და ეზო
რომელშიც იმდენი გორაკებია,
წავიქეცი
და ფეხი ვიტკინე,
ზუსტად ისე
როგორც ხუთი წლის ასაკში,
მერე მამამ რომ მომბანა ჭრილობა,
მაგრამ შრამი ველარ ამოშანთა.
ჩამოდი ცოტა ქვემოთ ღმერთო,
სახეს ვიჩრდილავ, ფეხის წვერებზე ვდგები,
მაინც ვერ დაგინახე.

* * *

ჰეი,
ნუ ზიხარ ასე,
სახით ჩემსკენ და
ზურგისშექცევით,
გამომიარე,
ჩვენ გველოდება
ლურჯი იები
და ფინჯანი
რძიანი ყავა.

ვერ გავასახლებთ ატომურ ბომბებს
ჩვენი სულიდან
და სულ ერთია
ჩერნობილს თუ
სოდომს ვატარებთ,
სულით,
და ალბათ ასე ჯდომა უარესია,
შენ ოღონდ თქვი და
შენ ოღონდ ჰქმენ და...

გამორთე ძრავი, წამწამებზე
შეგეხოს ქარი
და ალბათ თმებსაც არ ექნებათ
ჩემი სურნელი,
მოძებნე ცაზე მზე და
გამომიარე,
გაგიხსნი კარებს

ამოვსებულს
მზით და მარილით.

ნუ იოცნებებ, რომ
ზურგჩანთით გაექცე გზებს და
გაექცე თვალის მრავალტიხრულ
ფერებს, რომელსაც
ჩვენ ერთად ვქმნიდით
ერთმანეთზე შემონათებით.

თუ მხრებზე მძიმე გადევს ხელი,
ნუ გაიქცევი,
უბრალოდ უკან მოიხედე,
ვიღაც გიღიმის –
ოღონდ შენ თქვი და
ოღონდ შენ ჰქმენ და...

სალომეა ლომინაძე

მთვარის კამეა

(წერილი სალომეას)

ხარ პარიზულად გადაღლილი,
ახლა რას ელი?
შემოიარე კალე, კანი, ნიცა, მარსელი,
იარე ასე, ქალაქ-ქალაქ,
ასე ხელდახელ,
შენი სადგური, შენი პორტი რაკი ვერ ნახე.
არ შემეკითხო
რად გიწოდე დრამათა დამა,
მე სულ შემთხვევით
წავიკითხე შენი ენდალმა
და, ამ წერილში, სულ არ ჰგავხარ
საშოდან ნაშობს,
ვინც, გინდ დათესე, გინდ დამარხე,
არ ისხამს ნაყოფს.
თითქოს მირაჟზე მოგწყვიტეს
და დაბლა დაგაგდეს,
ჯერ ფანტომები არსად ჩანან,
უნდა დაღამდეს...
და აჰა, გხედავ მთვარის გვერდით,
ჩემო ლილიტო,
ღამის ჩრდილებთან მეგობრობ და
ალბათ იმიტომ.
ხარ პარიზულად გადაღლილი,
ახლა რას ელი?
შენს წინ კანი და ტულონია, იქვე – მარსელი,
შენი სონეტი, თეთრ ღამეში სევდით ნაწერი,
ღრუბლების ზემოთ აზიდულა,
ვით მყინვარწვერი

ხოლო შენს სახეს
იმეორებს მთვარის კამეა
და ამის მოწმე,
ერთადერთი,
ლურჯი
ღამეა.

ჩემზე იტყვიან

ჩემზე იტყვიან
– გადახტაო დედამიწიდან!
სხვები იტყვიან ამას, თორემ, დედამ იცის და
ის მოგიყვება, ვით გამიღო ზეცის სარკმელი
თავად უფალმა,
რადგან ბევრი ჰქონდა სათქმელი...
ჩავიკეტები,
გენიოსებს როგორც სჩვევიათ,
ჩემი ლექსები, ისედაც ხომ განაჩენია.
დორიან, ახლა აპრილია, დასკდა კვირტები,
მაგრამ ვაი, რომ არწასვლასაც ვერა გპირდები.
ისევ თამამად
დავუწერდი ატეხილ კერტებს,
აღგზნებულანო ხეებზეო – ვეტყოდი ღმერთებს.
ჩემსავით აბა ვინ შეამკობს ლექსით თავთავებს,
მზეკაბანისას ჭვავის ყანა როცა თამთამებს.
ვის შეუძლია,
რომ აცეკვოს ქალი ყანაში,
ვის შეუძლია დღეს ჩემსავით რითმით თამაში,
ვინ შეადაროს ჩაბარუხი საყვარლის ტორებს...
ჩემი ლექსია,
წყაროსთან რომ მწყურალსა გტოვებს.
არ ეშინია ჩემს ნაწერში
არავის წარღვნის,
მუზა ისეთი ოხერია, ამასაც წარყვნის.
როდესაც ქარი
ცასა სწვდება და ღრუბელს არწევს,
ვწერ, თითქოს იგი
აპირებს, რომ ღრუბელთან დაწვეს.
ახლა ძვირფასო აპრილია, ჰოდა ალუჩას
რძისფერი კაბა ჩაუცვამს და კერტი არ უჩანს,
დორიან, ახლა რძის კაბაა ხეთა საფარდე,

ვაგრძელებ წერას სიყვარულზე,
ოღონდ სადამდე?
უკვე ის დროა, თქვან – გადახტა დედამიწიდან!
სხვას არა ჰკითხო,
სხვამ რა იცის, დედამ იცის და
მას შეეკითხე. სამძიმარზე სიტყვაც არ დაძრა!
მხოლოდ მან იცის,
რად მინდოდა შენში ატაძვრა.

იმიტომ, დორი

ჩაბარუხივით მიყვარს დინება,
ვერასდროს ვივლი დინჯად და მდორედ,
არ ამედევნო, არ მეწყინება,
როდესაც მომდევ, ისა მწყინს სწორედ.
შენთან მიყვარდა ვნებით გადაღლა,
ვერც შენ და ვერც თავს ვერ დავუმალე,
როცა ვდიდდები, ნაპირს გადაღმა
ახალ კალაპოტს ვაგნებ უმალვე.
ან როგორ გინდა რომ გადამხერგო,
როცა არ ვიცი თავად მე გზები,
მშვიდად დინება არავის ერგო,
გაიმეგზურა ვინაც ლექსები.
მეხეთქებიან რითმები როცა
და ამაბრუნებს ლექსის მორევი,
რაკი კალამი ღმერთმა მიბოძა,
მხოლოდ იგია ჩემი მომრევი,
და თუ ოდესმე მანვე ინება,
მე ყოველივეს ლექსად მოვყვები,
რომ ნიაღვარად მიყვარს დინება
და ერთ კალაპოტს ვერ გამოვყვები.
ყველა,
ვინც ფეხი შემოდგა ჩემში,
ყველა,
ვინც ჩემი ჩქერით გაგრილდა,
დავახრჩე,
მაგრამ ლექსიდან ვერ ვშლი,
არადა,
არც ერთ ბწკარად არ ღირდა.
ალბათ ოდესმე დადგება გვალვა,
და მეც მომიწევს დინება მდორე,
ახლა კი...

ჯერ კი ჩაბარუხს ვგავარ,
რომ არ მომყვები,
იმიტომ,
დორი...

სალამი ყველას

სულ ყველას ჩემი სოლიდარობა,
გასაძლები გაქვთ ვისაც დილამდე,
ვინც ნოემბრული ცივი დარობა
ქუჩაში ნაპოვნ მეძავს მიანდეთ.
სალამი!
ვისაც ფული არ ჰყოფნის
დასალევად და ღამის სათევად,
ვინც არ კითხულობს მიზეზს აქ ყოფნის
არც ძალას ეძებს გამოსათრევად.
სოლიდარობა ყველა გათიშულს,
და მომღიმარეს თქვენთვის ჯოკონდას,
მოკითხვა დღიურს,
სიკვდილჩანიშნულს,
არ დაასრულოთ წერა ოღონდაც!
გვერდით მიგულეთ ცის კამარამდე
და იმას იქით თუკია რამე,
ყველა თქვენს ტკივილს მოვიპარავდი,
გასატანი გაქვთ ვისაც ეს ღამე.
სალამი!
ვისაც თავთან აქვს ომი,
ყველა „პერედოზს“ ჩემი სალამი!
თქვენ,
ვინც არაფრის არ იცით ზომა
და აღარ შეგრჩათ გვერდით არავინ.
მივესალმები ყველა ფსიქოპატს
სხეულის ნაცვლად ვენას რომ ირყვნის,
სიცხე რომ აქვს და სინდისს იზომავს...
სუფთა რომ აქვს და შენთან არ იტყვის...
ვინც თავის დარდზე არ იწერება,
არც საკუთარი ტკივილით ვაჭრობს,
ვინც ქვეყნად არვის არ ემტერება
და ასე ჩუმად სურს ჩაინაცროს...
სოლიდარობა ყველა ჩემიანს!
ყველას,
ხვალამდე ვინც უნდა გაძლოს...

მახსოვს

მახსოვს ვნებისგან ღაწვალეწილმა
სველ ზვინს ალერდი რომ გადახადე,
არ გადარდებდა იმ წუთში წვიმა
და ჟინი გჭირდა, როგორც სახადი.
– თმაში ბალახებს ნუ მაქსოვ ასე,
სულ მთლად სველი ვარ, წავიდე უნდა.
შენ ჩურჩულებდი
– ბარძიმი ხარო პირამდე სავსე!
განწმენდა გსურდა...
ქუხილი ქუხილს მისდევდა მთებში,
შენ კი მელტვოდი, როგორც ნაგეში,
თან ისე მშვიდად ვიყავი შენში
აღარც მინდოდა სადმე გაგეშვი.
არ შეწყდა წვიმა და შენი ხელი
და შენი ყელი
და შენი ყველა
ფეთქვა თუ ნერვი, და სისხლი ცხელი
იყო ნამღერი ვნებათაღელვა.
არ შეწყდა წვიმა და ჩემი მკერდი
და ჩემი თმები,
და ჩემი ტერფი,
რითმების გამო იდო შენ გვერდით.
რადგან შენს ნაცვლად
მე რითმებს ვეტრფი!
მიყუჩდა წვიმაც, მკოცნი და ისევ
ვიგრძენი ლოყა როგორ ამეწვა,
მაგ ტორებს კიდევ ხშირად დავისევ,
რადგან ღირს ლექსი შენზე ალეწვად...

* * *

არ ვეწაფები წმინდა ბარძიმებს,
თუგინდ შემივსონ თასი გრაალის,
კაცის ძეს ცოდვა ყველას ამძიმებს,
ანდა უცრემლოდ თვალი რა არის?
ან პირველქმნილი ცოდვა რა იყო?
ან ათი მცნება როდია ბევრი.
გუშინ რომ გლახამ პური გამიყო,

ისაა ჩემთვის ნამდვილი ბერი.
ჰოდა შეივსეთ თქვენ ბარძიმები,
მე კი თავად ვარ გრაალის თასი,
აჰაა – ავივსე,
აჰაა – ვმძიმდები,
დავიფშვნები და სამყაროს დავსვრი,
ოღონდ...
დიოდეს ლექსი-ვედრება
და ანგელოსთა მერქვას სოპრანო,
მე ღმერთმა მომცა, რაც არ მერგება,
და რაც მერგება, უნდა მოვპარო...

როგორ მიყვარდი

მე მოვუყვები ყველა ფოლიანტს,
როგორ მიყვარდი...
გადაჩვევამდე...
რომ ვერ უძლებდა გული ფორიაქს
შენ მოატანდი როცა ჩემამდე.
ახლა ვუყვები ყველა კაბადონს,
რომ გრძნობა მე არ მიუარია,
დაე ამ ღამით უხვად დაბარდნოს,
შობის ღამეა, იანვარია.
ჰო, მე თოვლს ვნატრობ, ღამეს სურვილთა,
სხვა სიყვარულზე თუ ითხოვს პასუხს.
შენც გამიმხილე, რამე თუ გინდა,
მითხარი რა გსურს.
მე შობის თოვლმაც მინდა იცოდეს
როგორ მიყვარდი სულის ძახილო.
შენმა თვალებმა არ შემიცოდეს...
ვით გავამხილო!
ვით გავამხილო... მე დავიბრალებ,
და შენ არავინ არაფერს გკითხავს,
ნუ შემიბრალებ!
ნუ შემიბრალებ,
რომ სიყვარული არ გვეყო დიდხანს.
ყველა სტრიქონი შემომეცრიცა,
ჩემს ცაზე შენი ღრუბელი არ წევს,
ის საფირონით არის ლიცლიცა,
ქარი კი ეულ კიპარისს არწევს.
იანვრის ქარებს მიგანდე ამბად,

დაგტოვე ჩემი მყობადის მიღმა,
ერთმანეთისა არ გვესმის ალბათ,
შენს პასუხებზე არა მაქვს კითხვა
და გახუნებულს დავცქერ ფოლიანტს
შობის ღამეს და, ვიცი, იფიფქებს.
გული კი ისევ მოჰყვა ფორიაქს,
გული თოვლადაც შენ ჩაგიფიქრებს.

ნუ შემიყვარებ!

პოეტი ვარ და
პოეტებს ბედი გვეთამაშება,
ზოგის წერაა ზეციდან ვარდნა,
ზოგის – ზეცაში სულის აშვება...
ეს გზა როდია საიავარდო,
მხოლოდ ჯაგი და ეკალ-ნარია,
ჰოდა შენს სიმებს არასდროს ანდო
ეს სტრიქონები
– მკვდრების არია...
მერგო სავალი ქუში და გრემა
ხან მოლიპული და ხანაც – მქისე,
მე მიყვარს შენგან წასვლა და ნგრევა,
შენ – ჩემი პოვნა, ისევ და ისევ.
საით წავიდე, ჩემო მხატვარო,
ნუთუ ვერასოდეს ვერ გაგექცევი,
ალბათ შორი გზა გსურს მომატარო,
რომ უფრო მწველი ვწერო ლექსები.
გინდა სიყვარულს მუზა დავარქვა,
გადამბუგავი სენი ვუწოდო,
და მაშინებდეს შენი დაკარგვა,
რომ გული უცხოს არ გავუწოდო...
მაგრამ მივდივარ, მინდა მტკიოდე,
დაე დორიან, ლექსად მდიოდე...

მე ვიცი პოეტი

მე ვიცი პოეტი,
თვითმკვლელი პოეტი...
ჯერ კიდევ ცოცხლების რიგში რომ წერია,
ღრუბელი, ნამგალა მთვარის კოლიეთი...

დამშვიდდი დედიკო
მე ჯვარი მწერია.
ვისწავლე ჭკვიანთა ხმაურის ჩახშობა,
სახეზე ღიმილი გრიმივით მისვია,
შორეულ წარსულში დავტოვე ბავშვობა
და კენტად მივყვები გზას, მღვრიე ნისლიანს.
პირველად ედემის სამანს რომ გამოვცდი,
მას აქეთ აკრძალულ ხილადაც მაქციეს,
და ახლა უბეში გველივით გამოზრდილ
კაცს გადამაყოლეს, განა თუ საქციელს.
მოვირგე ცბიერი
ერთგულის იერი,
სანგართ სიახლოვეს რომ დავიბანაკო,
ვერავინ ვერ ვნახე ლექსებით მშიერი,
მეზღაპრე მიყვარს და სულ იგავრაკობს...
მე ვიცი პოეტი,
ლექსად მოციატე,
კედლებზე რომ წერდა – მე თავად რითმა ვარ!
ღრუბელი, ნამგალა მთვარის კოლიეთი...
არა ღირს, დახურეთ ის წაუკითხავად!
თვითმკვლელი პოეტის ბნკარები მჭიდშია,
ყულფივით გათანგავს ლექსების დასევა.
სიკვდილი მასავით არც ვიცი ვის შია...
ახლა მე ასე ვარ!
ასე ვარ...
ასე ვარ...



მიხეილ მახარაძე

ჩანაწერ-ჩანახატები

ბაბუა

ბაბუის ფენომენი განსაკუთრებული თემაა ჩემთვის. მამა არ მახსოვს და მის ხელში გავიზარდე. ხშირად გამიგონია მისგან გულისტკივილი იმის თაობაზე, რომ მეორე მსოფლიო ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილისგან შთამომავალი არ დარჩა. მამაჩემის მისამართით კი იტყოდა – ჩემი სახით მან „იადგარი“ (სპარსულია და ნიშნავს – სამახსოვროს, საჩუქარს) მაინც დამიტოვაო.

იმის მიუხედავად, რომ ოთხი წლის ასაკიდან ბაბუასთან ვიზრდებოდი, რაიმე ეპიზოდს ბაბუასთან მიმართებით ადრეული ასაკიდან (4-8 წლების განმავლობაში) ვერ ვიხსენებ. პირველი ეპიზოდი, რაც მახსოვს 9-10 წლის ასაკს უკავშირდება. ბაბუა და მე სოფელ თხილვანამდე (სხალთის ხეობის ბოლოს წინა სოფელი) მანქანით ავედით. ბაბუას სოფლიდან მთისთვის ორი ზურგტვირთი (თითოეული ნახევარტომარაზე ცოტა მეტი) ჰქონდა წამოღებული. ბაბუა გარკვეულ მანძილს გაივლიდა და ერთ ზურგტვირთთან დამტოვებდა, შემდეგ მობრუნდებოდა მეორეს წამოსაღებად და ასე მიჰქონდა მას ეს ტვირთები მთა თეთრობამდე, *ძირითადად აღმართზე* და *იშვიათად* ვაკეზე. მე ეს ბებიას მონათხრობით ვიცი. თუმცა ერთი ეპიზოდი მაინც დამამახსოვრდა ამ ეპოპეიდან. როცა სოფელ ქვედა თხილვანის ბოლო აღმართს აივლი და ვაკე გზა იწყება, იქ იყო პანტა მსხალი (ბოლო წლებშიც მინახავს). იმ პანტის ძირში რომ დამტოვა ბაბუამ ტვირთთან და მეორეს წამოსაღებად რომ წავიდა – სწორედ ეს ეპიზოდი მახსოვს მხოლოდ.

ბაბუას ბიოგრაფიას დაწვრილებით, რა თქმა უნდა, ვერ მოვყვები. მხოლოდ საინტერესო მომენტებს გავიხსენებ. ბაბუა დიდად დაინტერესებული იყო სწავლით, რაც არც იყო გასაკვირი. ის ორი წელი სწავლობდა 1902 წელს ხულოში გახსნილ რუსულ სკოლაში. ქართულის გარდა, იცოდა არაბულად, ლათინურად და რუსულად წერა-კითხვა. მისგან გაგვიგონია, რომ, როცა ხულოში ვსწავლობდი კედელზე ეკიდა „ნიკოლაი ვტაროის“ სურათიო. აქვე აღვნიშნავთ, რომ ბაბუაჩემის მამის – დურაღ-აღა მახარაძის ინიციატივით წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1915 წლის ნოემბერში მისსავე სასტუმრო სახლში გახსნა ერთ-ერთი პირველდაწყებითი ქართული სკოლა ზემო აჭარაში.

ბაბუა ხშირად მოდიოდა სკოლაში და ჩემს ნიშნებს ამოწმებდა. ბავშვობაში ფიზიკურად სუსტი ვიყავი და შრომით არ გამოვირჩეოდი. ცოტას მათამამებდნენ კიდეც. როცა ჩემი ბიძაშვილები ბაბუას ეტყოდნენ ჩემთვისაც დაევალებინა საქმე, ბაბუა ჩემს გამხდარ ხელს მაჯაში ჩაავლებდა, მაღლა ასწევდა და იტყოდა: „ეს სუსტია და ამან უნდა ი(ს)წავლოსო“.

ბავშვობაში ხშირად ავადვმყოფობდი, რაც ბაბუას ძალიან აწუხებდა. როცა ჭამაზე უარს ვამბობდი ფულს მაძლევდა, ოღონდ მეჭამა. თუმცა, მისი ამ გულკეთილობით ბოროტად არასოდეს მისარგებლია.

ერთხელ ჩემი უყურადღებობით სოფლის მდინარის პირას ჩვენს ყანაში საქონელი შევიდა. ბაბუა გამიბრაზდა და ოდნავ ყური ამიწია. რამდენიმე დღე უხასიათოდ იყო. ბებიასთვის ეთქვა, რატომ ხელი არ გამიხმება, ობოლ ბავშვზე ხელი როგორ ავღმართეო.

ბაბუაზე მეზობლები ამბობდნენ – რკინის გული აქვსო. ამის მიზეზი იყო ის, რომ მას ბევრი ტკივილი ჰქონდა გადატანილი. ჯერ ახალგაზრდა მეუღლე გარდაეცვალა. შემდეგ 1941 წელს მეორე მსოფლიო ომში მისი 21 წლის შვილი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, 1949 წელს მძიმე სენით მამაჩემი გარდაიცვალა 24 წლის ასაკში, ხოლო 1958 წელს უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი უფროსი ვაჟი. ამის გარდა, ექვსი შვილი ჰყავდა გარდაცვლილი მცირე ასაკში, მათ შორის, ერთი შვიდი წლისა.

ბაბუასა და ჩემი ურთიერთობიდან განსაკუთრებით ერთი ეპიზოდი მახსენდება. ამის თაობაზე ჩანახატიც გამოვაქვეყნე სათაურით – „პირველი გაღიმება“. გთავაზობთ ამ ჩანახატის მთავარ მომენტს.

ერთ ზამთარს, დიდთოვლობისას, ხის მასალის დასამზადებლად ბაბუას მარტოს უხდებოდა ტყეში სიარული. ერთ დღესაც, უთენია გამაღვიძა და ამიხსნა, რომ არავინ ჰყავს პირდაპირი ხერხის გამწევი და უნდა გავყოლოდი.

სახლიდან გამოსულები ერთი საათის შემდეგ შევუყევით ტყიან დაკიდულ და მოყინულ ფერდობს. რაც უფრო მაღლა მივიწევდით და ვუახლოვდებოდით სამუშაო ადგილს, მით უფრო მატულობდა ცულების კაკუნის ხმები. უფრო ადრე ასულები მორებს დასაცურებლად ამზადებდნენ.

მოულოდნელად ზემოდან ყვირილი მოგვესმა – „თავს უშველეთ, მორი გამოგვექცა!“. მაღლა ავიხედეთ და დავინახეთ თუ როგორ ზიგზაგებით ეშვებოდა დაკიდულ ფერდობზე მორი და თანაც მკვეთრად უმატებდა სიჩქარეს. მე დავიბენი და ადგილზე გავქვავდი. ამასთან, მორი ისე სწრაფად იცვლიდა მიმართულებას, რა სჯობდა ამ დროს – ადგილზე გაჩერება თუ რომელიმე მიმართულებით გაქცევა ან გადახტომა, ძნელი გასარკვევი იყო. ბაბუამ ერთი შეჰკივლა, მსტაცა ხელი და რაღაც არაადამიანური ძალით რამდენიმე მეტრით გვერდზე მომისროლა, თვითონ კი ადგილზე გაქვავდა და პირისპირ დარჩა „აწყვეტილ“ მორთან. მორმა კი, თითქოსდა დააფასა ბაბუას თავგანწირვა, სადაც ის იდგა ნახევარი მეტრით ადრე „კუდი მოიქნია“, გვერდზე გაუხვია და იმ ადგილს გადაუსრიალა მე რომ ვიდექი რამდენიმე წამის წინ. ცოტა ხანში ბაბუა გონს მოეგო, ჩემთან მოვიდა და გულში ჩამიკრა. არაჩვეულებრივი სანახავი იყო მისი გაღიმებული სახე...

მეათე კლასში ვიყავი და როგორც სჩანს, გაცივების გამო მახველებდა. ბაბუამ ფული მომცა და რაიონში გამაგზავნა ექიმთან. მისი შეშფოთების მიზეზი იყო სენი, რამაც მამაჩემის სიცოცხლე შეიწირა. მამა ტუბერკულიოზით იყო გარდაცვლილი და როგორც შემდგომში ბებიამ მიამბო, ბაბუაც შეშინებული იყო, ეს მძიმე სენი მამისგან შვილსაც ხომ არ გამოჰყვაო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

სკოლაში კარგი მოსწავლე ვიყავი, მაგრამ საგნებს შერჩევით ვსწავლობდი და ამიტომაც ფრიადოსანი ყოველთვის არ ვიყავი. მასწავლებლებს შენიშნული ჰქონდათ, რომ ზოგადი განათლებისკენ მქონდა მიდრეკილება. როცა სკოლა დავამთავრე, ბაბუას თხოვნითა და ჩემი სურვილის წინააღმდეგ მისაღები გამოცდები ჩავაბარე სამედიცინო ინსტიტუტში და კონკურსში მოვხვდი.

მომდევნო წელს ბაბუა აღარ ჩარეულა ჩემი მომავალის არჩევაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, როცა თბილის-

ში დამტოვეს „საპროფესოროდ მოსამზადებლად“, როგორც ძველად იტყოდნენ ანუ სამეცნიერო საქმიანობის გასაგრძელებლად, ძირითად დროს ბიბლიოთეკებში ვატარებდი. ბაბუა ფრთხილობდა, თბილისი დიდი ქალაქია და რაიმე ხიფათს არ გადაეყაროსო. ვინმეს თუ ნახავდა თბილისში მიმავალს დააბარებდა, ბიჭი მოიკითხე და ამბავი ჩამომიტანეო.

თბილისიდან დაბრუნებულები ბაბუას ამშვიდებდნენ – კარგად და წყნარად არის, სულ ბიბლიოთეკაშიაო. ერთხელაც ბაბუას, გაკვირვებულს უკითხავს – „ამისა და ამის შვილი მხოლოდ ჯარში იყო ორი წელი და ბიბლიოთეკაში (სოფლის ბიბლიოთეკა ჰქონდა მხედველობაში) ისიც მუშაობს, რაღა ჩემს ბადიშს დასჭირდა ხუთი წელი სწავლა და ისიც თიფლიზშიო“.

1973 წლის შემოდგომაზე ბაბუა თბილისში მესტუმრა სპეციალურად, მეტროს სანახავად. ძალიან მოეწონა მეტრო, მისი სისუფთავე და წესრიგი. განთქმულ ჩაის სახლშიც მყავდა. დიდად არ მოხიბლულა. ჭავჭავაძის გამზირზე №22-ის ცნობილ ფოტოატელიეში სურათიც გადავიღეთ ერთად. ეს ფოტოსურათი ცნობილმა ჟურნალისტმა გურამ გომართელმა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა. ეს ფოტოსურათი ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ჩემი ოჯახის რელიქვიაა.

ბაბუა მორწმუნე მუსლიმი იყო, ვიტყვი შეგნებული მორწმუნე. ყოველ დილით ერთი საათის განმავლობაში კითხულობდა *ყურანს*. სასულიერო პირი არ იყო, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მიცვალებულის წესის აგებაც შეეძლო. პატივს სცემდა სხვა რელიგიებს, სხვის რწმენას. რამდენიმე ეპიზოდს გავიხსენებ სხვა რელიგიასთან მის დამოკიდებულებაზე.

1972 წელს ჩემი თანაკურსელები წავიყვანე სოფელში, ბიძაშვილის ქორწილში. ქორწილის მეორე დღეს სტუმრებისთვის გამოსამშვიდებელი სუფრა გაიშალა. სუფრასთან ბაბუაც იყო. რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ სტუმართაგან ერთ-ერთი მოულოდნელად ბაბუას შეეკითხა თუ როგორ შეხვდებოდა იმ ფაქტს თუკი მისი შვილიშვილი მიშა (ე. ი. მე) შვილებს ქრისტიანულად მონათლავდა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. იმ დროისთვის ბაბუა კი არა, საკუთრივ მე არ ვიყავი ამისთვის მზად.

ბაბუა ცოტა ხნით ჩაფიქრდა და სტუმრის შეკითხვას ასე უპასუხა: „მე ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრე და მიხაი თუ შვილებს ქრისტიანულად მონათლავს, ჰელბეთ (ალბათ) ასე ყოფილა საჭირო“. ცოტა ხანში კი ნათქვამს დაამატა; „ჩვენ ხომ ძველად ისედაც ქრისტიანები ვიყავით!“. სტუმრები მოხიბლულნი დარჩნენ ბაბუას პასუხით და შემდეგშიც ხშირად იხსენებდნენ ამას...

რამდენიმე წლის შემდეგ ჩემ უფროს კოლეგებთან ერთად ვიყავი ჩემს სოფელში. მზიანი შემოდგომა იდგა და სუფრა ჩემი ბიძაშვილის ეზოში გაიშალა. შუა სუფრაზე ბაბუაც შემოგვიერთდა. ცოტა ხანში მისი სადღეგრძელო დაილია. ბაბუას, არამსმელს ლიმონათიანი ჭიქა დავუდე წინ. მან კი ხელის ზურგით გვერდზე გასწია ჩემს მიერ დადგმული ჭიქა, ჩემი ღვინიანი ჭიქა აიღო და ფეხზე წამოდგა. დალოცა სტუმრები, მადლობა გადაუხადა სტუმრობისა და ჩემზე მზრუნველობისთვის. ბოლოს მოიბოდიშა, ღვინოს არ ვსვამო და ჭიქა მაგიდაზე დადო.

ერთმა ჩვენმა ახლობელმა, ცნობილმა პიროვნებამ ასეთი რამ მიამბო. სოფელში გასვენებაზე ერთი ახალგაზრდა ქადაგად არის დავარდნილი, ამტკიცებს, რომ უფლის ნებით იმქვეყნიური სასუფეველი, სამოთხის ყველა სიკეთე მხოლოდ მუსლიმებს ელოდებათ და სხვ. ახალგაზრდა არ ცხრება და თავის აბსურდულ აზრებს ხან ერთ ჯგუფთან ქადაგებს, ხან მეორესთან და ა. შ.

ბაბუა ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდას და, როცა მოთმინების ფიალა აევსო შეაჩერა მოქადაგე და უთხრა: „შეხედე ამ ლამპოჩკას დღისითაც რომ ანათებს, ის ქრისტიანის გამოგონილია, აგერ აღმართზე მანქანა რომ ამოდის ქშინვით და 50-60 კაცი მოჰყავს გასვენებაში ისიც ქრისტიანის გამოგონილია. როგორ ფიქრობ ამ სიკეთეების შემქმნელები ჯოჯოხეთში მოხვდებიან და შენ სამოთხეში?“ ბაბუას სიტყვა არ ჰქონია დამთავრებული, რომ ახალზრდა გაცლია იქაურობას და საერთოდ წასულა გასვენებიდან.

1989 წელს საუკუნეების შემდეგ, სხალთის მონასტერს პირველად ესტუმრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II. ბაბუა სოფლიდან საგანგებოდ ჩავიდა სხალთაში მასთან შესახვედრად. ეკლესიის ეზოში გაესაუბრა პატრიარქს და ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით. სოფლის ცენტრში ცნობისმოყვარენი ელოდნენ. ბაბუამ დაამშვიდა ადგილობრივი მუსლიმები, ყველაფერი კარგი ილაპარაკა და თუ ეკლესია ამოქმედდება, ჩვენ საზიანო არაფერი გვექნებაო...

პატრიარქთან შეხვედრიდან მალე 95 წლის ბაბუა ეკალ-ბარდში გადავარდა და ბარძაყის მოტეხილობა მიიღო. ერთი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. მძიმე ავადმყოფი ბაბუა ჩემი მეუღლის თანასოფლელებმა მოინახულეს. საუბარში შეაპარეს, რომ შენი რძლის ბიძაშვილმა წვერი მოუშვა და ეკლესიაში დადისო. სტუმრები ელოდნენ, რომ ღრმად მორწმუნე მუსლიმი ბაბუა მკაცრ განაჩენს გამოუტანდა მოყვარეს. ბაბუას კი სტუმრები ასე დაუმშვიდებია: „კაცი ღმერთის სახლში მისულა და ხელი არ შეუშალოთ, იქიდან ცუდს არაფერს გააკეთებს“.

ბაბუას სიმდიდრეზე არასოდეს გაურბოდა თვალი. ერთხელ თბილისიდან დაბრუნებელს ბათუმში უფროსი შვილიშვილისთვის უთქვამს: „ბევრი ტკივილი და წვალება გამოვიარე, მაგრამ ბედს არ ვემდური. ობლობაში გაგზარდეთ და არც ერთს ცუდი საქმე არ გაგიკეთებიათ, პირიქით – მასახელეთ კიდეც“.

ასე რომ, ბაბუასა და შვლიშვილის დამოკიდებულება განსაკუთრებული ფენომენია და ეს საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი.

რეჯებ შაინიძე

ჩვენს სოფელში ცხოვრობდა საკმაოდ შეძლებული გლეხი რეჯებ შაინიძე, რომელიც სოფლის კვალობაზე ფულიან კაცად ითვლებოდა. მან ფულის ყადრი კარგად იცოდა, იოლად არ გაასესხებდა, იოლად არ გასცემდა და ა. შ.

სოფლის კვალობაზე ბატონ რეჯებს მუდამ კოხტად და ელეგანტურად ეცვა. შესაბამისად, ამაყი გამომეტყველება ჰქონდა და სალამიც ძვირი იცოდა.

ერთხელ რეჯებ შაინიძე ხულოს რაიონული ცენტრის ე. წ. „ქვედა ბაზარში“ ამაყად მიაბიჯებს. ერთ ადგილას, გრძელ სკამზე სხედან რაიონის ცენტრში მცხოვრები ერთ დროს წარჩინებულნი, მაგრამ უკვე ასაკში შესულები და ყავლგასული ადამიანები. გაუსწორდა თუ არა მათ, ბატონმა რეჯებმა თავი ოდნავ მიაბრუნა, რომ იტყვიან ისე, სალამი გადაუგდო და გზა გააგრძელა.

„– რეჯებ-აღა, შენზე ამბობენ კაი თუთუნი აქვსო“, – დაადევნა ერთ-ერთმა მათგანმა.

„– იმას აღარ ამბობენ, არავის აწევინებსო!“ – სხვათა შორის, გამოეპასუხა ბატონი რეჯები, თანაც ისე, რომ არც მათკენ გაუხედავს და არც ნაბიჯი შეუნელებია.

ასე დაიწერა – „სხალთის ხეობის მშვენება“

გასული საუკუნის 70-იანი წლებია. ზაფხულს მშობლიურ სოფელში ვატარებ. დროგამოშვებით სოფლიდან ჩვენი თემის ცენტრში, – ისტორიულ სხალთაში ჩავდივარ, მე-13 საუკუნის ეკლესიას ვეწვევი, ნაცნობებს შევხვდები. ჩემი ახლობლები ყურადღებას არ მაკლებენ და უმეტეს შემთხვევაში, ეს შეხვედრა სუფრით მთავრდება.

სხალთაში მორიგი ვიზიტისას დამხვდურებმა მითხრეს, რომ **დათო შაინიძეს** (1954-1994) (აქაურს, იმ დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს) თბილისელი სტუმრები ჰყავს ეკლესიაში და თუკი მიხვალ მათთან კარგი იქნებაო.

ეკლესიის გალავანთან მცირე პურობა იყო. დათომ თავის სტუმრებს ჩემი თავი წარუდგინა და მეც შევუერთდი მათ კამპანიას. ვსაუბრობთ ყველაფერზე, ახალგაზრდები რიდით არიან ჩემს მიმართ. ბოლოს ერთმა მათგანმა მთხოვა იქნებ გამეცოცხლებინა ის დრო, როცა აქ ყვაოდა ქრისტიანული კულტურა, ეკლესიაში ზარები რეკავდა, ტარდებოდა წირვა და ა. შ.

მე დავაკმაყოფილე სტუმრის თხოვნა და ჩემებურად აღვწერე თუ დავხატე სხალთის ეკლესიის საერთო გარემო ჩვენი კულტურის აყვავების ხანაში... საღამოს სახლში დაბრუნებულმა ყველაფერი ეს ჩავიწერე.

ამ ამბიდან გავიდა წლები და 1986 წლის გაზაფხულზე ჩემი ნაწერების დახარისხებისას ამ წერილს გადავაწყდი. იმ ღამესვე გადავამუშავე, გადავბეჭდე და სათაურით – „სხალთის ხეობის მშვენება“ მეორე დღეს, ხუთშაბათს მივიტანე „ლიტერატურულ საქართველოში“. იმ დროისთვის სულ რამდენიმე წერილი მქონდა გამოქვეყნებული სხვადასხვა თემაზე და რედაქციებთანაც არ ვიყავი გაშინაურებული. მორიდებით შევაღე გაზეთის რედაქტორის – ვახტანგ ჭელიძის კაბინეტის კარი და გადავეცი წერილი. თანაც მოვუბოდიშე, რომ შევაწუხე.

ვნახავო, მითხრა რედაქტორმა და მეც წამოვედი. თხუთმეტი წუთის შემდეგ სამსახურში – ფილოსოფიის ინსტიტუტში ვიყავი, სადაც დამახვედრეს ამბავი, რომ ბატონ ვახტანგ ჭელიძესთან უნდა დამერეკა. როგორც კი ყურმილში რედაქტორის ხმა გავიგონე, დავიწყე ბოდიშებით ჩემი „ნაცოდვილარის“ გამო. ბატონმა ვახტანგმა საუბარი გამაწყვეტინა და მითხრა: „რას ამბობ, წერილი ისე მომეწონა, სხვა მასალა ამოვიღე და ხვალინდელ ნომერში გავუშვიო“.

მეორე დღეს შალვა ხიდაშელთან ვიყავი ოჯახში. მოვიდა ვახუშტი კოტეტიშვილი, გადამეხვია და მილოცავს. ვერ გავიგე რაში იყო საქმე. მან კი მიპასუხა, რომ წაიკითხა ჩემი ეს წერილი და ცრემლები ღაპაღუპით მომდიოდა, როგორ კარგად გაქვს აღწერილი ჩვენი ტკივილიანი ისტორიაო.

მოკლედ ასე დაიწერა „სხალთის ხეობის მშვენება“, რომელიც შემდგომ ჩემს ორ კრებულში შევიტანე და ახლაც ძალიან მომწონს.

„ოტკის“ ეფექტი!

დაბეზღებებით, ჩაშვებებით და დაჭერებით, მოკლედ, ეჭვითა და ბურუსით აღსავსე გასული საუკუნის 30-იანი წლებია. წლები, როცა კაცის ფასი კაპიკადაც არა ღირს. ამ დროს ცენტრიდან პერიფერიაში არა თუ დიდი თანამდებობის პირის, არამედ რიგითის სტუმრობაც დიდ შიშსა და ვნებათა ღელვას იწვევდა.

ჰოდა, ამ დროს თბილისიდან ბათუმში ჩამოდის „რევიზორი“, რომელიც ითხოვს მაღალმთიან აჭარაში წასვლას. მასპინძლები სთავაზობენ უფრო ახლოს – ბათუმის ან ქობულეთის რაიონის სოფლებს. რა თქმა უნდა, მასპინძლები თავს იზღვევენ, ხომ შეიძლება მთიან აჭარაში სტუმარს სათანადოდ ვერ დახვდნენ და ისიც შემდეგ დედაქალაქში, ვინ იცის, რა ამბავს ჩაიტანს. სამსახურს ვინ ჩივის, შეიძლება ვინმემ თავიც დაკარგოს.

მასპინძელთა ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა, სტუმარი თავისას არ იშლიდა, მეტიც: სტუმარი უკიდურეს საზღვრისპირა სოფელში ითხოვდა 2-3 დღით წასვლას. სხვა რა გზა იყო და მასპინძლებმა მთიანი აჭარის ერთ-ერთი უკიდურესი სოფელი შეარჩიეს.

სოფელში სტუმარს სათანადოდ დახვდნენ. დღისით სტუმარი სოფელს ეცნობოდა, ხვდებოდა მოსახლეობას, ათვალიერებდა სავარგულებს, ნათესებს, სათიბებს, ამოწმებდა შესრულებული სამუშაოს ხარისხს და სხვა. საღამოთი სოფლის თავკაცის ოჯახში მდიდრული ვახშამი. სუფრას არც საქონლის ხორცი აკლდა, არც ციკნისა და არც ქათმის. ერთი კი იყო, მასპინძლის ოჯახი ისლამის მკაცრი მიმდევარი იყო და ამის გამო სუფრაზე სასმელი – ღვინო ან არაყი, არ ყოფილა.

მეოთხე დღეს დილით სტუმარს აცილებენ სოფლის ცენტრიდან. ამ დროს სოფლის ორთვალა მაღაზიიდან გამოვიდა ნოქარი და სოფლის თავკაცს სტუმრის ცოტა ხნით შეყოვნება თხოვა. შემდეგ იქვე ბოსტანში გადავიდა და იქ პრასი და ხახვი დაგლიჯა, სახელდახელოდ გარეცხა. მეზობლის სახლიდან მჭადი და ყველიც შეაწიეს, მაღაზიიდან მანვე ორი ბოთლი „ოტკაც“ გამოიტანა და თამადობაც მანვე იკისრა. სოფლის თავკაცი მხოლოდ სადღეგრძელოებს ამბობდა და დალევაზე ბოდიშობდა. ითქვა ქვეყნის, სოფლის, წასულების, მეგობრობის და სხვა სადღეგრძელოები და ერთი საათის შემდეგ საკმაოდ შექეიფიანებული სტუმარი „პალტორკის“ კაბინაში იჯდა და ბათუმისკენ მიემგზავებოდა...

მეორე დღეს გამოძინებული და დასვენებული სტუმარი ბათუმში მაღალ ჩინოსნებს შეხვდა და მოკლედ მოყვა მისი მოგზაურობის პერიპეტიებს. კმაყოფილი იყო მასპინძლების. განსაკუთრებით კი მაღაზიის ნოქრის, რომლის რაღაც მისთვის უცნაური სახელი, სამწუხაროდ ვერ დაემახსოვრებინა.

„ტყუილად შიშობდით. ამ სოფელში გადასარევი ხალხია – მშრომელი, პატიოსანი... აი ის ნოქარი კი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცია. მასთან ვალში ვიქნები მუდამ“.

უცნაური მისალმება... კეთილი დასასრულით

2004 წლის სექტემბერია. სულ ორი თვეა, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. მე, როგორც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, არა მაქვს გამოყოფილი სპეციალური დღე მოსახლეობის მისაღებად (ასე იყო მთელი რვა წლის განმავლობაში). მთავარია ადგილზე ვიყო და მიღებაზე არავის ვეუბნები უარს...

მდივანმა მაცნობა, რომ მოსულია მუსლიმი სასულიერო პირი ზემო აჭარიდან, დამისახელა სტუმრის სახელი და გვარი. მის შესახებ ვიცოდი, მაგრამ პირადად არ ვიცნობდი. რა თქმა უნდა, მდივანს ვუთხარი შემოსულიყო.

სტუმარს კარებში დავხვდი. სტუმარი შემოვიდა თუ არა, მომესალმა:

– „სელამუნ ალეიქუმ“ (გამარჯობათ).

– გაგიმარჯოთ, – და სტუმარს ხელი გავუწოდე. მან კი, ხელი არ ჩამომართვა და ისევ იმ ნოტზე მომესალმა. მე ისევ „გამარჯობით“ ვუპასუხე და თან დავამატე:

– „ბატონო, თუკი ღმერთი ქართულ ენაზე ლაპარაკს არ კრძალავს, ამ ენაზე მისალმება რატომ უნდა იყოს ცოდვა?“ – სტუმარს სახეზე გაკვირვება დაეტყო, თავი ოდნავ დაღუნა, შემდეგ ოდნავ გვერდზე მიაბრუნა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– „რომ მითხრეს ნასწავლია და ფრთხილად იყავიო, გერჩეგი (მართალი) ყოფილა“.

ამის შემდეგ სტუმარსა და ჩემ შორის საუბარმა ურთიერთ გაგების ატმოსფეროში ჩაიარა და რელიგიისადმი ჩემი დამოკიდებულებით იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ სხვა რაიმე თხოვნით არ მოუმართავს.

ხიზილალა და... ნიფხავი

2004 წლის დეკემბრის შუა რიცხვებია. შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მივდივარ, ახალი გამგებლები უნდა წარვადგინო. ვიცვამ და ამ უთენია ჩემი ბიძაშვილი გამომეცხადა. გაკვირვებული მიყურებს, მერე ჩემი შარვლის ტოტი ამიწია და მითხრა, რომ მთაში უკვე თოვს და ასე ხალვათად რატომ გაცვიაო და იქვე სამაგალითოდ მაჩვენა სპორტული რეიტუზი, რომელიც შარვლის შიგნით ეცვა.

მე სპონტანურად ვპასუხობ: – ეჰ, ჩემო ძვირფასო, ხიზილალა და ნიფხავი ერთად არ გამოვა. თუ გცივა დაჯექი სახლში, კალთებს არავინ ჩამოგახევს.

ნაღდი ქობულეთელი

ქობულეთლების აჭარლობაზე არაერთი ხუმრობა და ანეგდოტია. 2004 წელს აბაშიძის რეჟიმის ხელისუფლებიდან ჩამოცილების კრიტიკულ პერიოდში სიმძიმის ცენტრი ქობულეთში, კერძოდ, აჭარა-გურიის საზღვარზე, ჩოლოქში იყო. ყველაფრის კარგად დამთავრების შემდეგ გაჩნდა ასეთი ანეგდოტი: ამ კრიტიკულ ჟამს ქობულეთლებს ეკითხებიან – თუ როგორ არიან. პასუხი იუმორნარევი და სტანდარტულია – როგორ ვიქნებით, იქიდან გურულები გვაწვებიან, აქედან აჭარლები და ასე შუაში ვიჭყიპებით ქობულეთლები. ერთხელ, მიახლოებით ამისთანა ხუმრობის უნებლიე მონაწილე მეც გავხდი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის უმაღლეს საბჭოში იყო ქობულეთელი დეპუტატი – მირზა სუქნიშვილი, ვისი წინაპარიც საუკუნის წინ კახეთიდან იყო მოსული და დაფუძნებული ქობულეთში. შემდეგ ერთხანს ის ქობულეთის გამგებელიც იყო. ჰოდა, ერთხელ ქობულეთში სტუმრობისას, მირზასთან ერთ მომენტში მარტო აღმოვჩნდი და ხანმოკლე საუბრის შემდეგ ვკითხე, რომ ბაბუის ხაზით კახელი ხარ, ბებიით – აჭარელი, საბოლოოდ კახელი ხარ თუ აჭარელი. მირზა არც დაფიქრებულა და მაშინვე კატეგორიული ტონით მიპასუხა:

– „ქ ო ბ უ ლ ე თ ე ლ ი!“

KIZILBASCH-ი

2006 წლის აგვისტო, ბათუმი. სტუმრად მყავს ჩემი გარდაცვლილი მეგობრის ქალიშვილი, რომელიც გერმანელზეა გათხოვილი და ცხოვრობს საარბრუკენში. სტუმარს თან ახლავს ოთხი წლის ქალიშვილი – ნინუცა, რომელსაც ჩემი ქალიშვილი ქართულში ენას ატეხინებს.

ნინუცა ნიჭიერია და ყველაფერს ადვილად ითვისებს. მაგრამ არის ერთი გამონაკლისი – ვერაფრით ვერ მოახერხა სიტყვა – ყიზილბაშის გამოთქმა...

ბათუმის ახალ ბულვარში ვართ სტუმრებთან ერთად. საღამოს 10 საათზე ჩაირთო მოცეკვავე შადრევნები. ყველა გარინდულია, ერთის გარდა. ეს ჩემი 4 წლის შვილიშვილი თემუკაა, ვერ ვაჩერებთ, დარბის, დახტის, მოკლედ აიკლო იქაურობა. ნინუცა გაკვირვებულია თანატოლის ქცევით, მოულოდნელად მისკენ გაიშვირა ხელი და გერმანულად შესძახა: „Das ist Kizilbasch!“ (ეს არის ყიზილბაში!).

აქ საყურადღებოა ისიც, რომ გერმანელმა ბავშვმა სიტყვა ყიზილბაშში რაღაც ცუდის მანიშნებელი შინაარსი ამოიკითხა.

თანერის თეატრში

სტამბოლის აზიური ნაწილის ერთ-ერთ უბანში, არაფრით გამორჩეულ შენობაზე ამოვიკითხე თურქულად – თანერ და კიდევ რაღაც რაღაცები. ჩემმა მხლებელმა წაიკითხა და მითხრა ვიღაც თანერის თეატრი უნდა იყოს. უმალ მოვეგე გონს და მივხვდი, რომ ცნობილი თურქი მწერლისა და დრამატურგის ჰალდუნ თანერის (1916-1989) თეატრის წინ ვიდექი.

ამ უცხო მიწაზე რაღაც სხვანაირი განცდა დამეუფლა. ამის მიზეზი თანერის ქართული წარმომავლობა იყო. მისი წინაპრები თავდგირიძეები იყვნენ. ამას ის წერს ქართულად გამოცემული მისი კრებულების – „თორმეტს აკლია ერთი წუთი“ და „აწვიმდა სტამბოლს“, წინასიტყვაობებში.

ჰალდუნ თანერი დიდი მწერალი იყო. მისი შეხედულებები ჩემ ერთ ნაშრომშიც მაქვს გამოყენებული.

მაშინვე თეატრის სალაროსთან მივედი, მაგრამ ყველა ბილეთი გაყიდული იყო. მოვიკითხეთ ადმინისტრატორი და მას ჩემმა თანმხლებმა მოახსენა ჩემს შესახებ.

– „თამამ“ (კარგი, გასაგებია), – იყო მისი პასუხი. რვის ნახევრისთვის დაგვიბარა და თანაც გვთხოვა სალაროსთან არ მიხვიდეთო. დანიშნულ დროს მივედით და მესამე რიგის ორი ბილეთი გადმოგვცა. წარმოდგენის დაწყებამდე დავათვალიერეთ თეატრის ფოე, სადაც თანერის ბიუსტი და უამრავი ფოტო იყო. როგორც გავიგე, ეს თეატრი საკუთრივ მას დაუარსებია.

სერბი დრამატურგის საინტერესო ნაწარმოები იყო იმ საღამოს პროგრამაში. ნანახით ნასიამოვნები ვიყავი, მაგრამ ეს არაფერი იყო იმ გაორებულ განცდასთან, რაც იმ საღამოს დამეუფლა. ერთი ის, რომ ქართველი მწერლის თეატრში ვიყავი ამ უცხო მიწაზე და მეორე ის, რომ ეს ქართველი მხოლოდ წარმომავლობით იყო ქართველი და მეტი არაფერი.

* * *

ოთხი ათეული წლის წინ ჩვენს ახლობელ ორ აჭარელ ძმას შორის დაახლოებით ასეთი შინაარსის დიალოგი გამართულა. ძლიერ მორწმუნე მუსლიმ უფროს ძმას უმცროსი ძმისთვის უთქვამს:

– „გეყოფა ამდენი სმა, ახლა უკვე ასაკში ხარ და რწმენასაც მიხედე!“

– „შენი დედეს (ბაბუა – კუთხ.) რა ერქვა?“ – მოულოდნელად შეუბრუნებია კითხვა უმცროსს უფროსი ძმისთვის.

– „ხომ იცი, ან რაში დაგჭირდა?“

– „დიდ დედეს?“

– „ისიც ვიცი!“

– „იმის მამას?“

– „ჩემი სახელი!“

– „იმისას?“

– „შენი სახელი!“

– „იმისას?“ – არ მოშვებია უმცროსი.

– „ეს კი აღარ ვიცი“.

– „რატომ?“

– „??“

– „მე გეტყვი: იმის სახელი იმიტომ არ იცი, რომ ის ქრისტიანი იყო. ჰოდა, შენ იქამდე ლოცულობ, მე კიდევ იმის იქით. რავა, ისინი ჩვენი წინაპრები არ იყვნენ?“

* * *

უნივერსიტეტი რამდენიმე წლის დამთავრებული მაქვს. სოფელში რაღაც გაუგებრობის გამო, არა სასურველ სიტუაციაში აღმოვჩნდი. მე თბილისში ვარ და ჩემებს უხდებათ ზოგჯერ პასუხის გაცემა ჩემს მაგივრად.

ერთხელაც ახლობელი მოსულა ჩვენთან. სადილობს და თანაც ბებიაჩემთან მაკრიტიკებს. ბებიაჩემს სადილობა უცლია და შემდეგ სტუმრისთვის მტკიცედ უთქვამს: „ჩემი მიხას ჭკუა თიფლისში 24-მა პროფესორმა შეამოწმა, მოიწონეს და დატოვეს. მალე პრაფისორი გახდება და მასზე მეორედ ასეთი რამ არ გამაგონოთ“.

ბებიაჩემი საჭიროების შემთხვევაში ძალიან მკაცრი იყო და შეპასუხებას ძნელად თუ გაბედავდა ვინმე. ასე მომხდარა მაშინაც. ოღონდ, ის ვერ გავიგე საიდან მოიტანა ბებიაჩემმა 24 პროფესორი, უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავ საერთო სურათზე, რომელიც სოფელში მაქვს დატოვებული, მხოლოდ 17 პროფესორ-მასწავლებლის ფოტოსურათია.

* * *

ერთ ზაფხულს, სოფელში ყოფნისას საათი დამივარდა და წუთების ისარი მოწყდა. პრობლემები შემექმნა ზუსტი დროის გაგების თვალსაზრისით. ერთხელაც რას ვხედავ, წამზომის ისარს „აუკიდია“ წუთების ისარი და თავისი სისწრაფით დაარბენინებს წრეზე. ასე გაგრძელდა ორი საათის განმალობაში და შემდეგ კუთხეში მიგდებით „დაისაჯა“ ეს ჩემი გამამწარებელი.

* * *

ზაფხულობით თბილისს ვტოვებდი და შვებულებას მშობლიური ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში ვატარებდი. ჩემს ერთ ბიძაშვილს, რომელიც სოფელში ცხოვრობს და მუდამ ჩემი მასპინძელია, ოქროს ხელი აქვს. რაც სოფლის ცხოვრებას სჭირდება ყველაფრის გაკეთება შეუძლია და მეზობლებსაც დაუმადლებლად უკეთებს რაც დასჭირდებათ. ამიტომაც უყვართ და აფასებენ მეზობლები.

მეც დამჭირდა თბილისის ბინისთვის რაღაც ხის ნაკეთობა. ყოველ ზაფხულს წამოსვლისას ბიძაშვილი მამშვიდებს – ამ დღეებში გავაკეთებ და ან მე თვითონ გამოვიყოლებ, ან ვინმეს გამოვატანო. ასე გავიდა სამი წელი.

მორიგი ასეთი შეპირების შემდეგ წამოვედი ბათუმში, სადაც თბილისში წამოსვლამდე რამდენიმე დღეს უნდა გავჩერებულიყავი. შევხვდი ჩემს მეორე ბიძაშვილს და სხვათა შორის, ვუამბე შეუსრულებელ დაპირებებზე. თანამოსაუბრე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და ავტოსადგურში წავიდეთო. იქ თანასოფლელს რძალთან დავაბარეთ ის, რასაც წლების განმავლობაში მის ქმარს ვთხოვდი.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით: მესამე დღეს შესანიშნავად დამზადებული ნივთი ბათუმში მოგვიტანეს.

* * *

2004 წლის 20 ივლისს, როცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს, მეუღლე ჯერ კიდევ თბილისში იყო და ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ ჩამოვიდა ბათუმში.

საარჩევნო ბატალიების გამო მთელი სამი თვით მოწყვეტილი ვიყავი ოჯახს, ამიტომაც გადავწყვიტე მეუღლისთვის გამომენახა დრო. გავისეირნეთ ბათუმის განთქმულ ბულვარში. მხვდებიან ნაცნობები, უცნობებიც მესალმებიან, ზოგი მკოცნის, ზოგს იქით ვკოცნი. მოკლედ, ერთ ამბავში ვარ, შიგადაშიგ, ალბათ, „წავიმარიაჟებ“ კიდეც. გვიან ვბრუნდებით სახლში. მეუღლე უფრო მოწყენილია, ვიდრე დაღლილი. შეკითხვებზე თითქმის არ მპასუხობს. ბოლოს თავი გააქნია, შემდგომ ოდნავ დახარა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

– „გავღორდე (ამ შემთხვევაში ნიშნავს გამოფხიზლებას, გააქტიურებას), თორემ ბათუმელებმა შეიძლება კაცი დამაწერონ“.

* * *

გონიოში, ეგრეთ წოდებულ „ჰაიდარას ბარში“ მივდივართ სამი პროფესორი (ამასთან, მე მაღალი თანამდებობის პირი ვარ). კარგ ხასიათზე ვართ, ვსაუბრობთ. ამ დროს ერთ-ერთს ურეკავენ. ჩვენი პროფესორი თავის მართლების რეჟიმშია, ეჭვგარეშეა, რომ ცოლს ელაპარაკება.

პროფესორი, როგორც იქნა, მორჩა ტელეფონზე საუბარს, უხერხულ მდგომარეობაშია და ხასიათზეც მოშლილია. რაღაც უნდა მოვიფიქრო, თორემ სუფრა არ შეგვერგება.

პროფესორს ვამშვიდებ: ნუ ღელავ, აქ წამოსვლამდე მეც გამატარეს მსგავს ქურაში. ჩემმა ფანდმა გაჭრა, პროფესორს ხასიათი მალე გამოუკეთდა და სუფრაც ჩვეულებრივ წარიმართა.

* * *

2008 წლის მარტში ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემა შემექმნა, უხერხულ ადგილას ქირურგიული ჩარევა აუცილებელი გახდა. 20-დღიანი წოლითი რეჟიმის შემდეგ კლინიკაში მივდივარ საოპერციოდ. კლინიკაში წასვლამდე უმაღლეს საბჭოში შევიარე დაგროვილ დოკუმენტებზე ხელის მოსაწერად. საქმეს მოვრჩი და ვისვენებ. შემოვიდა მდივანი და მამშვიდებს, რომ ეს ოპერაცია საშიში არ არის. შემდეგ პრესმდივანი შემოვიდა და იგივე გამიმეორა. გავიდნენ. მეც ნელა წამოვდექი და კლინიკაში წასასვლელად გავემზადე. კვლავ გაიღო კარი, მდივანსა და პრესმდივანს კიდევ ერთი თანამშრომელი ქალბატონი შემოყვა და ყველა ერთად მამშვიდებს: „არ ინერვიულოთ!“ მე კი სიმწრიანი ღიმილით ვპასუხობ:

– „რა ადვილია სხვის ტ...ზე მშვიდად საუბარი!“

გულშემატკივარი თანამშრომლები ჯერ უხერხულად შეიშმუშნენ, შემდეგ კი, სიცილი აუვარდათ და გარეთ გავარდნენ.

რაც შეეხება ოპერაციას, ის არც ისე საშიში აღმოჩნდა, როგორც მე მეგონა და არც ისე ადვილი, ჩემი თანამშრომელი ქალბატონები რომ მამშვიდებდნენ.

* * *

ჩემი მშენებელი ძმისშვილი თურქ ინვესტორთან ერთად გვიან მეწვია უმაღლეს საბჭოში. ვსაუბრობთ და ამ დროს ძმისშვილს დაურეკეს. აშკარაა, რომ მძიმე საუბარი აქვს. უცბად ტელეფონი გადმომცა. მისი ცოლი აღმოჩნდა და როგორც კი ჩემი ხმა გაიგონა, მაშინვე დაწყნარდა და ტონი შეიცვალა. მისთვის მთავარი იყო, რომ ქმარი ჩემთანაა და არა სხვაგან.

აღელვებული და უხერხულ მდგომარეობაში მყოფი ძმისშვილი კი ასე დავამშვიდე: ნუ გაგიკვირდება, ყველა ქალი ერთნაირია და ერთმანეთისგან მხოლოდ კაბის სიჭრელით განსხვავდებიან. ამასთან ვთხოვე სტუმრისთვის გადაეთარგმნა ჩემი ნათქვამი.

როგორც კი გადაუთარმგნა სტუმარს, მან თავში ხელები წაიშინა და თან დასძინა: „ტოღრი, ტოღრი!“ (მართალია, მართალი!) და იქვე დაამატა:

– „ჩემს ცოლს ბევრი ფული უნდა და თანაც სახლიდან ფეხი არ უნდა მოვიცვალო“.

* * *

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ტარდება საღამო დევიზით – „ბავშვები ჩვენი მომავალია“. მე ტრადიციულად ჩემთვის განკუთვნილი მე-5 რიგის 21-ე ადგილი მიკავია. ჩემს უკან სახელმწიფო დაცვის განაწესის თანახმად, პირადი დაცვის თანამშრომელი ზის, ჩემს მარცხვნივ კი, ბათუმ-ლაზეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი.

საღამოზე მეუფესა და მე რამდენიმეჯერ მოგვიწია გამოსვლა. ჩემი სკამი ნაპირზე იყო და ამიტომაც უპრობლემოდ გამოვდიოდი. რაც შეეხება მეუფეს, მის ყოველ წამოდგომაზე მეც ვდგებოდი, გვერდზე გავიწეოდი და მეუფეს ვატარებდი. ასე ხდებოდა მაშინაც, როცა მეუფე ადგილზე ბრუნდებოდა.

ერთი მორიგი გამოსვლისას მეუფემ ბოდიში მომიხადა. მე კი ვეხუმრე – ჩემი შეწუხება რა მოსატანია, აი დაცვა რომ წუხდება ეს მაფიქრებს მეთქი. საქმე ის ყო, რომ წამოვდგებოდი თუ არა, დაცვაც წამოდგებოდა, ამას ავალდებულებდა განაწესი. მეუფე მიმიხვდა იუმორს (ამის ნაკლებობას არ განიცდიდა), გამიღიმა და დაიკავა თავისი ადგილი. შემდეგ მეუფე შემახსენებდა ხოლმე ამ ეპიზოდს.

* * *

2011 წელს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მუსლიმთა წინასწარმეტყველის – მუჰამადის დაბადების დღე აღინიშნა. მეც ვიყავი მიწვეული და სიტყვითაც გამოვედი. როცა საიუბილეო საღამო დამთავრდა, ჩემთან მოვიდა აჭარის მუფთი და მკითხა, საიუბილეო ვახშამზე ღვინო ყოფილიყო, კონიაკი თუ არაყი.

ყურებს არ დავუჯერე და მუფთს კითხვა გავამეორებინე და კატეგორიულად ვუთხარი ვის მოუვიდა აზრად ეს. თურმე ერთ მის მრჩეველს უთქვამს – ეს საქართველოა და სასმელიც აუცილებელიაო.

მე კატეგორიული წინააღმდეგი წავედი და ვუთხარი: თუ მუსლიმთა წინასწარმეტყველს მივაგებთ პატივს, ბოლომდე თანმიმდევრული უნდა ვიყოთ, რადგანაც ისლამი და ალკოჰოლი შეუთავსებელია ერთმანეთთან.

* * *

ქუთაისში, დამქანცველი საპარლამენტო კვირიდან დავბრუნდი, მსუბუქად ვივახშმე და ტელევიზორს ვუყურებ. მეუღლე და რძალი ფაციფუცობენ, გადიან და შემოდიან, რაღაცას იღებენ, რაღაცას ალაგებენ, რაღაცას აწესრიგებენ და ა. შ. ჩემთვის, თუმცა, მათ გასაგონად ჩავილაპარაკე: კარგი იქნებოდა ახლა ყავა ან ჩაი. ახლავე, ორივემ ერთ ხმაში მიპასუხა.

გავიდა ნახევარი საათი, არც ყავა ჩანს და არც ჩაი. ვუხმე ორივეს და ჩემი სურვილი შევახსენე. ატეხეს ერთი ვიშვიში: ეს რა მოგვივიდა, როგორ გავერთეთ საქმეში და ორივემ დაამთავრა – ახლავეთი.

ისევ გადის დრო, ხუთი წუთი, ათი, ოცი... არც ყავა, არც ჩაი. ისევ ვუხმე ორივეს და მივმართე: – დაივიწყეთ ის, რომ პროფესორი ვარ, საქართველოს პარლამენტის წევრი, ამ პრემიების ლაურეატი, თუ იმ ორდენების კავალერი. მე ახლა თქვენთვის ვარ ამდენი ლარი (ჯამურად მივაწოდე პროფესორისა და პარლამენტარის ხელფასის ოდენობა) და ამას გაუფრთხილდით!

ორივე უხმოდ გავიდა ოთახიდან და 5 წუთში რომელი რომელს დაასწრებდა, ამ რეჟიმში ერთმა ყავა მომიტანა და მეორემ ჩაი.



დათო ჯუაძე

უძილობა...

მიტევს უძილობის პანდემია,
ცისკარს ძილ-ღვიძილში ვესალმები,
სანამ ქარნი ღრუბლებს განდევნიან,
კვალი გამოჩნდება მესამე გზის
იმ გზის, მრავალს, რომ სურს გაიაროს,
თუმცა ფიქრად რჩება მეოცნების;
სული ვერ იშუშებს ნაიარევს
შექმნის დრო-ჟამიდან შემორჩენილს.
წლებმაც ჩაიარეს ზიგზაგებით,
უკვე თავდაღმართიც მომეპარა;
როცა მირაჟებში ვიკარგები
ზოგჯერ ვარსებობ და ზოგჯერ არა.
ალბათ ბედისწერამ გამაორა,
სისხლში მელანი თუ გადამისხეს,
ვიცი ბევრი რამე ამაოა,
მაგრამ მაინც ვრჩები ადამის ძედ...

* * *

სოფელში დარდისგან მოკვდა ჩემი ძაღლი,
სახლ-კარს დავიწყების ედება ხავს-ობი;
მე კი ოცნებები სულში შევისახლე,
მიტომაც დავკარგე მრავალი ნაცნობი.
ახლა დაწითლებულ თვალებს ნიავს ვუშვერ,
ქარი ხეთა ტოტებს ამტვრევს, კი არ არწევს,
მშობლებს ვემსგავსები, მოხუცთ, სიარულში,
თუმც მათ ასაკამდე, ალბათ, ვერ მივაღწევ.

დამღლელ ხეტიალით ბევრჯერ შეცდენილი,
სიზმრებს ამიჯანყებს როცა ღამე მრუში
ვიცი, ავმღერდები, ბოლოს მეც გედივით
და დავინაცრები ისევ სიყვარულში...

* * *

მზეს ცივა და ძველებურად ვეღარ ათბობს,
არც ზამთარი არ აპირებს ზამთრობას;
მინდა ხშირად საკუთარ თავს ვეკამათო,
როცა სახლში მე და იგი მარტო ვართ.
როცა სულის ღიობიდან არ ჩანს ზეცა,
(გევედრებით ნუ ამკიდებთ სხვა ცოდვებს)
დავიწყების ხავსი ფარავს კართაგენსაც,
იმიტომ, რომ სამუდამოდ გვახსოვდეს.
ქარი გოდებს, ვერ პოულობს თავის ადგილს,
სურვილები დაფრინავენ ჩიტივით...
ცხოვრებაში კიდევ ბევრჯერ გავრისკავდი
თუ იმედის გაიხარებს ჩითილი.
„მღვრიე წყალში იოლია თევზის ჭერა“,
საწერ-კალამს სულ ტყუილად ვაწვალებ...
მოვა დრო და მოგვკითხავენ სადაც ჯერ არს,
რაც ამ ქვეყნად ერთმანეთს არ ვაცალეთ...
ამ არეულ სტრიქონებსაც დავალაგებ,
ტკივილებსაც ეშველება ღვთის ნებით;
და მერე კი, ჩემს მუზასთან ერთად, აგერ
აიეტის ქალაქს შევეხიზნები...

სოფელში

ნისლი ეძალება, ვხედავ, ეგრისის ქედს,
ნისლმა შეიძლება ზღვაც კი გადაფაროს...
ნეტავ, რანაირებს ხედავს ღმერთი სიზმრებს,
ნეტავ, რანაირი არის სხვა სამყარო?
ფიქრებს უცნაურებს ტვინი ვეღარ იტევს,
ცაცკი, რომ მეგონა უფრო მაღალია;
ჩემი მოლოდინის მტკიცე მეგალითებს
ბზარი შეპარვია, უკვე რა ხანია.
უკვე უფრო ძნელი ხდება გაჩუმება,
ვიდრე სიზიფესთან ერთად თრევა ლოდის...

უკვე შერყვნილია რწმენის სარჩულები,
სულიც ცეცხლ-კუპრიდან თითქოს ვერ ამოდის.
და თუ გაგრძელდება ღამე კუნაპეტი,
როგორს გამითენებ დღეებს, აწ მერმისო?
ჩემს ძმა პოეტებთან სიტყვა თუ არ მეთქმის
უნდა დავმიწდე და მზის სხივს არ ვეღირსო.

* * *

რა დრო დადგა,
მივდივარ და ვერ წავედი,
სევდიან ლექსს მსაყვედურობს მავანი;
დამრჩა ასე,
საუკუნის მესამედი,
მაგრამ ახლა ეგ არ არის მთავარი.
ვერ იქნა, ვერ შევიმოსე ფერად ნისლით,
თუმცა იყო სურვილი და ცდუნება;
არასოდეს მყვარებია მე ნარცისი,
სულ სხვა ტრფობა მწვავდა დაუსრულებლად.
ვიბრძოდი და,
არაერთხელ გამწირა სხვამ,
ვერვინ ახსნა წუთისოფლის ავ-კარგიც...
ახლა აქ ვარ,
გეკითხებით, აწი რა ვქნა? –
ცაში ცქერით დედამიწა დავკარგე...
ინაცრება ნაღვერდალი გულის მერქნის,
შებინდების წვიმა ბებერ მუხას ბანს...
მომავალშიც ამნაირად თუ ვიქნები
ვერ ვივარგებ იმედ-რწმენის დუღაბად...

* * *

სულმა ვერ იგუა კოშკი ყრუდ ნაგები,
თუმც ცა, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია,
ძველი ტკივილების დამღლელ გულაგებით
ჟამი დადგომია მახვილს – სამღარიანს.
ჟამი დადგომია „ქუდზე კაცის“ ხმობას,
(ყველა „სინგაპურებს“ ჩემი თბილისი ჯობს)
და დრო დაავიწყებს მრავალს „არტისტობას“ –
უკვე აღარ არის მკაცრი ფინიში შორს.

ყელში ამოვიდა უკვე, ბევრი რამე, –
მუხთლად მომათალეს სიგრძე, კიდე-განი...
რაც უნდ მიკიჟინოთ მაინც ვერ ვივარებ, –
რომ ვარ ქართველი და მართლის მიმდევარი...

ტკივილი

მტკივა ტკივილები შენი სხეულის და,
თითებს ჯერაც ახსოვთ ნეკნთა კლავიშები,
თახსირ წუთისოფლის სპირალ-ხვეულიდან
ჩემი ნება იყოს, არსად გაგიშვებდი.
მაგრამ, ბედისწერის ავი გაცოფება
ისევ მემუქრება ცივი წკიპურტებით,
სევდა, მოვარდნილი დამღლელ ღვარცოფებად,
ძველი ცოდვებივით უკან მიბრუნდება.
მივდევ თავდაღმართის ბილიკ-ნატერფალებს,
ვერ ვხსნი გულის ფეთქვის უცნობ ანბან-მორზეს...
ნეტავ, ოცნებებში რატომ დამემალე –
აწი როგორ წარვსდგე უფლის სამსჯავროზე?

* * *

ნეტავ, საით მივყავარ წელიწადებს, ხელკავით,
საით მიმაქანებენ ოცნებები კარეტით...
არაფერი არ დარჩა ქვეყნად დაუბეგრავი,
ვიწვი ემაგ ბაგეთა მთენთავ სიმხურვალეთი.
გადავათრევ ამ ზამთარს, მოარული კარდაკარ
და შენს დუმილს, თანხმობის, ვუპასუხებ ალერსით,
მერე, დამსგავსებული, სიყვარულის მატა ჰარს,
სიზმრად შეგეფეთება თავად ალენ დალესი...
მე კი, ძველ მეოცნებეს, მოგონებად დამრჩება
გაფლანგული დღეების გამომშრალი ჩონჩხები...
უფრო ძნელი იქნება ციდან ჩემი დაშვება,
როცა ლექსის წერას და იქ ხეტიალს მოვრჩები...

* * *

თიხის ფიტულიდან მალე გამაძევებს
ჩუმი მონატრება შორი პლანეტების,
მალე ჩამოდგება ჩემთვის ამაზრზენი
სიცარიელე და ვერც იქ დავეტევი.

დავგლეჯ ღამეების ფარდებს ჩამოშვებულს
წვიმა გააღვიძებს როცა განთიადებს,
მერე სხივთაკარა მზეზე გამოვშრები,
გაუცინარი და მუდამ ხათრიანი.
მარსზე გადარგული ნაზი მიმოზების
გვირგვინს დაგიწნავ და სიზმრად გინახულებ...
ახლა ლექსთან ერთად სევდით ვიმოსები
რათა უმიზეზოდ აღარ „ვიმარხულო“
მაგრამ მაინც ბჟუტავს, სადღაც, ნაპერწკალი,
(სულ სხვა ხასიათი მქონდა მე ძველ დროში)
პირველს შემოჰყვება კიდევ სხვა მერცხალი
და გაზაფხულები მოვლენ შენს ეზოში.
და თუ სხვანაირად ყოფნა აღარ ძალმიძს,
გვერდით დაგიდგებით აწი ყველაფერში,
სანამ მიეცემა ტვინი საღათას ძილს,
ანდა შემეძლება, სანამ, წერა ლექსის...

მელი ოურმანიძე

აიშა

– ბა, ნენეს სანახავად ჩევირბენ სახლში და ამოვალ ხვალ, – გადაჭრით უთხრა მამამთილს აიშამ.

– ორი ბაღნით რაფერ წახვალ? ძნელია.

– არა, რომიკოს გიტევთ შენ და ნენეს, კაკილო მიმყავს მარტო, ხვალ უკან ამოვალ...

ბორტმონჯღრეული სატვირთო მაქანა, ხრიგინით გაჩერდა ჭიშკართან, რამდენიმე კაცი, ამავე სოფლის მკვიდრი, ჩამოხტა მანქანიდან და ეზოში შევიდა. მათგან ერთი აქტიურობდა მხოლოდ.

– გამოიყვანე ოჯახი, ბერიკაცო! არაფრის წამოღება არ გჭირდება, ჩქარა ადით ბორტზე, დრო არ გვაქვს, ბევრ ოჯახში ვართ მისასვლელი!

– კი მარა, სად და რატომ მივალთ?! სახლ-კარს ასე ვერ დავტევ, ყურიგდება უნდა ყველაფერს! – მკაცრად გამოეპასუხა დედე.

– სად მიდიხართ, მაგას ქალაქში გეტყვიან! – იყო, კიდევ უფრო უხეში პასუხი, – სახლსაც ნუ დარდობ, აწი ან დაგჭირდება და ან არა!

– ოჯახიანად მასახლებ?! – მსხვილი, შეყრილი წარბების ქვემოდან ცივად მომზირალი თვალი მკაცრად გაუსწორა თვალში, მოსაუბრეს.

– მე კი არა, მთავრობა გასახლებს კაცო! – მე მოვალეობას ვასრულებ!

– ის თავრობა და ქვეყანა მაგზავნის დუნიქენერში, შვილი რომ გუუგზანე ჯარში და მის ბაღნებს მე ვზრდი, ხომ?! შიგირცხვა თავრობაც და ნამუსიც!

– ბევრი არ ილაპარაკო მოხუცო! შენთვის ჯობია ისევ! გასძახე ოჯახს და ადით ბორტზე ახლავე, საქონელს და ფრინველს მიხედავენ, გამოგზავნის ბრიგადირი ვინმეს!

– ვიცი მე, რაფერც მიხედავენ, მარა... – გაბზარული ხმით თქვა მოხუცმა და ცოლს ხელი წამოუქნია, გამოიყოლე რომიკო და გამოდიო.

– რძალი და მეორე შვილიშვილი გადამალე ხომ? ვინ მოგიტანა ამბავი?! – იკითხა ხმაში რისხვაშერეულმა მომხვდურმა.

ერთი წამით, სიმართლის თქმა იფიქრა, შეურაცხყოფილმა დედემ, უნდოდა ეთქვა დედულეთშია გელინიო, მაგრამ უცებ დაფიქრდა, თუ ვეტყვი, იმასაც ჩვენი ბედი არ აცდება, იქნება მერე შეძლოს დაბრუნება შინ და ოჯახს მიხედოსო და ხმა გაკმინდა.

აღარც ის გაჯიუტებულა, ბორტზე ამავალ მოხუც ცოლ-ქმარს ხელი შეაშველა, შვილიშვილიც იქვე შემოუსვა, დედეს გადმოძახილზე, – ჭიშკარი მაინც გამეიკეტე შენ ერმენოო, ყურადღება არ მიუქცევია, კაბინაში შევარდა მოუთმენლად და მანქანის ადგილიდან დაძვრა უბრძანა მძღოლს.

– ჭიშკარიც კი ღია დიმიტია ეზოზე, გიაურმა! – მკაცრად აღმოხდა დედეს და გაღმა სოფელს ისე მიაშტერდა მიმავალი მაქანიდან, გეგონება იმახსოვრებსო.

– ასე მგონია, კაი იქნა, ჭიშკარი ღია რომ დარჩა ბერო, მეზობლები დეინახავენ და შეხედავენ რა ხდებაო, იქნება საქონელასც მიხედავენ,

თან ღია ჭიშკარი ისეა, ვითომ გიცდიდეს, ჰო და მალე მუალთ შინ, აქ რაცხა შეცდომაა. ჩვენი მევლუდი ჯარშია, ემსახურება ამ ქვეყანას, ჩვენ რისთვინ გაგვასახლებდენ, ჰა?

– რაფერ ფიქრობ, აიშასაც ნახავენ, ეს უღმერთოები? – კითხვა დაუბრუნა ბაბუამ მეუღლეს.

ქალს ცრემლით აევსო თვალი, პასუხი აღარ გაუცია...

– აიშა, აიშა, აიშა... – მოუთმენელი და მოგუდული ძახილის ხმა მოესმა ახალგაზრდა ქალს და ეზოში გაიხედა, მეზობელი მორბოდა სახლისკენ და თან თვალებს იქით-აქით აცეცებდა.

– რა მოხდა, რაფერი შეშინებული სახით მორბი, მშვიდობაა?! – მკაცრად იკითხა აიშამ.

– შენები გუუსახლებიან დღეს, სოფელში თქვეს აიშასაც ეძებდენო, ფრთხილად იყავ, აქედანაც სადმე გადაი, მიხდებიან ნენესთან რომ ნა მოგძებნონ!

უცებ გაიყინა აიშა, მაგრამ აზრი და გონება არ გაფანტვია.

– სახლს მიმიხედავთ თქვენ?! – იკითხა მოულოდნელად.

– სახლში რაღაა მისახედი, ქალო? საქონელი და ფრინველი ფერმაში წაასხეს, შინ რამე სახეირო თუ იყო ეგრევე გაზიდეს, მანქანა სოფლიდან გამოსულიც კი არ იყო! – უპასუხა შემცბარმა მეზობელმა.

– როის მიყავენ ქალაქიდან, ან სად ყავენ გაჩერებული გასასახლებელი ხალხი, იცი რამე?

– სიბლაყვეს ნუ იზამ, აიშა! მოკიდე კაკილოს ხელი და დეიმალე!

– თუ იცი სად არიან მიპასუხე, თუ არა და ჩემით ვნახავ! – იყო მკაცრი პასუხი.

– კინიგზის სადგურში ჩაყავან ყველაიო, ასე ამოვდა ხებერი ქალაქიდან.

აიშა ოთახში შებრუნდა, დედას გადაეხვია ძალიან თბილად, ბათუმში ჩევირბენო უთხრა და კაკილოს ხელი წამოავლო.

– ბაღანა რაღათ გინდა ნენი, დიმიტიე შევექცევით ერთმანეთს, ჩეირბენ და ამოხვალო, – მიაძახა დედამ, მაგრამ აიშას აღარ გაუგონია მისი ბოლო სიტყვები, უკვე ჭიშკარი ქონდა გავლილი.

ქალაქისკენ მიმავალი მანქანა გააჩერა და გამიყოლეთო სთხოვა, არ უთქვამთ უარი.

შეშლილივით გაწეწილი თმებით მივარდა რკინიგზის სადგურში. უკვე ყველა მატარებელში ყავდათ აყვანილი და გასასვლელად ემზადებოდნენ.

– ამ მატარებელშია ის ხალხი, გასახლებაში რომ მიყავთ?! – დაღლილობის ქოშინითა და ბრაზით ამღვრეული ხმით კითხა აიშამ გამცილებელს.

– კი, ესაა, ვის ეძებ?! გაეცალე აქაურობას ახლავე! ისინი დაგიჭერენ და მატარებელში ჩაგსვამენ!

– ისინი ვერ დამიჭერენ! მე თვითონ ავდივარ ბორტზე, გამიღეთ კარი!

– გაგიჟდი?!

– გამიღეთ კარი მეთქი! – დასჭექა აიშამ და ასე აღმოჩნდა ხალხით გადატენილ ვაგონში, სადაც არავის იცნობდა. ვაგონს არც ფანჯარა ქონდა, არც საწოლი და არც არანაირი კომფორტი.

– საქონლის გადამყვანი მატარებლით მივყავვართ, არა? ახია ჩვენზე! – ახი! თქვა მკაცრად და სადმე ჩამომაჟინეთო ითხოვა.

მალე კაკილოს მოშივდა, მოწყურდა, მოეძინა და განწირულ ხმაზე ატირდა, აიშა მეთოდს ვეღარ პოულობდა აკვანში ძილს მიჩვეული ბავშვის დასამშვიდებლად, გზა კი გრძელი იყო. არავინ იცოდა, რამდენი უნდა ევლოთ, კაკილო ტირილს უმატებდა და აუტანლად აწუხებდა გამწარებული მგზავრების ნებისყოფას. წამით იყუჩა ბავშვმა და ვაგონის ბნელი კუნჭულიდან კაცის ხმა მოვიდა აიშამდე:

– გინდა, აკვანს გათხოვებ, სანამ ჩავალთ, საცხა ჯანდაბაში მივალთ, გამეიყენე.

– ჰო, აკვანს? რა თქმა უნდა, მინდა... მადლობა... და რატომ? რატომ მოგაქვს აკვანი?

– ქალი გიმისახლეს სამი თვის ბაღნით, შინ მისულს გავერანებეული დამხდა სახლი, ავწიე აკვანი და გამოვეკიდე, რომელცხა ვაგონში იქნება, მატარებელი ერთია, გინდა თუ არა ყველაი აქ ვართ, მთავარია ადგილამდე მივაღწიოთ ცოცხლებმა.

რამდენიმე დღე და ღამე მიდიოდა მატარებელი, მიდიოდა და ყოველდღე შორდებოდა ყველაფერს მშობლიურს, ჰორიზონტზე პატარავდებოდა სტარტის ადგილი, იზრდებოდა დარდი და შიში...

– ნეტაი, აიშა ევდოდა შინ, ქალო? – კითხულობდა პერიოდულად დედეი.

– ევდოდა კაცო, აბა რას იქდა,– უპასუხებდა ნენეი და თეთრი ლეჩაქით ამეიწმინდავდა თვალებს, ძალაგაცლილ რომიკოს შეასწორებდა მუხლებზე, შუბლზე აკოცებდა და გულში ლოცვას განაახლებდა:

– შენი ჭირიმე, გამჩენელო, შენი სახელი დეილოცა, ჰაცხან მივალთ, ცოცხალი მიმაყვანიე ეს ბაღანა, შენი ჭირიმე გამჩენო...

ილაჯგაწყვეტილი, მოლოდინით და შიმშილით თუ წყურვილით დაღლილი ხალხი, ფიქრსაც რომ ვეღარ ახერხებდა, მატარებლის გაჩერებამ მოაფხიზლა, ყველა წამოენთო რაღაცის მოლოდინით და ხმამაც არ დააგვიანა:

– მოვედით უკვე, დაცალეთ ვაგონები!

უსახური, გახრუკული და ცხელი ბაქანი უღიმღამოდ ელოდა უცნობ ადამიანებს, ასეულობით ადამიანის თავში, მხოლოდ ერთი ფიქრი ტრიალებდა, სად მოგვიყვანეს და ნეტა აქ რა გველის?

შერჩენილი ენერგიით მიაწყნენ კარებს და ბაქანი დარდიანი ხმაურით აავსეს, რთული და გაურკვეველი იყო, მათი მოთქმა, ტკივილი კი ყველასი ერთი იყო...

– შაგატიე ბაღანა დედაბერო, მომე მე ევხუპავ ხელში, მობრუნდა ნენესკენ დედემ და უცებ ადგილზე გაიყინა, ნენეს უკან აიშა იდგა, ხელში მიძინებული კაკილო ეკავა და იღიმოდა.

– არ შეგეშინდეს ბაბი, არც ისე ცუდ ადგილას მოგვიყვანეს, მე ბევრ წერილს დავწერ და გავაგზანი ბაბი, – ჩურჩულებდა აიშა.

დედეი იდგა და აღარაფერი ესმოდა ყურში ბედნიერების კივილის გარდა: – მარტო არ დაგვტოვა გელინმა, ბაღნიანად გამოგვეკიდა, ესენი რაღას დაგვაკლებენ?!

მერიემი

მერიმმა ხელი წამოავლო რვა თვის ისას და ფართოდ გახელილ თვალებში უსაზღვრო შიშჩამდგარმა, დანარჩენ შვილებს გადაეფარა. ერთხანს გაყინული მზერით მიაშტერდა თანასოფლელებს, რომლებიც ბრძანების შესასრულებლად იყვნენ მოსული და ისეთი სახით იდგნენ მრავალშვილიანი ოჯახის წინაშე, თითქოს პირველად ხედავდნენ, მერე ძალა მოიკრიბა და ხმის ამოღება სცადა:

– აფერი აღარ დაგჩათ ხომ? აღარც ადამიანობა, აღარც მეზობლობა, აღარც სინდისი, ჰად მიშვებ ამ ბაღნებით, ის მაინც თქვი, ჰად მიშვებ?!

– ნაკლები ილაპარიკე მერიემ და ის გააკეთე რასაც გებნევი! იცოდე ვის უბრუნებ ენას!

– ენას ვის ვუბრუნებ?! ენას ვის ვუბრუნებ, არა?! ვის და ბოღმით სავსე, გამოშტერებულ ისკენდერას! შენ მეტი ვინ იკადრებდა აქ მოსლას?! – ამოიღრინა იმედგადაწურულმა მერიემმა და ატირებული ისა ძლიერად მიიკრა გულზე. უცებ გონებაში გაუელვა, შეიძლება ბავშვი წამართვანო და ტვინში ახეთქებულმა სისხლმა ერთიანად აუჭარხლა სახე. გულმა გამალებით დაუწყო ცემა და ფიქრის კორიანტელი აერია თავში: – რომ ამართვან ბაღანა, ვის მიცემენ? ამათ ხომ სისხლი არ აქვან, ისეც იქმენ, კატასავით მოკლავენ და დაფლავენ საცხა. ერთი მეორეზე უარესმა და მწველმა ფიქრებმა ტვინი დაუსერა ქალს და შიშის, მუდარის, ბრაზის, გაურკვევლობის ნარევით სავსე თვალით გახედა მეზობლის სახლს, რომ ცოდნოდა წუხელვე დაუტევდა მეზობელს, ამ მეძუძურ ბავშვს მაინც, მაგრამ საიდან შეეძლო ცოდნა?

– რას გაყუჩებულხარ და დგახარ ერთ ადგილზე, მაინც და მაინც მე აგათრიო მანქანაში? – მოაფხიზლა ისკენდერას ყვირილმა, ბაღა-

ნას არ მართმევენო გაიფიქრა, უფროს შვილებს ხელი წამოუქნია და ბორტზე ავარდა სწრაფად, ისე თითქოს სადაც მიდიოდა, იქ გადარჩენა ელოდა...

– ქომოსანების ოჯახობა წუუყვანიათ წუხელ.

– სა წეიყვანეს ნეტაი?

– ამბობენ, ციმბირშიო...

– მეძუძური ბაღნით, ქალი ციმბირში ჩააწევს?

– ნეტაი, ისაი გედეგვერჩინა...

– რაფრათ გადაარჩენდი, აქ დატევდი და შიერი მოგიკდებოდა, იქ დედამისი ძუძუს მაინც აჭმევს პაწახან.

ჩურჩულებდა დაზაფრული სოფელი და თავს იმშვიდებდა, რომ ქომოსანებს უბედურებას მაინც ვერავინ ააცილებდა, სანამ ისკენდერაი იქნებოდა მთავრობაში...

საქონლის გადამყვან ვაგონებში შეყრილი ხალხი იატაკზე იჯდა. უფანჯრო და უშუქო სივრცე შიშის ზაფრას აძლიერებდა, ვიღაც ჩუმად ჩურჩულებდა კუთხეში, მხოლოდ ისა წოვდა ცარიელ ძუძუს გაბედული ხმაურით, პერიოდულად შეჩერდებოდა და დედას ახედავდა, აქაოდა სად არის ჩემი საჭმელიო...

მირიხინებდა მატარებელი და მძიმედ ფანტავდა ნასვრეტებიდან გაპარული შიშის უზარმაზარ ღრუბელს. კითხვას, თუ საით და რატომ მიდიოდნენ, აზრი არ ქონდა, რადგან პასუხის გამცემი არავინ იყო.

ოჯახებად შეჯგუფებული ადამიანები მიყუჩებულები იჯდნენ ხის იატაკზე, სათვალავი უკვე არეოდათ, სალაპარაკოც არაფერი იყო, უწყვეტ დუმილს პერიოდულად, ისას გულამოხეთქილი ტირილი და მერიემის მწარე კვნესა არღვევდა. ქალს ერთი წვეთი რძე კი არა სისხლიც აღარ ედგა ძარღვებში, წყურვილისა და შიმშილისგან ჩამოღარულ სახეზე მწარე ტკივილის ელვა იკლაკნებოდა, როცა ისა ცარიელ ძუძუზე მოავლებდა ხელს და დახეთქილ ძუძუს თავს პირში იკრავდა ხოლმე.

უკვე მეათე დღეზე მეტი იქნებოდა გასული, მოსაღამოვებულზე, თითქოს სვლა შეანელა მემანქანემ და სადღაც მიღწევის ილუზიით შეპყრობილი ხალხი ჭუჭრუტანებს მიაწყდა, გარეთ წყვდიადი ისადგურებდა და ბევრი ვერაფერი ჩანდა, თუმცა დასანახიც არაფერი იყო უკიდეგანო ცარიელი სივრცის გარდა. მერიემის გვერდით მჯდარი ოჯახი, რომელთაც გულისმანკიანი შვილი თან ახლდათ, განსაკუთრებული მოლოდინით ელოდა მგზავრობის დასასრულს, ამიტომ შენელებული რიტმი მას ყველაზე მეტად გაუხარდა და მჭიდროდ მიეტმასნა ფიცრებს შორის დარჩენილ ღრიჭოს, ცდილობდა რაიმე გაეგო, მაგრამ ამ დროს რაც მისმა თვალმა ნახა, გონებას აღარასდროს დავიწყებია. მატარებელი ბოლომდე არც კი გაჩერებულა, წინა ვაგონის კარი გაიღო, თითქოს ქარმა რელსების ხმაურში გამცილებლების ხორხოცი მოიტანა და მან უფრო მეტად სცადა ტვინის მობილიზება, რომ რასაც თვალით ვერ შეამჩნევდა გაეაზრებინა, თუმცა ფიქრი არ დასცალდა, გამცილებელთა ხმებმა იმატა, ბოლოს ერთ-ერთმა, ჰოპლაო იყვირა და ვაგონიდან გაქნეული ადამიანის ცხედარი მძიმედ დაეცა რელსებიდან ოდნავ მოშორებით. ქალს მუხლები მოეკვეთა, ნელა ნელა ჩამოსრიალდა დაბლა და მერიემის სიახლოვეს ჩაიკეცა.

ისას გამოეღვიძა და აღნავლდა, მერიემს უნდოდა ეკითხა: – რა ხდება, ცუდად ხომ არ ხარო, მაგრამ ამის თავი აღარ ქონდა. ქალი თავისით მოტრიალდა და ჩუმად ჩასჩურჩულა:

– მატარებელში სიკვდილი არ გაბედო, მერიემ!

მერე წამოდგა, ნელა-ნელა მიუახლოვდა კუთხეში მიმჯდარ ოჯახს, ავადმყოფი ქალიშვილი მიიზიდა გულთან და გაყუჩდა...

კუჭითა და საშარდე ბუშტით შეწუხებულმა კაცებმა ვაგონის კუთხეში პატარა ხვრელი გააკეთეს დიდი წვალებით, ქალებიდან თავშლები ითხოვეს და ფარდასავით ჩამოაფარეს. საჭმელი ამათ არ ქონდათ წესიერად და სასმელი, მაგრამ უკვე მოურიდებლად ამ კუთხეს მაინც ყველა სტუმრობდა.

ალბათ, ორი კვირა იქნებოდა გასული მას მერე, რაც ბათუმიდან დაძრული მატარებელი, გაურკვეველი მისამართით მიდიოდა, ადამიანებს ჯდომის უნარიც კი აღარ ქონდათ, იქით აქით მიმოყრილ სხეულებს უცნაური სიმშვიდით არწევდა ვაგონი. კუთხეში, უკვე მესამე დღეა, გულისმანკიანი გოგო უძრავად იჯდა, აღარ იმიზეზებდა ტუალეტში წასვლას და აღარც დედის მზრუნველობაზე ბრაზობდა, რომელიც თითქოს სარგებლობდა შვილის დუმილით და უწყვეტად ფორიაქობდა, პერიოდულად მიტრიალდებოდა უფროსი შვილისკენ და გადასჩურჩულებდა: – არ დეგეძინოს გესმის, ხელი არ გუუშვა შენ დას, არ დამღუპო... იქვე ახლომახლოს, ისა მიბნედილი ხმით ცდილობდა თან ეტირა, თან ძუძუ ეპოვა და პატარა ხელებს აფათურებდა, მერიემი კი იჯდა, ერთმანეთზე გადაჭდობილ ხელებს პერიოდულად ინაცვლებდა და დუმდა...

სიზმარი

იდგა ქუჩა და შუბლის ნაოჭებს
წარბების მაღლა ზიდვით მალავდა,
მე ვიდექი და ვხატავდი ქუჩას,
ქუჩას, რომელიც ქუჩას არ ჰგავდა.

მიიტყუებდა ჩემს უნდილ უნარს
თავზე ნისლწაკრულ სახლის ღიმილი...
მერე რა, თუ კი შენ არსად იყავ,
მიმოდიოდი ჩუმი ღიღინით.

და გამახსენდა ის შემოდგომა,
ის მთა და ველი, ბოლოს რომ გნახე,
გამახსენდა და გათენებამდე
იმ ნახვის სიტკბო ვხატე და ვხატე...

* * *

ეს შენ არ იცი, რომ მე ვიცი, წვიმა რატოა,
ან რად არა წვიმს ანდა, თუ კი, იწვიმებს როდის?!
რომ სიმარტოვე მრუმეა და უსაშველოა
და შენი სუნთქვა ბარათივით დაღლილი მოდის!

განა რა იცი, სველ ღრუბლებთან რამდენს ვსაუბრობ,
ვუყვები, როგორ იქეც ლანდად,როგორ გაქროლდი
და უმადურად გადაღეჭილ ბნედიან დღეთა,
კოჭებზე მიმხმარ ჭაობიდან, როგორ გავრბოდი...

ეს შენ არ იცი, არაფერი არ იცი ჩემზე,
დასალიერთან მომდგარხარ და ცდილობ, მკითხულობ,
ეს, შენ არ იცი, დარჩენილი ობოლი გროშით,
ჩემს მისამართზე გამოგზავნილ ბარათს ვყიდულობ!

უკვე სინდისთან აღარ დაობ, ხედავ? – დანებდი!
მომსვლელი წასვლით ტკივილის შრამს თითქოს ამართლებს...
მიმოიხედე, მორცხვია და მინავლებული,
თუმც ქერუბიმი, სევდიანად, მუდამ ანათებს...

ეს შენ არ იცი,
რომ მე ვიცი, წვიმა რატოა...

* * *

ატტორე ჯორჯო,
უცხო ქალაქს,
უკვე ნაცნობ, სურნელში ვაბნევ.
სახლი ჩემი, თუ სხვისი სახლი
კერას ვერ ათბობს,
ფიქრი, ხანდახან მებუტება,
სადღაც წანწალებს და მე
აბნეულ კორიანტელს, სიტყვებად
ვაფრქვევ...
ატტორე ჯორჯო,
ალბათ მიჯობს სულის სიმშვიდე,
რადგან რაც დარჩა,
დარჩა ძლიერ მოკლე და ვიწრო,
მაგრამ ხომ გითხარ?
სული უკვე.. უკვე გავყიდე...
ასე უსულო, თუ კი უნდა
ავდგე და მოვკვდე,
თანაც ისე რომ, ცად აფრენის ოცნებაც მოვკლა,
მაშინ ავდგები და შილიფი
კაბის შრიალით ავღერღავ რემას,
ხეპრე ულაყთა...
მაგრამ, იცოდე,
ჩემო ჯორჯო,
ვერ არის რაღაც, ისე რომ
მშვიდი სითამამით თარეშს დავჯერდე,
ვიღაცა მიხმობს და მიკაფავს ვიწროს უფალთან,

მთხოვს და მავედრებს რომ, არაფრით უნდა
დავნებდე...
ო, სწორედ მაშინ, შავი ფანქრის, მუქი შტრიხები,
ტოვებენ, სევდის, გულგახეთქილ
სუნთქვას დარდიანს...
და მაინც ახლა, მთვარის ყუნწზე შილიფად ვდგავარ,
ვხედავ ხის სახლს და რკინის ურდულს
თითქოს ჟანგიანს...
აქ, სადღაც ახლოს, ულაყები ისევ დადიან...
ატტორე ჯორჯო...

* * *

ფრთებს ვიკეცავ და ფრთხილად ზეცას ვაშორებ სუნთქვას,
ახლა მიწასთან მაახლოებს, მე ეს სურვული...
აყვავებულა სხეული და შენ ვინ დაგასწროს?!
აღერღილ მიწას გლეხის ხელის ასდის სურნელი.

ვხედავ ზაფხული მიმზერს კახპა მარტის იერით,
შემორჩენია სიალქაჯე გაზაფხულისა,
უნდა დავპურდე, შორს ვერ წავალ ასე მშიერი,
ჯერ შევცოდავ და მერე ვიტყვი ლოცვას სულისა...

სხეულს მოედო ბედუინის ცხელი სიშლეგე
და ყინულივით აგრილებენ შენი ხელები,
უაზრობაა, მოგონილი, ახლა სიმშვიდე,
მიწასთან ვარ და მეძახიან ზეცის ფერები...

ირგვლივ ივლისის ხვატია და მითელავს სუნთქვას,
მორცხვი სიწითლით, ცას ღრუბელმა ახსნა კარები,
მაცადე, სხეულს ამ მინდორზე დავცემ კარავად,
ჭერის საბჯენად შემაშველე შენი მკლავები...

* * *

მიდის,
მიდის,
მიდის,
ჩუმად, ნება-ნება,
ანდა, სულაც, უნებლიედ...

აირჩია, უსასრულო, გზა და კვალი...
მიდის წყნარად,
არც უკითხავს წასვლის ნება,
დაიკარგა, ცის ქვეშეთში,
ჩემში ქალი...
მიყვარს ლოცვა, მხოლოდ მაშინ,
როცა მიჭირს,
ვემდურები, ღრუბლის მიღმა,
უფლის ნებას...
უაზროა,
არ გაუვა ამას წყალი,
წუთისოფლის, გამხმარ ტოტზე,
ჩაჭიდება...

წუხელ ატამი აყვავდა, სულო

ატმის ყვავილის სურნელი გაგლევს,
გიკვირს,
ბუმბერაზს სად გიტევს გული?!
ისე გამზარდე,
გამადიდგულე,
რომ მე
სამყარო, შევიქენ, სრული!



ლაღი ფრუიძე

„ნასესხები“ რიკოთზე

გამოვეშურე ცხრაზე,
ლიხის ქედს ადგა ჯანღი,
მზე ისე ჩანდა ცაზე,
როგორც ჩამქრალი ჭაღი...

რიკოთზე ვჭვრეტდი ფიფქებს,
აჭრილი იყო კარტი
და მომეჩვენა, თითქოს,
აპრილს გუდავდა მარტი...

გაგახსენდები

შხაპუნა წვიმით
        რომ დასველდები,
გ ა გ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ი...

დაღლილ სიზმრებს
        რომ დანებდები,
გ ა გ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ი...

რომ იმღერებენ
        ლექსებს „ბენდები“,
გ ა გ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ი...

რომ ვერ მომხიბლავს
        „ბოიფრენდები“,
გ ა გ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ი...

მიჯნურთა ენით
        რომ აენთები,
გ ა გ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ი...

აქაც და იქაც
        შენ რომ გენდობი,
გ ა გ ა ხ ს ე ნ დ ე ბ ი...

გესალმები საქართველო!..

ისე თბილა, ოქტომბერში,
მტკვარს გაცურავ მხარულითა,
გესალმები საქართველო,
ბორჯომ-ხარაგაულიდან...

ირიჟრაჟა, მთვარე ჩადის,
მზე ამოდის წინკარიდან,
გესალმები საქართველო,
ამ სამეფო ლიკანიდან...

ორი დღეა, აქეთა ვარ,
აქეთური ამბებითა,
გესალმები საქართველო,
ქვაბთახევის ქვაბებიდან...

ისე თბილა, ოქტომბერში,
მტკვარს გაცურავ მხარულითა,
გესალმები საქართველო,
ბორჯომ-ხარაგაულიდან...

შენზეც იტყვიან...

ვკვდებით ყველანი, არავინ იცის,
ვინ, ვის გავასწრებთ საიქიოში,
კვდება მკურნალიც, გამზომი სიცხის,
ამიტომ არ თქვათ სიტყვა რიოში!..

იტყვიან ასე: ჩაძაღლდა ძაღლი,
გამებზარება გულის ფიცარი
და ვგავარ ირემს, ტყეში თოფდახლილს
და მოწამლული მტყორცნეს ისარი...

ბევრი ორფეხი ისე ჩაძაღლდა,
ცაზე ვარსკვლავი ვერ დააკვესეს,
ჩაივლის ვინმე, იმ შენს საფლავთან
და ჩაიცინებს: ჩაძაღლდა ესეც!

გამოღვიძება ბათუმში

ბელა ქებურიას

მზე რომ ზღვას მიესალმება,
(მზის ბორჯღალს ვხედავ „კარდუში“)
ვარ ამაყი და თავნება,
როცა ვიღვიძებ ბათუმში.

აქ სიტყვა ისმის დღეისდღის,
ორლესული და ბასრული,
ლოცვას უფალი შეისმენს,
ზღვისთვალა კოლხი ასულის...

ისევ, ისე...

ასეთია ეს სოფელი,
აქეთ – მზეა, იქით – თოვს,
ხვალ სხვა მოვა მეზობელი,
წასულებმა იკითხონ...

ვინც ეტრფოდა ირმის თვალებს,
ვინც მღეროდა ივლისზე,
იმან იცის, ივლის მთვარე,
ისევ, ისე ივლის მზე...

შენ შემეშველე!

ახლა კოჭლობით
   მივყვები მურყვანს,
დაიფარება მდელო
   ვიდრე ქვით,
გული ყოველთვის ამბობს
   ვინც უყვარს,

შენ ბედისწერავ,
        გვერდზე მიდექი!

შენ შემეშველე
        სიტყვავ ქართულო,
დღეს ჩემი
        სულის თანაზიარო,
რომ წუთისოფლის
        დარდით გართულმა,
ჩემს სამშობლოში
        ერთხანს ვიარო!

შორი და ახლობელი

ესთერ ჯანშვილს

ვინც სიტვას მოუხმობს ლუკა-მათესავით,
ვინც არ გამოგვრჩება იმ თუ ამ სიაში,
ვინაც იქნება მოძმე და ნათესავი,
უპირველესად ევროპა-აზიაში;

ის ჩემთვის იქნება სიზმარი ათას ერთი,
ვით პურის ყანაში თავნება მახობელი,
ძვირფასი ვითარცა ბეთლემი, ნაზარეთი
და ესთერივით შორი და ახლობელი...

ჩემი მდინარეები

მზე ცისარტყელას ვარცხნის
და ირმებს წველის დალი
ჩანს ღვთაებრივი ვარცლი,
ხეობა ცხენის წყალის.

იქით რიონის ტოტი,
მიწის სიტკბო და ბანგი,
მოდის, ო, როგორ მოდის,
სავსე ქართული ჰანგით.

ამ მდინარეთა მადლით,
სავსე მაქვს ძვალი, ხორცი,

ვზომავ მტკაველით, ადლით
და ყოველ მტკაველს ვკოცნი...

და თუ ვერა ვარ სავსე,
შენით დიდგულა მტკვარო,
დარდი დატოვე ხავსზე,
გულში არ გაიკარო!..

ჩამოიმარცვლა...

ჩამოიმარცვლა კრიალოსანზე,
სამასსამოცდახუთი მარცვალი,
მრჩება მეზობლად, ანუ მოსაზღვრედ,
წუთისოფელი – დედინაცვალი...

თუმც ვერასოდეს გავხდი მდიდარი,
სულ ხმალს ვჭედავდი, ურჩი ხალიბი,
ჯიბეში მედო ტრფობის ქვითარი
და არ ვყოფილვარ სულით ღარიბი!

ჩემს ძაღლს, ჩემს ლუსის

მე გიპოვე, მე გაგზარდე,
ასე ზრდიან სოფლად ობლებს,
აგიყვანე ნასპერში და,
ჩაგაბარე მოხუც მშობლებს;

შენი მოვლა-პატრონობა,
მარსელის და შარდენს ვთხოვე,
გამეზარდე, დამიქალდი და
მაინც ვერ გაგათხოვე;

სხვებს უღრენ და მე მიცინი,
ლოკავ ფეხსაცმელის ჭვინტებს,
სიხარულით კოტრიალებ,
მისდევ კატას, ხბოს და ჩიტებს;

ეზოს უვლი გარეშემო,
ბრალი დაგდო აბა რაში,

შენი ხმა და შენი ყეფა,
ისმის ალბათ ალპანაში;

ძაღლი ხარ და ვერ იკითხავ,
ვერც კორტასარს, და ვერც ბორხესს,
ერთგულებით ჩემო კარგო,
შენ ჯობიხარ მრავალ ორფეხს;

ლექსს და სიტყვას ვეფერები
და შვილიკოს ვუხსნი ლოგოსს,
ირბინე და, იყეფე და,
იბურჯგალე ლუსი გოგო...

ჩემი გზა

მიყვარდა მამა, მიყვარდა დედა,
მიყვარდა ჩემი ტოლი და სწორი,
მერე უეცრად გზა ჩამეკეტა,
მშობელი მიწაც გამიხდა შორი...

გაცივდა გული, დამიზრა ფესვი,
შევიქმენ ცრემლთა უხვად მთოველი,
განზე გამიდგა სიტყვა და ლექსი,
უსამშობლობამ იცის ყოველი!..

დღეს, ვეფერები დედას და მამას,
ისევ ქართველის დამკრავს იერი,
მიმიღო, შემქმნა ვინაც და რამაც
და სამშობლოთი ვარ ბედნიერი!..

ჩემი პოეზია

მთვარე მთებზე გადავიდა
და მზეც უუშორესია,
შენ ხარ ჩემი საყდარი და,
შენ ხარ ჩემი პოეზია!..

რა ბრძენი და რა მგოსანი,
რა ფიქრები მომესია,

შენ ხარ ჩემი სალოცავი,
შენ ხარ ჩემი პოეზია!..

რუსთაველის ბარიტონი,
მწვერვალების დონეზეა,
ანი, ბანი, განი, დონი,
აი, ჩემი პოეზია!..

ჩემი სტიქია

ჩემი სტიქია ქარია,
თმაქოჩორა და ყოჩაღი,
ვისთვის, სასჯელი ქმარია,
ვისთვის, სახლი და ოჯახი...

აალებული კვარივით,
მზეს ჩაიფიცხებს კუმპალი,
სულ უნდა იყო ქარივით,
ანცი და თავისუფალი!..

ცა და მიწა

სადაც მთავრდება მიწა,
იქვე იწყება ცა,
მე სახიერი მიცავს,
რადგან მწამს!..

სადაც მთავრდება ზეცა,
იქვე იწყება მიწა
აისი ნისლებს წეწავს,
დაისი ღრუბლებს კიცხავს...

სადაც იწყება მიწა,
იქვე იწყება ცაც,
ფეხში გერჭობა ხიწვად,
კავკასიონის მთაც...

მზე გამოაშრობს, მარად
ულპობ კიდობნის ფიცარს,

ვერ გვთმობს სამარის კარად,
ველარც ცა, ველარც მიწა.

წაგვებოძება ერთად,
მან მიგვიბოძა რაცა
იქცევა ოდენ ღმერთად
დედამიწაც და ცაც...

წყეულიმც იყოს!..

სირცხვილით იწვის მიწა გარნისის
და მსურს ხსოვნიდან ის დღე ავცელო,
ხარ მოღალატე სამარადისოდ,
დაწყევლილი ხარ ჩემგან მხარგრძელო!..

ეს ღმერთმა ნუ ქნას, ვიტყვი მეასედ,
არწივი დარჩეს ყორანს ვალში რომ,
დაწყევლილი ხარ ჩემგან იასე,
დაწყევლილი ხარ ყორღანაშვილო...

გერჩიოს ჭამო მწარე იელი,
გერჩიოს სულაც გიჟის ხალათი,
ბედნიერია ძე ხორციელი,
ვინაც არ იცის რაა ღალატი...

წყალტუბო, ოტიას ეზო

მაინც ეზოსკენ
        გამირბის თვალი,
მიხარის, აქ
        რომ დავრჩი,
ოტიას ნატეხი
        და ალი-კვალი,
ლექციას
        გვიკითხავს დაჩი.
შემსწრეა სახლი
        და შემსწრეა მარანი:
ქეიფის,
        სიცილის, ცრემლის,

ეზოში, ამაყად, –
ვით შაჰის კარავი,
მოჩანს
საფლავი მწერლის...

ხევსურეთი

მხატვარ შოთა არაბულის დიდ ოჯახს

ო, აქ ისეთი ცაა,
ისეთი უნაზესი,
თუ ბრიყვი არ ხარ ძაან,
უნდა ამოთქვა ლექსი.

ო, აქ რომ ღრუბლებია,
თეთრზე უქათქათესი,
სულ რომ არ უმღერია,
უნდა ამოთქვას ლექსი:

„შეხედე, რა ცაა! –
ეს არის, რაცაა!“
გალამ თქვა ბატონო,
ლექსი რომ სხვა წვაა...

დაღი თედორაძე

მწვანე მელიების სამფლობელო

(ზღაპარი)

მთის კორტოხზე, იქ საიდანაც ხშირი ტყე იწყება, პატარა ფიცრული სახლი დგას, რომელშიც ერთი, ლამაზი და როგორც სხვები მიიჩნევდნენ, უცნაური ბიჭი ცხოვრობს...

ტყეში, ასწლოვან ნაძვს უამრავი გირჩი ესხა. ყველაზე ბოლოს, ყველაზე დაბალ ტოტზე ერთი კიდევ გაიხსნა, ძალიან პატარა, მაგრამ საყვარელი და ცქრიალა გირჩი. ეთამაშებოდა ნიავს, მზის სხივებს, კისკისებდა. დროდადრო მეგობრებს შესძახებდა, სასაუბროდ იწვევდა, მაგრამ ისინი წარბშეკრულნი გადმოხედავდნენ და თავს აბრუნებდნენ. მუდამ ლაღს და სიცოცხლით სავსეს მზე ისე შეყვარებოდა, რომ მის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა. გულისფანცქალით ელოდა მის ამოსვლას. ბოლოს, ისე რომ თვითონაც ვერ შეამჩნია, მზესთან ერთად მოძრაობა დაიწყო და მალე ხის კენწეროზე მოექცა. დანარჩენი გირჩები ბუზღუნებდნენ, სულ მეტიჩარას და თავნებას ეძახდნენ, მაგრამ შეყვარებულ გირჩს არაფერი ესმოდა. ვერც ვერაფერს ხედავდა მზის გარდა. ერთ დღეს, მწვანე ვარსკვლავივით ხის კენწეროზე აბრდღვიალებულს გარსი გაუქარვისფრდა, შუბისტარზე მოქცეულმა მზემ სხივები მისკენ დაუშვა. ნაძვის და ფისის სურნელი მოედო გარემოს. გირჩი ვარდის ფურცლებივით გადაიშალა და შუაგულიდან თვალეებბრიალა ბიჭი ზმორებით წამოიმართა. ხელები მზისკენ აღმართა და ხმამაღლა დაიძახა – აუ-უუუ...

– აუ დაიბადა... აუ დაიბადა... გირჩს შვილი გაუჩნდა. – აფუსფუსდნენ გირჩები.

ამოვარდნილმა ქარმა დედა გირჩი აიტაცა, ჯერ ჰაერში ანანავა ბედნიერი და მერე ნელ-ნელა შუაგულ ტყეში ჩაუშვა, სადაც თეთრ, ლამაზ ხედ გადაიქცა.

აუმ ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა ნაძვის ტოტები. საოცარი ბიჭის დანახვით აღფრთოვანებული გირჩები, თხოვდნენ არ წასულიყო და მათთან ერთად ეცხოვრა, მაგრამ აუმ ასე გადაწყვიტა. დაემშვიდობა დედობილებს, მიწაზე დაეშვა და სოფლისკენ აიღო გეზი. დიდი ხნის სირბილის შემდეგ, სოფელში, ერთ ყველაზე ხელმოკლე ოჯახში მივიდა. ოჯახის უფროსები გაკვირვებული ათვალიერებდნენ ულამაზეს ბიჭუნას, რომელსაც, გრძელ, თითქმის საფეთქელთან მისულ თვალის ჭრილში, ზურმუხტისფერი თვალები ნაკვერჩხლებივით უბრწყინავდა, მუქი სახის კანი და მხრებზე დაყრილი ქარვისფერი დალალები ამშვენებდა. ბიჭმა გაიღიმა თუ არა ეზო-კარი ათასნაირი ფერებით, სურნელით და საოცარი მელოდიებით გაივსო. უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. მსჯელობდნენ, ვინ შეიძლება ყოფილიყო, ან საიდან უნდა მოხვედრილიყო ასეთი პატარა ბიჭი მათ სოფელში. ბოლოს ვი-

ღაცამ წამოიძახა: მზის შვილიო... ჯერ სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე ჩურჩულმა გადაუარა შეკრებილთ... მზის შვილი? მზის შვილი! კი, კი მზის შვილს ჰგავს. ასე დაერქვა პატარა აუს მზის შვილი.

ცხოვრობდა ბიჭი ოჯახში, რომლებსაც წლიდან წლამდე ძლივს გაჰქონდა თავი. ხშირად მშივრებსაც დაუძინიათ და სიცივისგან აკანკალებულებსაც, მაგრამ ბიჭს მზრუნველობას და სიყვარულს არ აკლებდნენ. მასაცს ძალიან უყვარდა დედობილ-მამობილი, და-ძმები, მაგრამ როცა წამოიზარდა დამოუკიდებლად ცხოვრება გადაწყვიტა და სწორედ იქ, მთის კორტოხზე, ჯადოსნურ ადგილას ხის პატარა სახლი ააგო და დასახლდა.

სახლიდან ხელისგულივით მოჩანდა ხან ლურჯად, ხან მწვანედ, ხან კიდევ ნაცრისფრად ალივლივებული ზღვა, ზოგჯერ კი წითლად აბრდღვიალებული. კი, ნამდვილად წითლად... მაშინ, როდესაც გავარვარებული მზის დისკო ზღვაში ნელ-ნელა ჩაეშვება, რათა გახურებული სხეული გაიგრილოს, წითლად ალივლივდება ზღვა. ცაში ატყორცნილ ოხშივარს ღრუბლების მარულას უერთდება, მეწამული და ლურჯი ფერები ერთმანეთში ირევა და მასში გაბნეული მზის სხივები ცის უსასრულობაში იკარგება. აბორგებული, თეთრი ღრუბლები მიწაზე ჩამოდის და იქ, სადაც მთისა და ზღვის ჰაერი ერთმანეთს მონატრებული ჩაეხვევიან, მთისკენ ამაყად მოემართება. გზადაგზა უცნაურ პეიზაჟებს ქმნის. ხან ულამაზესი ქალაქებია ცამდე ასული ციხე-კოშკებით, ხან მთაზე შეფენილი ცხვრის ფარაა, კომბალზე დაყრდნობილი მწყემსით, ხან გაშლილი ზღვაა ქაფქაფა ტალღებით და თოლიებით... ისეთი ქათქათა და ფაფუკია, აუს სურვილი წვავდა მკლავები გაეშალა, გადაშვებულიყო ღრუბლების ზღვაში, მასთან ერთად შეერთებოდა უსასრულობას.

ერთ დღეს, როცა ისევ ტკბებოდა დაისის ხილვით, ღრუბლებში მწვანე წერტილი გამოჩნდა. წერტილი გაიწელა, გაიბერა, ჯერ ცაში აიჭრა, მერე ხის კენწეროებს ჩაუქროლა, ბოლოს გამოეყო ღრუბლების ზღვას და ხელი გაუწოდა. აუ არც დაფიქრებულა ისე ჩაეჭიდა ხელს, რომელიც რბილი, თბილი და საოცრად ახლობელი იყო და თვალის დახამხამებაში ცაში აიჭრნენ. დაფრინავდა მთიდან მთაზე, ზღვიდან ზღვაზე, ღრუბლიდან ღრუბელზე. ხან ცხენების რემას მიუძღოდა წინ, ხან მთის თიკნების არვეს... მაგრამ ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ყველა და ყველაფერი ზურმუხტისფერი მწვანე იყო და ამ სიმწვანეში მასთან ერთად დაფრინავდა ვიღაც, თუ რაღაც, რომლის სურნელი და სითბო, მერე, ტყეში სეირნობის დროს ხშირად შეუგრძვნია.

აუს ძალიან უყვარდა ტყეში სიარული. დილით, სანამ ბალახზე მარგალიტებად ასხმულ ცვარს მზის სხივები ცაში აიტაცებდა, თავისი ხელით დაწნულ კალათებს მკლავზე გადაიკიდებდა და ბედნიერი, გაცისკროვნებული, შედიოდა ტყეში. ხარბად ჩაისუნთქავდა გრილ, ფოთლებისა და ყვავილების სურნელისგან გაჟღენთილ გემრიელ ჰაერს. ეფერებოდა ხეს, ქვას, კლდეს, ბალახს. ხშირად ხედავდა ადამიანების დაუდევრობის გამო გამხმარ ან ბრაკონიერებისგან დაჩეხილ ხეებს. ამ დროს, თავს ვერ იკავებდა, ცრემლები ღაპა-ღუპით ცვიოდა. მიუჯდებოდა, გამხმარ, დაჩეხილ ხეს, ლოყას მიადებდა და ოცნებობდა, ჯადოსნური ფუნჯი ქონოდა, რომ მისთვის სიცოცხლე დაებრუნებინა.

უცებ ხის ძირში მჯდომს, უცნაური ხმა მოესმა, წვრილი, მელოდიური. თავი აიღო და ჰოი, საოცრებავ. მინდორზე ულამაზესი მელია იდგა, რომელსაც მწვანე ზურმუხტისფერი ბეწვი თავიდან დაწყებული ფუმფულა კუდის ბოლომდე გასდევდა. ყურებზე და გულზე ქარვისფერი ბეწვი უბზინავდა. ცალი თვალი მწვანედ, ხოლო ცალი ქარვისფრად უელავდა. იდგა, თავი გვერდზე გადაეხარა და თბილად უცქერდა ბიჭს. აუმ აზრზე მოსვლა ვერ მოასწრო, მელია ისე მოულოდნელად გაქრა, როგორც გამოჩნდა. მერე ხშირად ხედავდა – ხან ჩირგვის, ხან ხის უკან გაირბენდა და გაქრებოდა.

იმ წელიწადს, ზამთარი მალე დადგა. ტყეში გასულს თოვლი წამოეწია. ჯერ ნება-ნება ბარ-

დნიდა, შემდეგ ხშირი და მსხვილი ფიფქები წამოვიდა. უცებ თოფის გასროლის ხმამ ტყე შეაზანზარა. ხმა შუა ტყიდან ისმოდა. აუს გულმა რაღაც ცუდი უგრძნო, გაიქცა და რას ხედავს, ტყის მცველი, რომელსაც ხშირად ხედავდა, როგორ ურიგდებოდა მონადირეებს და ხის მჭრელებს აკრძალულ ადგილებში ნადირობაზე თუ ხის ჩეხვაზე, თოფით ხელში თხრილის ირგვლივ დუჟმორეული დარბოდა და გიჟივით ყვიროდა:

– ვიცოდი, ვიცოდი ერთ დღეს გამიმართლებდა, ლეგენდები დადიოდა, მწვანე მელიის შესახებ, არავის გვჯეროდა, მაგრამ მართალი ყოფილა. ახლა ამას დავიჭერ, გავყიდი და გავმდიდრდები. აღარ დამჭირდება ლუკმა-პურისთვის ტყე-ღრეში ხეტიალი.

აუმ, თხრილში ჩაიხედა და ელდა ეცა. ის საოცარი, მწვანე მელია, რომელიც ტყეში გამოეცხადა, ორმოში ჩავარდნილოყო. ორმოში, რომელსაც ზემოდან ხის ტოტები ისე ეფარა და ფოთლები ისე მოეფინათ, მინდორი გეგონებოდა. მელიის გვერდით შეშინებული, სამი ულამაზესი მწვანე ლეკვი დედის ზურგს უკან იმალებოდა. მეტყევემ თოფი მოიმარჯვა, მელიას დაუმიზნა, ის იყო უნდა ესროლა, რომ აუმ ხელი აუკრა და ტყვია ზუზუნით აიჭრა ცაში.

სიბრაზისაგან გაცოფებული მეტყევე მობრუნდა, თოფის კონდახი მოუქნია მოულოდნელად გამოჩენილ აუს, წააქცია და ისევ დააპირა სროლა. აუ სწრაფად წამოხტა, წინ გადაუდგა და ემუდარებოდა: – არ ესროლოთ, არ ესროლოთ. მე ჩავხტები თხრილში და მელიას უვნებელს ამოგიყვანთ. თანაც, რად გინდათ დაჭრილი ან მკვდარი მელია, ცოცხალს უფრო ძვირად გაყიდით. მეტყევე ცალი ხელით იშორებდა ბიჭს, მაგრამ ვერაფერს გახდა... დაღლილ-დაქანცული მიწაზე დაჯდა და ფიქრობდა: – მართალია, ეს ბიჭი. ცოცხალ მელიას უფრო მეტი ფასი ექნება. ჩემს გაცურებას თუ ეცდება, მაინც არ გაუვა, თხრილიდან ხომ ვერ აორთქლდება. აქ, არა ვარ?

– კარგი, – უთხრა ბოლოს, – ოღონდ, ეს ბადე წაიღე, მელიას ჩამოაცვი, მერე თოკზე კაუჭით გამოაბი, მე ზემოდან მოვქაჩავ და ამოვიყვან. ბადეს თავი კარგად მოუკარი, რომ არ გამექცესო.

აუმ ნელ-ნელა დაიწყო ორმოში ჩასვლა. თან ფიქრობდა რა ექნა, როგორ გადაერჩინა მელიები. იქ ჩასულმა მელიას უჩურჩულა: – ბადეს, რომელშიც ჩაგსვამ, ჩუმად გავჭრი. როგორც კი მეტყევე აგიყვანს, მოახერხე და გაიქეცი, ლეკვებს მე მივხედავო.

მელიას ლამაზი თვალები სიხარულით აუციმციმდა.

ის იყო, ორმოდან ამოყვანილი მელიის ტომარაში ჩაგდებას აპირებდა მეტყევე, რომ მელია ბადიდან გამოძვრა, ხელიდან დაუსხლტა. ჯერ მეტყევის ირგვლივ დაიწყო სირბილი. მერე, ხან თავქვე დაეშვებოდა, ხან ისევ აირბენდა ორმომდე, ისევ გაიქცეოდა...

მეტყევი დაიბნა. ფიქრობდა მელიას დადევნებოდა, მაგრამ ლეკვების დატოვება რა უნდოდა.

ამ დროს აუს ხმაც გაისმა: – დაედევნეთ მელიას, თორემ გაგექცევათ. ლეკვებს ტომარაში ჩავსვამ და ჩამოგიყვანთ, მითხარით სად იქნებით.

კაცმა გამომცდელად შეხედა, მაგრამ ფიქრის დრო აღარ იყო. მელია თავქვე დაეშვა და თან უკან-უკან იხედებოდა. ელოდებოდა მეტყევე დადევნებოდა, რომ შორს გაეტყუებია. როცა მეტყევე თავქუდმოგლეჯილი, ყვირილით გაიქცა, აუმ სამი ულამაზესი ლეკვი თავის ქურთუკში შეახვია, ზურგზე ქურთუკის მკლავებით დაიმაგრა, წვალებით ამობობღდა ორმოდან და თოვლიან ბილიკს გაუყვა. დიდხანს ფიქრობდა, სად დაემალა მელიები ისე, რომ არავის მიეგნო. ბოლოს გაახსენდა, ტყის ბოლოს ერთი კუზიანი მთა იყო, ეშმაკის მთას უწოდებდნენ და ვერავინ ბედავდა მასზე ასვლას. და სწორედ იქ, კლდის სიღრმეში გადამალა მელიები.

იმ დღიდან მოყოლებული, მთელი კვირა ადამიანები მწევრებთან ერთად ტყეში ყიჟინით, სტვენით, თოფებით, ცულებით დაძრწოდნენ, ეძებდნენ მწვანე მელიას და ლეკვებს. გადაბუგეს, გადათხარეს სოროები, ბუნაგები. ერთ-ორჯერ ეშმაკის მთასაც მიადგნენ, მაგრამ მიუახლოვდებოდნენ თუ, არა ძაღლები წკავწკავით მირბოდნენ უკან. ბოლოს, ტყის მცველს დაცინვა დაუწყეს და დაიშალნენ.

მეტყევემ ზუსტად იცოდა, ბიჭმა სადღაც გადამალა მელიის ლეკვები და გადაწყვიტა მწარედ ეზღვევინებინა მისთვის.

აუ უვლიდა პატარა მელიებს, მაგრამ იცოდა, თუ რაიმეს არ მოიფიქრებდა შიმშილით დაიხოცებოდნენ. გაახსენდა ტყის შუაგულში მგდარი თეთრი, ქათქათა, დიდებული ხე, რომელსაც ტყის დედა-დედოფალი შეარქვა. მას მილის მსგავსი, წვეროდან ფესვებისკენ დახრილი ხშირი და წვრილი ტოტები ჰქონდა, საიდანაც რძე წვეთავდა და ირგვლივ საოცარი სურნელი იდგა, ჩვილი ბავშვის სურნელი. ბევრჯერ წამოწოლილა მის ჩეროში, ბევრჯერ დაუგემოვნებია ჯადოსნური თეთრი სითხე. იქ ყოფნისას, ისეთი შეგრძნება ქონდა, თითქოს თავი დედის კალთაში ედო და მისი თბილი ხელი თმას ფრთხილად უვარცხნიდა.

გახარებულმა ქილები აიღო, ფრთხილად, ისე, რომ ვინმეს არ შეემჩნია, ღამით დაადგა გზას. უკუნი სიბნელე იდგა. კლდიდან წვალებით ჩამოცოცდა. მისი ფიქრით ფეხი უნდა დაედგა მიწაზე, რომ სიბნელეში ვერ შეამჩნია და ღრმა ხევში გადაეშვა. მძიმედ დაეცა. დაშავდა. ცოტა სული მოითქვა და ნელ-ნელა დაიწყო ხევიდან ამოსვლა. გათენებამდე უნდა მოესწრო, თორემ შეიძლება სადმე მეტყევე ან მონადირეები ყოფილიყვნენ ჩასაფრებული. დიდი წვალების შემდეგ ამობობღდა ხევიდან და ელდა ეცა, ქილები დამსხვრეულიყო, ხელებიდან სისხლი სდიოდა. მაინც არ შეჩერდა. სირბილით დაეშვა ტყისკენ, რამეს მოვიფიქრებ და რძეს მაინც წამოვიღებო – გაიფიქრა. ცოტა ხანში მიაღწია შუაგულ ტყემდე. დედა-დედოფლის ირგვლივ ისეთი ნათელი იდგა, თითქოს ღამე და უკუნი სიბნელე არ ყოფილიყო. ხის ძირში კი რძით სავსე ბიდონები ელაგა. გახარებულმა აუმ ხელები მოხვია დედა-დედოფალს, მადლობა გადაუხადა და კლდისკენ გასწია.

ერთ დღეს დასუსტებული, დაღლილი მიაგდა ეშმაკის მთას დაჭრილი დედა მელია. აუმ ჭრილობა დაუმუშავა, დაკრიფა სამკურნალო ბალახები, დაამზადა მალამო. ყოველ დღე ახალ-ახალ კერძებს უმზადებდა და სულ ცოტა ხანში გამოაჯანმრთელა. როცა ლეკვები წამოიზარდნენ, მელიამ მათი წაყვანა და წასვლა გადაწყვიტა.

– დიდი მადლობა, ჩემო მეგობარო, სიკვდილისგან გვიხსენი. ამ სიკეთეს არასდროს დაგივიწყებ,. – უთხრა დედა მელიამ, – ძალიან მომწონს შენთან ერთად ცხოვრება, მაგრამ შვილებს ნადირობა, საკვების მოპოვება და თავის დაცვა თუ არ ვასწავლე, დაიღუპებიან. გარდა ამისა, ჩვენი აქ ყოფნის დრო იწურება. მწვანე მელიების სამფლობელოში უნდა დავბრუნდეთ.

– მწვანე მელიების სამფლობელოში? – აღტაცებით წამოიძახა აუმ, – რა საინტერესოა. მომიყევი რა?!

– ბევრს ვერაფერს გეტყვი. არ შეიძლება. ჩვენი სამფლობელო უცხოებისთვის მიუწვდომელია. საიდუმლო სიტყვით იხსნება დიდი, გამჭვირვალე, კონუსის ფორმის კლდის კარები. საიდუმლო სიტყვას ყველა საათში ცვლის ჩვენი სამფლობელოს ქურუმი, მზეთუნახავი საია, იმ შემთხვევისთვის თუ რომელიმე გასცემს, ან წამოცდება. თუმცა დღემდე ეს არ მომხდარა.

უცებ, მელიის ქარვისფერი და მწვანე თვალები შუბლისკენ დაიძრა. შუბლი უზარმაზარ ეკრანივით გაიწელა. ჯერ ორი ულამაზესი ფერი შეერწყა ერთმანეთს, შემდეგ გაიწმინდა და ეკრანზე, სადღაც, ჰაერში გამოკიდებული კონუსის ფორმის კლდე და უზარმაზარი კარები გამოჩნდა. კარები უხილავმა ხელმა გააღო. აუს თვალები გაუფართოვდა, გული აუფანცქალდა. მიხვდა იმ საოცარ სამყაროს ხედავდა, რაზედაც მელია უყვებოდა. ამ სამყაროს ცენტრში მოქმედი, ცეცხლოვანი ვულკანივით აღმართული ულამაზესი ქურუმი ქალი – საია იდგა. ფეხებთან მწვანე ლოტოსის ყვავილების ხალიჩა ეფინა. დიდი, ბრდღვიალა თვალებიდან სითბო და სიყვარული იფრქვეოდა. გრძელი, ხვეული დალალები გულმკერდზე, მხრებზე და ზურგზე ეფინა. თმების ბოლოებიდან მწვანე და ქარვისფერი, სურნელოვანი ნელსაცხებელი წვეთავდა, რომელიც პატარა გუბურებში გროვდებოდა. გუბურებიდან, ქარვის ღარებით ტბაში ჩადი-

ოდა. ტბიდან, უამრავი მწვანე მელია, პატარა, ხის კოვზებით ჯადოსნურ საღებავს ქილებში ასხამდა და კლდეში გამოქანდაკებულ კარადაში აწყობდა. ირგვლივ საოცარი სურნელი და სიმშვიდე იდგა. აუს მოეჩვენა თითქოს ქურუმმა საიამ გაუღიმა.

უცებ, ეკრანზე ისევ აირია მწვანე და ქარვისფერი ფერები და გაითიშა. მელიის თვალები თავის ადგილს დაუბრუნდა.

– ასეთი რამ არასოდეს მომხდარა, – უთხრა მალიამ გაოგნებულ აუს, – ეტყობა საია გაკვირდებოდა ამ ხნის მანძილზე, მოეწონე და მისი ნდობა დაიმსახურე. ახლა უნდა წავიდეთ. ვფიქრობ, მალე შევხვდეთ ერთმანეთს.

აუს გული დაწყდა, მაგრამ თბილად დაემშვიდობა მელიებს და სახლისკენ გაუყვა გზას. მეტყევემ დაინახა სახლში დაბრუნებული, – ახლა გიჩვენებ სეირსო, – ჩაილაპარაკა და იმ საღამოს ქურდობისთვის დააჭერინა. აუს სასთუმალთან თოფი, ხერხი და ცული დამალა და ხმამაღლა გაიძახოდა: – ქურდია, მომპარა, დაიჭირეთ. აუმ იუარა: – მე არ მომიპარავს, არ ვიცი აქ საიდან გაჩნდაო. – მაგრამ არავინ მოუსმინა და ციხეში, ბნელ და უჰაერო სარდაფში ჩააგდეს. დღის განმავლობაში ერთ ნაჭერ დაობებულ პურს შეუგდებდნენ, ერთ ჭიქა წყალს დაუდებდნენ და ჩარაზავდნენ რკინის კარებს. უჭირდა აუს, უჭმელობა არა, უჰაერობა, უმზეობა უჭირდა ძალიან...

გავიდა დრო. ერთ საღამოს მელია საოცარმა სითბომ და სურნელმა გამოაღვიძა. მიმოიხედა და სიბნელეში მწვანე ღრუბელი დაინახა, რომელშიც ქარვისფერი წერტილები ციცინათელებივით ინთებოდა და ქრებოდა. ღრუბელი სოროს გასასვლელისკენ დაიძრა, ფეხდაფეხ გაყოლილი მელია ციხის საკნამდე მიიყვანა და გაუჩინარდა. მელიამ ჩარაზული კარის ჭუჭრუტანაში შეიხედა და ძლივს გაარჩია ნესტიან მიწაზე დაგდებული აუ. მიხვდა, რომ აქედან ვერ გამოიხსნიდა, თუ რაიმეს არ მოიფიქრებდა. დაბრუნდა სოროში და მეორე დღიდან, შვილებთან ერთად დაიწყო მიწის თხრა, რათა გვირაბის საშუალებით შეეღწიათ ციხის საკანში. მუშაობდნენ მელიები დღე და ღამე, შეუსვენებლივ. არც ჭამა ახსოვდათ და არც სმა. ბოლოს მიაღწიეს ციხემდე. გამოთხარეს საკნის ძირი და დაუძლურებული, გონებადაკარგული აუ დედა მელიამ ზურგზე შეისვა. დიდი წვალებით გამოიყვანა გარეთ და ტყეში, თეთრი ხის ჩეროში დააწვინა.

აუ აღარ სუნთქავდა.

ელდანაცემ მელიებს ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსცვივდათ. ცრემლები დედა-დედოფლის ფესვებში ჩაიწრიტა და უცებ ძირს დახრილი ტოტები ცისკენ აიჭრა, დაუქროლა ქარმა. ტოტები იგრიხებოდა, იკლაკნებოდა, როკავდა, გმინავდა. ქარი გაძლიერდა, ცად აწვდილმა ტოტებმა ტკაცანით დაიწყეს სკდომა და დახეთქილი ტოტებიდან ულამაზესმა თეთრმა პეპლებმა დაიწყეს გამოსვლა. ჯერ ცაში აფრინდნენ მაღლა, უჩვეულოდ მაღლა, შემდეგ ერთდროულად დაეშვნენ დედა-დედოფლის ფესვებთან და ფარფატა ფრთებით ნაზად აიტაცეს აუ. ღრუბლებს მიაღწიეს თუ არა, საიდანღაც მწვანე ქარვისფერწერტილებ ჩაბნეული ღრუბელი გამოჩნდა და აუს ხელი გაუწოდა. აუმ თვალები გაახილა, გაიღიმა და გამოწვდილ ხელს ხელი ჩაჰკიდა. ისევ იგრძნო საოცრად ახლობელი სითბო და სურნელი და ჰოი, საოცრებავ, ღრუბელი ფუნჯად გადაიქცა, მწვანე, ქარვისფერტარიან ჯადოსნურ ფუნჯად...

ცის კიდურში ულამაზესი, ღიმილიანი საიას სახე გამოჩნდა...

პეპლები განაგრძობდნენ ფარფატს, ნაზად, სინქრონში. შემდეგ ყველა ერთდროულად დაიძრა ერთმანეთისკენ, შეერთდნენ და ულამაზეს ფერიად გადაიქცნენ.

აუმ და ფერიამ ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეს და ცაში აიჭრნენ.

დღესაც დაფრინავენ ციდან ცაზე, ზღვიდან ზღვაზე, ერთი ქვეყნიდან მეორეში და ჯადოსნური ფუნჯით აცოცხლებენ ბუნებას.

როცა საღებავი გამოელევათ, ჩაფრინდებიან მწვანე მელიების სამფლობელოში, სადაც ყველაფერი მომაჯადოებრივად მწვანეა, გაერთობიან მეგობრებთან და ჯადოსნური საღებავებით დატვირთული ბრუნდებიან დედამიწაზე.



ვახტანგ გოგრაჭაძე

უცნაური

ასე უცნაური რად აღმოჩნდი,
ზღაპრულ სამოსელში გახვეული,
გზა შენს სასახლემდე მოსასვლელი,
ძალზედ შორია და ჩახვეული.

დრო კი ლიანდაგებს დაედევნა,
წამი ციფერბლატზე არ ჩერდება,
ჩემი ვაგონები ჩამოივლის
და შენს ფანჯარასთან გაჩერდება.

მე კვლავ ბოტიჩელის ყალმით გხატავ,
გრძნობამორეული გიჩურჩულებ...
ვცდილობ, მხოლოდ შენთვის ვიპოეტო,
მიყვარხარო – როდის მიჩურჩულებ?

მთელი ცხოვრება ჩემს სულში ზიხარ,
გულის საწყაული მეტს ვერ იტევს,
ჰეი, ცხოვრებავ, შენ საოცარო,
რამდენს უძლებ და რამდენს იტევ.

სადღაც მესახები უჩვეულოდ,
თუმცა არასოდეს არ მყოლიხარ,
შენ ხომ ჩემთვის არ ხარ გაჩენილი,
მაგრამ იმ თავიდან დამყოლიხარ.

ჩუმად გიმღერი და ჩუმად გიწერ,
ალბათ, პოეტების რითმებივით,
მოდი, მომეყრდენი, მოგეფერო,
სანამ ბელზებელი ჩამოივლის!

მამაჩემს

არ ვიცი, როგორ ლაპარაკობდა,
როგორ აწყობდა სიტყვას სიტყვაზე.
ან რა იცოდა და არ იცოდა,
ან რა ეწერა გულის ფიცარზე.
როგორი ჰქონდა სიმძიმე სულის?
როგორი იყო ფიქრები მისი?
ის ჰგავდა თურმე სიმძიმეს მთისას,
და სუფთა იყო, როგორაც ნისლი.
კაცი სიცოცხლის მიმავალ გზაზე,
მუდამ ელოდა სიკვდილის ზეცას,
ის რწყავდა მიწყივ ჯილაგის ფესვებს,
და რგავდა თურმე ცხოვრების ხესაც.
ქართული იყო მოლხენა მისი,
და ჰგავდა თურმე ლომთა აღლუმებს,
მისი ცხოვრება ნამყო როდია,
მას დრო ვერასდროს ვერ გაახუნებს.
როგორ დადუმდა ასე უეცრად,
ახალგაზრდობა მონაქროლები,
მე ბალღი ვიყავ, მამა რომ მოკვდა,
მეგონა იყო მონაჭორები.
დრო გადის, მაგრამ დრო მოდის ისევ,
ცოცხლობენ მამის მონაგროვები,
მისი სიკეთე მესალბუნება,
ზენა ქარივით მონაქროლები.

* * *

დრო ისე მიქრის, –
თვალს ვერ ვაყოლებ,
წარსულში ჩანდა შორი და ნელი...
დღეს მომეახლა სიბრძნის ასაკი –
შუბლდაღარული ორმოცი წელი.

მაგრამ კვლავ დამრჩა გზა გასავლელი,
არც გავურბივარ, არ მაკრთობს იგი!..
მხრებზე ლოდივით მაწევს წარსული,
თმადათოვლილთა დამდგარა რიგი.

სოფელო ჩემო...

მე არსად წავსულვარ,
შენთან ვარ მარადის,
შენ უნდა დამხურო
სიკვდილის ნაბადი.
მე შენი სხეულის
მცირედი წილი ვარ!
როცა რამე გტკივა,
შორიდან ვტირივარ.
ზექეთის ყელიდან
ნაფრენო ოცნებავ,
ფრთაშლილმა სამყაროს
დაუღლელად უფრინე.
და ბოლოს... და ბოლოს...
და ბოლოს... ჩემამდე
ბებერი შხუილით,
კვლავ შემომიფრინე.
ყანებს და ბერტულებს,
ვენახის ძირულებს,
ნურასდროს დატოვებ
გლეხკაცო დასახნავს,
ნაჭიუხ-ნაბოგირ
გულდიდო სოფელო,
ნურასდროს, ნურასდროს
დაირქვამ ნასახლარს!

შორენა
მახაჭაძე

აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემა ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ ტექსტებში

„ალაჰისაა აღმოსავლეთიც და დასავლეთიც“
(ყურანი, „ძროხა“, აია 115)

ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტული ტექსტების გამჭოლი თემა, უმთავრესი პრობლემა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის ჩვენებაა. მხატვრულ ლიტერატურაში აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა მკვეთრი განსხვავებისა და მათი შეუთავსებლობის იდეის პირველი გამომხატველი იყო რადიარდ კიპლინგი (1865-1936). მისი აზრით, აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი – დასავლეთი და ისინი ვერასოდეს გაუგებენ ერთმანეთს.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ მრავალი ათწლეული გავიდა, პოსტინდუსტრიულმა, ინფორმაციულმა ეპოქამ ეს მკვეთრი განსხვავებანი თითქოს წაშალა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, მაგრამ პოსტმოდერნისტი მწერლები, მათ შორის, ორჰან ფამუქიც, კიპლინგის ციტირებას ახდენს: ჯერ კიდევ „აღმოსავლეთი – აღმოსავლეთია, დასავლეთი – დასავლეთი“, თუმცა თან დასძენს: „ერთიც ალაჰისაა და – მეორეც“.

აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ქართული პოსტმოდერნიზმის შესანიშნავი წარმომადგენელი აკა მორჩილაძე, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ყოვლისმომცველი ირონიითა და თვითირონიითაც საუბრობს „საზღვრებმოშლილ ევროპასა... თუ საზღვრებსგარეთა ევროპაზე... მგონი მთლად ევროპაც რომ არ უნდა იყოს“, ან მისივე ტრილოგია „მადათოვი“, რომელშიც საინტერესოდაა დასმული აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურათა, მენტალობის შედარება-დაპირისპირების საკითხი; ამ მიმართებით ქართულ და თურქულ საზოგადოებასა და ხელოვნებასაც ბევრი აქვთ საერთო: ორი კულტურის გადამკვეთ სასაზღვრო ზოლში ყოფნა (და არა ერთი და ორი საუკუნე), მუდმივი მერყეობა და არჩევანის წინაშე დგომა, აქედან გამომდინარე, გაორებისა და დაბნეულობის, ზოგჯერ დაკარგულობის განცდაც და ა. შ. სწორედ ამიტომაც საინტერესო და ახლობელია ქართველი მკითხველისთვის ორჰან ფამუქის „ორიენტალისტიკური“ პროზა, რომელიც, რა თქმა უნდა, პოსტმოდერნისტული მწერლობისთვის დამახასიათებელი ირონიულ-პაროდიული რაკურსით სვამს, აანალიზებს და წყვეტს ამ საკითხებს.

ალბათ, ზოგად შტრიხებში მაინც უნდა გავიხსენოთ აღმოსავლეთ-დასავლეთის კულტურათა შორის განსხვავებანი, რათა დავრწმუნდეთ, რომ ეს არც ქართველი და არც თურქი მწერლების მოგონილი „მოდური“ პრობლემა არაა.

მაშ ასე: თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია ბევრწილად მემკვიდრეა ანტიკური ბერძნულ-რომაული კულტურისა, რომელიც იმთავითვე უპირისპირდებოდა აღმოსავლურ კულტურას, ე. ი. ყველაფერ იმას, რაც მის აღმოსავლეთ საზღვრებს მიღმა იქმნებოდა. მას შემდეგ წარმოდგენა „აღმოსავლეთზე“, როგორც დასავლეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ, უცხო სამყაროზე დღემდე ბატონობს.

რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ქვეყნები, მართლაც, განსხვავდება დასავლეთ ევროპისა თუ ამერიკის ქვეყნებისგან, მაგრამ, საქმე ისაა, რომ თავად აღმოსავლეთის ქვეყნებს შორისაც დიდი განსხვავებაა, არადა, ევროპელის თვალი მათ აღიქვამს ერთიანად, როგორც „აღმოსავლეთს“, რაც, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელთა აღფრთოვანებას ნამდვილად არ იწვევს (ზუსტად ისე, როგორც საბჭოთა იმპერიის პერიოდში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ლიტველი თუ ნებისმიერი, სსრკ-ში მცხოვრები სხვა ერის წარმომადგენელი დასავლეთში აღიქმებოდა, როგორც საბჭოთა რუსი მოქალაქე).

ა. ფ. ლოსევის მიხედვით, „კულტურის ტიპი ესაა მოცემულ დრო-სივრცეში არსებული ისტორიული პროცესების ყველა ფენის ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემა. ეს სისტემა ქმნის განუყოფელ მთლიანობას განსაზღვრული სტრუქტურისას, რომელიც თვალსაჩინოდ და გრძნობად-კონკრეტულად გამოხატავს მის მატერიალურ და სულიერ თავისებურებებს“.

ასე რომ, აღმოსავლურ და დასავლურ კულტურათა შორის განსხვავების მიზეზები მხოლოდ გეოგრაფიული არაა, ის მდგომარეობს სამყაროს შეცნობის სპეციფიკურ მეთოდებსა და ხერხებში, მსოფლმხედველობრივ, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში, ასე რომ, „სხვანაირად ხატვა სხვანაირად ხედვაა“.

აღმოსავლური კულტურისთვის დამახასიათებელია ინტრავერტულობა, გარესამყაროს ჰარმონიულობისა და სრულყოფილების რწმენა, შესაბამისად, ორიენტირება არა მის გარდაქმნაზე, არამედ შეგუება გარკვეულ „კოსმიურ რიტმთან“. ის უფრო პასიურია, გაწონასწორებული და ნაკლებადაა დამოკიდებული გარესამყაროზე. ის გამოირჩევა თვითიზოლაციითა და სულიერ ცხოვრებაში ჩაღრმავებით. დასავლური, პირიქით, ადამიანს უბიძგებს გარესამყაროს შეცნობისა და მასზე აქტიური ზემოქმედებისკენ.

აღმოსავლური კულტურა უფრო ამაღლებული და დახვეწილია, ნაკლებად რეალისტურია, მასში მეტია იდუმალი, ქვეტექსტში დაფარული, სიმბოლური.

აღმოსავლეთში, განსხვავებით დასავლური ინდივიდუალიზმისგან, შენარჩუნებულია კოლექტივთან ერთიანობის იდეა: „გიაურები ისე დაჰკანკალებენ თავიანთ ერთადერთობასა და შეუდარებლობას, ისე ძალიან უნდათ, მხოლოდ თავის თავს რომ ჰგავდნენ“.

აღმოსავლეთის ეთიკურ სისტემაში შენარჩუნებულია ერთგულება კონსერვატიზმის, ასკეტიზმისადმი, მაშინ, როცა დასავლური ეთიკა მიმართულია აქტიურობაზე, ლიბერალიზმზე, უტილიტარიზმსა და ევდემონიზმზე.

აღმოსავლური კულტურის საფუძველი – ტრადიციაა. პატივს სცემენ ქცევის მკაცრ რეგულატორებს, ცერემონიულობას. დასავლური კულტურისთვის დამახასიათებელია ყველანაირი რიტუალურობის გადალახვა ცხოვრების ტემპის დაჩქარებასთან დაკავშირებით. დასავლური ცხოვრების დინამიკა ხომ მკვეთრად განსხვავდება აღმოსავლური საზოგადოების ინერციულობისგან.

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, შეხედულება, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთთანამშრომლობა შეუძლებელია, დღეს აშკარად მოძველებულია. უფრო მეტი, ეს ურთიერთობა არათუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელი და სასარგებლოცაა კაცობრიობის კულტურული პროგრესისთვის, ის გაამდიდრებს მას, თუმცა ეს ურთიერთზემოქმედება არ გამორიცხავს ამ კულტურათა პრინციპულ განსხვავებებს. სწორედ ამ განსხვავებების ანალიზი და თანამემამულეების თვითიდენტიფიცირების პრობლემა გასდევს ლაიტმოტივად ფამუქის შემოქმედებას. საქმე ისაა, რომ თურქებისთვის ერთნაირად უცხოა როგორც დასავლური ზეინდუსტრიული კულტურა, რომლის საფუძველი ქრისტიანობაშია, ასევე – მუსულმანური, რომელსაც, პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, შიგადაშიგ უტევენ ხოლმე. ამასთან, ავტორი სულაც არ აიდეალებს ძველ ოსმალურ ცივილიზაციას, რომელიც წარმოადგენდა ბიზანტიური, ქრისტიანული, მომთაბარე თურქმენებისა და მიწათმოქმედი მუსულმანების კულტურათა სიმბიოზს. თუმცა ფამუქი ხშირად აღნიშნავს, რომ შთაგონებას სწორედ ამ კულტურული და სულიერი მემკვიდრეობიდან იღებს.

განსახილველ პრობლემაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქულ ლიტერატურულ პოსტმოდერნიზმს ნიადაგი მოუმზადა სწორედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა სიტუაციამ, ე. წ. „ვესტერნიზაციამ“, საზოგადოების ევროპეიზაციამ.

სხვათა შორის, თურქი მკვლევარები თურქულ პოსტმოდერნიზმს დასავლურის მიბაძვად თვლიან; ამ დროს დასავლელი კრიტიკოსები, პირიქით, აღიარებენ თურქული პოსტმოდერნიზმის თავისთავადობას, ამის მაჩვენებელია, თუნდაც, 2006 წელს ორჰან ფამუქისთვის ნობელის პრემიის მინიჭება.

თურქული პოსტმოდერნიზმი აღმოცენდა არა მარტო როგორც მიბაძვა, არამედ იმის გამოც, რომ თურქეთის საზოგადოების მოწინავე ნაწილმა გაიაზრა, რომ ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესი მიმდინარეობს დასავლეთის შესახებ იმ წარმოდგენების მიხედვით, რასაც საერთო არაფერი აქვთ დასავლეთთან. შედეგად ჩნდება არარსებული, ილუზორული ორიგინალის ასლი. შესაბამისად, ფამუქის პოსტმოდერნისტული პროზა არის რეაქცია ვესტერნიზაციის ტოტალიტარულ და სიმულაციურ პოლიტიკაზე.

ისევე, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, ფორმალურად პოსტმოდერნიზმი იყო დაპირისპირება სოციალისტური რეალიზმის მწერლობასთან, თურქული პოსტმოდერნიზმიც იქცა ე.წ. „ანატოლიური რომანის“ („სოფლის პროზის“ ანალოგი) და ე.წ. „პოლიტიკური“ ლიტერატურის ანტითეზად.

მართალია, თურქულ ლიტერატურაში (მისი გაჩენის დროიდან ანუ მე-19 საუკუნიდან) პრობლემა დასავლეთისთვის ბრმა მიმბაძველობისა, რომელსაც ერი ნაციონალური თვითმყოფადობის დაკარგვისკენ მიჰყავდა, არაერთხელ გამხდარა ანალიზის საგანი, მაგრამ ფამუქის შემოქმედებაში ეს პრობლემა ახლებური რაკურსით გაშუქდა და განსხვავებული მხატვრული საშუალებებით იქნა ხორცშესხმული. მწერალმა გააღრმავა ეროვნული ხასიათისა და ისტორიის გაგება. მისი აზრით, თურქების ნაციონალური ხასიათი ჩამოყალიბდა და მათი ისტორია იწყება არა მხოლოდ თურქთა მომთაბარე ცხოვრების პერიოდიდან, არამედ ის არის კულტურული სინთეზი ოსმალური ეპოქისა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს რთულ სიმბიოზს ბიზანტიური, ქრისტიანული, არაბულ-სპარსული მუსულმანური ცივილიზაციისა.

ფამუქი თვლის, რომ იმ მთავარი გამაერთიანებელი კომპონენტის დაკარგვა, რაც მოხდა ქემალიზმის იდეოლოგიის თავსმოხვევით (თუმცა, სპეციალისტთა აზრით, ქემალიზმმა მხოლოდ დააჩქარა იმპერიის დასასრული), ნიშნავდა ახალი, ცრუდასავლური ცხოვრების წესის დამკვიდრებას,

რამაც თურქული საზოგადოება თვითიდენტიფიცირების ფენომენის დაკარგვამდე მიიყვანა. საზოგადოება ორად გაიყო: ერთნი – ზედმეტად გაევროპელებულები, მეორენი – ზედმეტად – კონსერვატორულები (იგულისხმება ოსმალური კულტურისათვის უცხო პოლიტიკური ისლამის რადიკალურ ვარიანტთან შერწყმა), მაგრამ როგორც ერთნი, ისე მეორენი, კარგავდნენ რა ინდივიდუალობას, იმალებოდნენ სხვებისგან ნასესხები ნიღბების ქვეშ.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, თემატურად, ორჰან ფამუქის ყველა რომანში, დაწყებული „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილებიდან“ (1982) დამთავრებული „უმანკოების მუზეუმით“ (2008) ისმის ფარული თუ აშკარა კრიტიკა ქემალიზმისა, რომელიც მოუწოდებდა თურქებს, მიებაძათ სხვა „ცივილიზებული ერებისთვის“. ამიტომ რომანისტის დამოკიდებულება იმ თანამემამულეებისადმი, რომლებიც სხვების მიბაძვით ცხოვრობდნენ და სხვათა შეხედულებებზე იყვნენ დამოკიდებულნი, იყო ირონიული: ოსტატმა ენიშთემ („მე წითელი მქვია“), ზეითინის სიტყვით, ოსტატი ოსმანი აიძულა, „მაიმუნივით მიებაძა ევროპელ სებასტიანისთვის“.

პირველი რომანი ორჰან ფამუქისა „ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები“ (1982) დაწერილია როგორც ტრადიციული საოჯახო ქრონიკა. მწერალმა სცადა ქვეყნის ისტორიის მოყოლა ერთი ოჯახის სამი თაობის ცხოვრების ჩვენებით. მასში ფამუქი უკვე ეძებს საკუთარ ხელწერას. პოსტმოდერნისტული არსენალიდან ამ რომანში შეიძლება გამოიკვეთოს მხოლოდ პრობლემატიკა: მწერალმა შენიშნა, რომ ჯევდეთ ბეის სურვილმა, დაეწყო თურქ-ოსმალებისთვის უჩვეულო საქმიანობა, კომერცია, მთელი კლანის კრახი გამოიწვია. ეს იყო ფამუქის მიერ ქემალიზმის იდეოლოგიის სიმულაციური ხასიათის პირველი ფრთხილი, თუმცა მაინც კრიტიკა.

საინტერესოა, რომ პირველი რომანიდან მოყოლებული ფამუქი თავის პერსონაჟებს უხვად აჯილდოებს ავტობიოგრაფიული შტრიხებით, ესეც იქცა, ასევე, მისი ნაწარმოებების გამჭოლ მოტივად. თუმცა, ამავე დროს, პერსონაჟები არ არიან მოკლებულნი ინდივიდუალობას, მათ გააჩნიათ საკუთარი ცხოვრებისეული პოზიცია. პერსონაჟთა წყვილები: ჯევდეთი და მისი ძმა ნუსრეთი, ოსმანი და რეფიკი, შემდეგ ნაწარმოებებში იქცევიან მწერლის საყვარელი მოტივის – სარკისებური გაორების – აღმნიშვნელებად. მხატვრული სახე „სხვისა“ უაღრესად პროდუქტიულია ფამუქის შემოქმედებაში.

პირველივე რომანში ფამუქი გვიჩვენებს, როგორ შეიცვალა სახლისა და ოჯახის ფენომენი – ორი კულტურული სიმბოლო. მწერალი ახდენს მათ დეკონსტრუქციას, რითაც გვიჩვენებს, თუ რა ღრმად შეეხო ვესტერნიზაცია თურქულ საზოგადოებას: წაართვა მას საკუთარი ტრადიციები, მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერი ღირებული ვერ მისცა. მწერლისთვის კი სამყაროს დანგრევა, პოსტმოდერნისტული ქაოსი იწყება სახლიდან გაქცევით, ოჯახის ნგრევით, სიყვარულის გამარჯვების შეუძლებლობით. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ პერსონაჟთა შორის დაუსრულებელი სიყვარულის ხაზები სხვა არაფერია, თუ არა პოსტმოდერნისტული პაროდია სიყვარულსა და ოჯახზე.

ფამუქის პერსონაჟები ინდივიდუალურები არიან, მაგრამ, იმავდროულად ჰგვანან კიდეც ერთმანეთს. მათ აერთიანებთ ის, რომ ისინი უბედურები და მარტოსულები არიან. მათი ინდივიდუალობა კი მჟღავნდება მათ ფობიებში, სულიერ თუ ფიზიკურ ნაკლში. ყველაფერი ეს განპირობებულია იმით, რომ ისინი ვერ პოულობენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, საკუთარ თავს გარესამყაროში. მაგალითად, რომანის „მე წითელი მქვია“ (2000) პერსონაჟი, ოსმანი, ძალად იბრმავებს თვალებს. ესაა პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ფადიშაჰის ახირების გამო უნდა გაქრეს აღმოსავლური მინიატურა. ეს უკანასკნელი კი არის მოხუცი ოსტატის ცხოვრების აზრი.

„თეთრი ციხესიმაგრე“ (1985) ფამუქის პირველი პოსტმოდერნისტული რომანია. ის არის პაროდია იმ ევროპული ნაწარმოებებისა, რომლებსაც ორიენტალისტური მიმართულება გააჩნიათ. მწერ-

ლის აზრით, ირონიულ კრიტიკას იმსახურებს ორიენტალისტიკა, რომელიც აღმოსავლეთს თავს ახვევს მასზე საკუთარ წარმოდგენებს, რაც პრინციპში სიმულაკრაა და სხვა არაფერი. კომიკურია ორეულების – ხოჯისა და ვენეციელის – პატრონისა და მონის სახეები. რომანში ისინი ორ კულტურას განასახიერებენ: ერთმანეთს თითქოს სარკეში უყურებენ, ხედავენ, თუმცა ერთმანეთისთვის მიუწვდომელნი არიან. ტექსტში გვაქვს სიუჟეტის კარნავალიზაციაცა და პერფორმანსიც. ფინალი ღიაა, განუსაზღვრელი, დაუსრულებელი. გარდა ამისა, გაურკვეველია, ვინ არის ავტორი ხელნაწერისა, რომელშიც ხოჯისა და ვენეციელის ისტორიაა გადმოცემული. სიუჟეტის განვითარებასთან ერთად მრავლდება ხელნაწერის ავტორების რიცხვი (რიზომის მსგავსად). ეს გამოცანა საშუალებას აძლევს ორჰან ფამუქს შემოიტანოს ტექსტში „ავტორის ნიღაბი“.

„შავ წიგნში“ (1990) ისევ პირველ პლანზე გამოდის მთავარი თემა ფამუქის შემოქმედებისა: თურქების ეთნოკულტურული თვითიდენტიფიკაციის საკითხი, უფრო ზუსტად, პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: თურქები ვერც თანამედროვე დასავლურ, ვერც ტრადიციულ თურქულ-ისლამურ კულტურას ვერ აკუთვნებენ თავს. რომანისტის აზრით, თურქები „გაიჭედნენ სამყაროთა შორის“. ამაში ფამუქი ადანაშაულებს ქემალისტური რესპუბლიკის პოლიტიკას, რომელიც ენთუზიაზმით ქმნიდა ისეთი სამყაროს ასლს, რომლის შესახებ მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდათ. ორჰან ფამუქი თვლის, რომ ვიღაცის ასლად ყოფნა – ჩიხში შესვლაა, აქედან მომდინარეობს ფამუქის ნაწარმოებების გმირების უბედურების, მარტოობისა და შინაგანი წინააღმდეგობების, გაორების მდგომარეობა.

რომანში „მე წითელი მქვია“ მოქმედება მიმდინარეობს 1591 წელს. მას ქაოსური სტრუქტურა აქვს: თავები, რომლებიც ქმნიან დეტექტიური სიუჟეტის ძირითად ღერძს, გადაიკვეთებიან ჩართული ქვეთავი-ისტორიებით. ამრიგად, რომანის სტრუქტურა წარმოადგენს ე.წ. „მოთხრობა მოთხრობაში“ პაროდირებას.

ამ რომანში ფამუქი მსჯელობს კლასიკური მინიატურის მაღალ ხელოვნებაზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ესთეტიკური პრინციპების განსხვავებაზე. აქედან გამომდინარე, არსებობს რომანის წაკითხვის შესაძლო ისტორიული და კულტუროლოგიური დონეები. რაც შეეხება, ტექსტის კითხვის ისტორიულ დონეს, ფამუქმა აქ გამოავლინა ისტორიის ღრმა ცოდნა, ენციკლოპედიური განათლება და უნარი, ზუსტად აღადგინოს ეპოქის ყოფითი ფონი.

კულტუროლოგიური დონე საშუალებას აძლევს ფამუქს დაუბრუნდეს თავის საყვარელ თემას: თურქების მიერ თავიანთი ეთნიკური და კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვას.

რომანისტი მსჯელობს იმის შესახებ, თუ რეალურად როდის დაიწყო ეს პროცესი და რომელი კულტურის, რომელი ტრადიციების დაკარგვა გამოიწვია მან. საინტერესოა, რომ დამნაშავედ ფამუქი თვლის არა მარტო ვესტერნიზაციის მომხრეებს, არამედ რადიკალური ისლამის მიმდევრებსაც: ფანატიკოს ხოჯებსა და მქადაგებლებს.

ბუნებრივია, რომ კითხვის სამი დონის არსებობა – დეტექტიური, ისტორიული, კულტუროლოგიური – ფამუქის ამ რომანს უმბერტო ეკოს უკვე პოსტმოდერნიზმის კლასიკად ქცეული ტექსტის „ვარდის სახელის“ რიგში აყენებს. თუმცა არც ერთი და არც მეორე არაა ისტორიული დეტექტივი, რადგან მკვლელის ძიება მხოლოდ გარეგნული მხარეა თხრობისა.

რომანში „მე წითელი მქვია“ პირველ პლანზეა არჩევანის პრობლემა. ეს არჩევანი უნდა გააკეთონ შუა საუკუნეებისდროინდელმა მხატვრებმა მინიატურის აღმოსავლურ ტრადიციას, რომელიც ეყრდნობოდა კლასიკური სახეების ბრმა მიმბაძველობას: „ნახატი ალაჰის ხსოვნის ძიებაა, სამყაროს ისე დანახვაა, როგორც ალაჰი ხედავს“ და დასავლურ ტრადიციას, რომელიც სამყაროს ხატავს ისე,

თითქოს ადამიანი მას გაღებული ფანჯრიდან ხედავ: „დღეს ევროპელ მხატვრებს თავი მოაქვთ პერსპექტივითა და სტილით“. პირველის სიმბოლოა მეხსიერება და დოგმატი, მეორის – ფული.

რომანში ნაჩვენებია ორი მხატვრული სკოლის დაპირისპირება. პირველს წარმოადგენს ოსტატი ოსმანი – სულთნის სახელოსნოს მეთაური, შირაზისა და ჰერათის სკოლების ერთგული მიმდევარი, მეორეს კი – ოსტატი ენიშთე, რომელიც დიდი თანხის სანაცვლოდ საიდუმლო წიგნის გასაფორმებლად გადაიბირებს ნიჭიერ მხატვრებს ოსმანის სახელოსნოდან. ამ წიგნის მოხატვა (ათი მინიატურის შექმნა) კი მას თავად სულთანმა დაავალა. ეს წიგნი, რომელიც მოგვითხრობს სულთნის დიდებულებაზე, ენიშთემ და დაქირავებულმა მხატვრებმა უნდა გააფორმონ ევროპული მანერით ანუ უნდა დახატონ ყველაფერი ისე, როგორც ცხოვრებაშია. ამასთან, წიგნზე მომუშავე თითოეულმა მხატვარმა უნდა შექმნას საკუთარი განუმეორებელი სტილი (ეს შეუძლებელი იყო ძველი აღმოსავლური ტრადიციით ხატვისას). ყველაფერი ეს სულთანს სჭირდება, რათა გააოცოს ევროპელები და აიძულოს, რომ აღიარონ აღმოსავლეთის უპირატესობა დასავლეთზე. არადა: „ევროპელი მხატვრების ოსტატობის დაუფლებას საუკუნეები სჭირდება. ენიშთე ეფენდის წიგნი კიდეც რომ დასრულებულიყო და გაეგზავნათ, ვენეციელი ოსტატები დაგვცინებდნენ, მათი სიცილი დოჟსაც გადაედებოდა. მორჩა და გათავდა. იტყოდნენ, ოსმალებს ოსმალობაზე ხელი აუღიათო და ჩვენი აღარ შეეშინდებოდათ. რა კარგი იქნებოდა, თუ ძველი ოსტატების გზას გავყვებოდით!“.

ავტორი ხაზს უსვამს, რომ გმირებმა როგორი არჩევანიც არ უნდა გააკეთონ, შედეგით მაინც უკმაყოფილონი არიან. ასე მაგალითად, ოსტატი ოსმანი ხვდება რა სულთნის წიგნთსაცავში, აფუჭებს საუკეთესო წიგნს და თვალებს იბრმავებს. ოსტატ ენიშთეს კი კლავს მისივე ყველაზე ტალანტიური მხატვარი, რომელსაც სინამდვილეში არ სწამს დასავლური კულტურის ტრადიციაზე დაყრდნობით საკუთარი სტილის შექმნის შესაძლებლობა და თვლის, რომ სულთნის შესახებ ახალი წიგნი ევროპელების დაცინვას გამოიწვევს მხოლოდ. მკვლელი გამოტყდება, რომ ენიშთეს დაეთანხმა მხოლოდ ფულის გამო, სინამდვილეში კი ის აღმოსავლური მინიატურის ტრადიციის ერთგული მიმდევარია. ფაქტობრივად, მკვლელი თამაშობს „სხვას“, ეს კი რომანის ბოლოს მისი დაღუპვის მიზეზი ხდება: მკვლელი მხატვარი გაორებულია: ის იძულებულია თავისი „მე“ დამალოს: „მაგრამ თავად ვინ ვარ? ერთი ვიღაც, რომელიც იმისათვის, რომ ნაყაშხანის სტილს მოერგოს, თავის სულში მრავალ საოცრებას მალავს. მაგრამ ერთი დღეც იქნება, სულში ჩამალულ საოცნებო ცხენს გაბედულად დახატავს. ერთ წამს შიშით ვიგრძენი ჩემს სულში მეორე მხატვრის ამბოხი. ის, მეორე, თვალს არ მაშორებდა“.

ფაქტობრივად, აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემა გადაუწყვეტელ დილემად რჩება ფამუქის გმირებისთვის. ეს კარგად ჩანს ქალის მონოლოგში:

„თუ აღმოსავლეთში ვარ, დასავლეთში მინდაო ყოფნა,
დასავლეთში მყოფს აღმოსავლეთი მენატრებაო...
მთელი სხეულით სიამოვნების მიღება მინდა
დასავლეთისგან, აღმოსავლეთისგან“.

ფამუქის რომანში „თოვლი“ (2002) ასევე წარმოსახულია თანამედროვე თურქეთში ისლამიზმისა და ვესტერნიზმის კონფლიქტი. ტექსტი არის მე-20 საუკუნის 70-იანი წლების თურქული პოლიტიკური რომანის პაროდიული ასლი. წარმოგვიდგენს რა მისთვის დამახასიათებელ პერსონაჟებსა და სიუჟეტურ სიტუაციებს (რა თქმა უნდა, სიმულაკრების სახით), მწერალი მათ ხსნის

ტრავესტირებულ-აბსურდული სახით. ის ახდენს ინტერტექსტუალური სიტუაციის პედალირებას (სიუჟეტის, მოტივების, სახეების, გმირთა სახელების, შიგატექსტობრივი რეალიების დონეზე).

„თოვლში“ ფამუქი ავითარებს იდეას, რომ თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების გაჩენასთან ერთად, რომელსაც შეუძლია უახლესი ტექნოლოგიების საშუალებით ვირტუალური რეალობის შექმნა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები ხდება მძლავრი საშუალება მასობრივი ცნობიერების მანიპულირებისთვის. ფამუქი მუდმივად ხაზს უსვამს რეალობის არარეალურობას, ქალაქის სიმულაციურობას ხაზს უსვამს თოვლი, რომელიც მოდის მთელი თხრობის მანძილზე. ფამუქი გვიჩვენებს, რომ გარესამყარო ხდება რეალური, როცა ის იქცევა მასმედიის პროდუქტად: სატელევიზიო ფილმი, საგაზეთო სტატია, რეკლამა, მასობრივი ლიტერატურა. ყარსის მცხოვრებთ მანამ არ სჯერათ არაფრის, სანამ არ ნახავენ ტელევიზორში, არ მოისმენენ რადიოში, არ წაიკითხავენ გაზეთში.

ტელევიზია, კინემატოგრაფი – წიგნების საპირისპიროდ, ფამუქს მიაჩნია დეკონსტრუქციის, სინამდვილის დამახინჯების, ილუზიის შექმნის საშუალებად. ადამიანებმა, რომლებიც განსაზღვრავენ მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების პოლიტიკას, კარგად იციან, რომ უმჯობესია შეცვალონ არა რეალობა, არამედ წარმოდგენა მის შესახებ და წარმატებითაც ახორციელებენ ამას პრაქტიკაში. სწორედ ამიტომ შემოდის ასეთი დამახინჯებული სახით დასავლური ღირებულებები, ევროპული კულტურა აღმოსავლეთში, ამიტომაც ძნელდება მათ შორის არსებული კონფლიქტის მოგვარება.

დაბოლოს, თუკი შევაჯამებთ ფამუქის შეხედულებებს აღმოსავლეთ-დასავლეთის შესახებ, ასეთ სურათს მივიღებთ: ფამუქის პოსტმოდერნისტული ტექსტებისთვის დამახასიათებელია ეროვნული თვითგამორკვევის კრიზისი – გამოწვეული ევროპულ და ისლამურ ღირებულებათა შორის კონფლიქტის გამო. მწერალი უპირატესობას არ ანიჭებს კულტურის განვითარების არცერთ გზას. მისი გზა ესაა გადათამაშების, დაცინვის, ხელახალი კოდირების გზა, ამ გზის სიმბოლო კი მხოლოდ ირონიული სიცილი შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, ფამუქი ბრმა, მონური მიმბაძველობის წინააღმდეგია, მას, ოსტატ ოსმანის მსგავსად: „უნიჭობა აცეცხლებდა და არა ის, რომ სურათს ორი სამყარო ასაზრდოებდა“. მისი აზრით, „მხატვარი არ უნდა გაყოყოჩდეს, არ უნდა ფიქრობდეს აღმოსავლეთსა და დასავლეთზე, მარტო ისე უნდა ხატავდეს, როგორც გულიდან მოდის!“; „ჭეშმარიტი მხატვარი ისაა, ვისაც „ალაჰი ორთაბრძოლაში ჰყავს გამოწვეული“ და კიდევ, „მხატვრები სამოთხეს მაშინ ვიმსახურებთ, როცა ჩვენი ნიჭისა და ხელოვნების მონები ვართ და არა იმ ფადიშაჰისა, რომელიც სამუშაოს გვიკვეთავს“. ალბათ, გაგვახსენდება „დიდოსტატის მარჯვენადან“ იაკობის ღმერთთან შერკინების მოტივი და ფარსმან სპარსის პარადოქსები: „აბა ერთს გეტყვი, ჭაბუკო, ყველაფერზე უფრო ძვირფასი მხატვრისთვის მაინც იგია, რაც არც მელქისედეკ კათალიკოსს შეუკვეთია და არც მეფე გიორგის, ის, რასაც მოცალეობის ჟამს დახატავს იგი თამაშით“.

ვფიქრობთ, ეს რამდენიმე ამონარიდი რომანიდან საკმარისია იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, ორჰან ფამუქი უპირატესობას თვითმყოფად, ნიჭიერ ხელოვნებას ანიჭებს. ის წინააღმდეგია როგორც დასავლეთისათვის უნიჭო, ბრმა, მაიმუნური მიბაძვისა, ასევე – მსოფლიო კულტურისაგან თვითიზოლაციისა, დოგმატიზმისა და ფანატიზმისა. აღმოსავლურ-დასავლურმა კულტურებმა ერთმანეთი უნდა შეავსონ, გაამდიდრონ, მათ ხელი უნდა შეუწყონ ტალანტის სრულყოფილად გამოვლინების და არა – ნიველირების პროცესს.

სხვად ქცევის სევდა ორჰან ფამუქის პოსტმოდერნისტულ პროზაში და ქართული სინამდვილე

(„შავი წიგნი“, „სტამბოლი. მოგონებები და ქალაქი“)

„ამ ქვეყანაში მეობას ვერავინ შეინარჩუნებს! დამარცხებულებისა და ჩაგრულების ქვეყანაში არსებობა სხვად ყოფნას ნიშნავს“.

ორჰან ფამუქი

უკვე მერამდენე სტატიას ვწერ ფამუქის შესახებ. ეს რა – „ფამუქომანიაა“? ნამდვილად – არა! სამწუხაროდ, ფამუქის შემოქმედების უმთავრესი პრობლემები: აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობა, სხვად ქცევის – ანუ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ სინამდვილის ვირტუალური რეალობით შეცვლის, ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვისა და სხვის უსახო ასლად ქცევის შიში, დამარცხებული, დანგრეული ქვეყნის მცხოვრებთა სევდა გარდასულზე – ქართველი მკითხველისთვისაც ისეთივე ახლობელი, შინაურული და მტკივნეულია, როგორც თურქი მკითხველისთვის.

საანალიზო პრობლემა გლობალიზაციის პერიოდში, მულტიკულტურულ და მულტილინგვისტურ გარემოში მოქცეული ისეთი მცირერიცხოვანი ერებისთვის, როგორიც ქართველებია, მართლაც, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. მათ ხომ არათანაბარი კონკურენციის პირობებში უწევთ ბრძოლა თავიანთი ენის, ტრადიციების, თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. აქედან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანია გლობალიზაციის ეპოქაში ორი მეზობელი, თუმცა ტრადიციებით, მენტალიტეტით, ენითა და კულტურით განსხვავებული ხალხის სიტყვაკაზმულ მწერლობაში ასახული მსგავსი პრობლემების გამოვლენა, შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა ქართულ-თურქული კულტურული დიალოგის ფენომენის ანალიზი. რაც შეეხება კვლევის შედეგებს, ისინი დამამშვიდებელი ნამდვილად არაა: სხვად ქცევის სევდას (თუ – შიშს) ერთნაირად შეუპყრია როგორც მცირერიცხოვანი, ისე 80-მილიონიანი ერის წარმომადგენლები. ორივესთვის დღის წესრიგში საკუთარი იდენტობის შენარჩუნება, ერთიანი სამყაროს, გლობალური მზის ქვეშ საკუთარი, ინდივიდუალური თავისებურებებით გამორჩეული ადგილის დამკვიდრებაა, „ანთეოსის სინდრომის“ დაძლევაა, სხვაში ათქვეფის, ნიველირების თავიდან აცილებისთვის ბრძოლაა. ამ ბრძოლაში კი უპირველესი და უმძლავრესი იარაღი ქართველი ერისთვის ათასწლეულთა განმავლობაში იყო, პოსტმოდერნიზმის ეპოქაშიც რჩება და, იმედია, მომავალ საუკუნეებშიც იქნება თექვსმეტსაუკუნოვანი უმდიდრესი და გამორჩეული ქართული მწერლობა.

ფამუქის წიგნის სათაურმა – „შავი წიგნი“ – კიტა ბუაჩიძის, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაბეჭდილი, ეროვნულ უბედურებაზე – დემოგრაფიულ პრობლემებზე: ერის დაჩიავება-დაბერება-გადაშენებაზე, „ერის უჭკუობის ნიადაგზე ჩადენილი თვითმკვლელობის“ შესახებ დიდი წუხილით დაწერილი „შავი წიგნი“ გამახსენა. ქართველი ავტორისა და თურქი მწერლის ორ წიგნს მარტო სათაური არ აქვთ ერთნაირი, მათში საერთოა საბედისწერო ეროვნული ტრაგედიის შეგრძნებისა და ამით გამოწვეული სევდის მძაფრი გამოვლენა. რა თქმა უნდა, ისინი აბსოლუტურად განსხვავებული ტექსტებია (პირველ შემთხვევაში – დოკუმენტურ-პუბლიცისტური, მეორე ტიპური – პოსტმოდერნისტული რომანი), თუმცა პათოსი მსგავსია. გავიხსენოთ კიტა ბუაჩიძის „შავი

წიგნიდან“: „სიგლახეში მაიმუნებიც არ არიან ისე წამბაძველები, როგორც ჩვენ, ქართველები“ (ბუაჩიძე, 1990:10) და ფამუქის სიტყვები „შავი წიგნიდან“: ბედი უსტას „არასოდეს დაუკარგავს იმედი, რომ ჩვენი ხალხი ოდესმე იმდენად ბედნიერი გახდებოდა, სხვის მიბაძვას თავს დაანებებდა“ /განა ეს ყველა ქართველის ოცნებაც არაა?!/

ილიას გზის გამგრძელებელი დიდი ქართველის, ერის წყლულების მამხილებელი, მოყვრის პირში მძრახველი და ამის გამო წამებული მიხეილ ჯავახიშვილის შეფასებაც გავიხსენოთ: „წამბაძველობის ნიჭი... უუდიდესი საჩუქარია, მაგრამ ღმერთმა გადააჭარბა: ჭკუა დაგვაკლო და წაბაძვის ნიჭი ნაჭ...ჭარბევად მოგვცა. ჩვენც ამიტომ დავემსგავსეთ მაიმუნს. სადაც არ გვყოფნის საკუთარი ჭკუა, მხნეობა, გამძლეობა და ნებისყოფა, იქ უცხოელთა წაბაძვით ვლამობთ ფონის გასვლას და ლელოს გატანას“.

სიტყვა სევდა ფამუქის ავტობიოგრაფიული რომანის თუ მემუარების ეპიგრაფებშივე ფიგურირებს: „პეიზაჟის სილამაზე სევდაში იძირება“ (აჰმეთ რასიმი); „აქ ისინი ცხოვრობენ, ვინც სევდით ტკბება“ (იაჰია ქემალი). წიგნი 37 თავისგან შედგება, მათ შორის ოთხი თავის სათაურში, ასევე, გვხვდება სიტყვა „სევდა“, აღარაფერს ვამბოთ სხვა თავის სათაურებში არსებულ სიტყვებზე: „მელანქოლია“, „მოწყენილობა“, „უბედურებები“. რატომაა ასეთი სევდიანი ნობელის პრემიის ლაურეატის ბავშვობისდროინდელი მოგონებები, რატომ ხედავს ის მშობლიურ ქალაქს, სადაც დაიბადა, გაიზარდა, უყვარდა, ოცნებობდა, წერდა მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში? ალბათ, იმიტომ, რომ ასეთი სტამბოლი მხოლოდ შავ-თეთრ გრავიურებსა და გაზეთებში შემორჩა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის უზარმაზარი ძლევამოსილი იმპერიისგან აღარაფერი დარჩა, ხოლო ფამუქის დაბადების დროისთვის ფერფლად ქცეული იმპერიის დედაქალაქი თითქოს უცბად დაბერდა, გაღარიბდა, სამყაროს ცენტრიდან მის მარგინალად იქცა, მის თავზე დათრგუნულობის, დაკარგულობის გრძნობა და დიდი სევდა ჩამოწვა, რომელმაც მალე შეაღწია თითოეული თურქის ოჯახში და იქ თითქოს სამუდამოდ დაივანა.

ფამუქი მისეული ოსტატობით გვიყვება თავისი ქალაქის სევდიან თავგადასავალს, რომელთანაც უმჭიდროესადაა დაკავშირებული მისი ოჯახის ისტორია და რომელიც მის „ბედისწერად იქცა.“ შავ-თეთრი გრავიურები, ფოტოები, სევდა დანგრეული, გამქრალი იმპერიისა და ბოსფორზე გადამდგარი ფაშების ხის სასახლეების სამუდამოდ დაკარგული კულტურის გამო: „განა საკუთარი თვალით არ ჰქონდა ნანახი, როგორ იცვლებოდა სტამბოლის ქუჩები და როგორ ემსგავსებოდა უცხო ქვეყნის საოცნებო ქალაქს“; „ტრამვაის ხაზის გაყოლებაზე ქვაფენილი ყოვლად უაზრო ასფალტით დაეფარათ“ – გულდაწყვეტით წერს ფამუქი და გვაგრძნობინებს, როგორ უაზროდ იფარება წარსული, ქრება ტრადიცია და მის ადგილს უსახური შენობები და უცხო ჩვევები იჭერს. ეს იწვევს სხვად ქცევის სევდას.

ამ სევდის გამოკვლევას ფამუქმა სპეციალური თავიც მიუძღვნა რომანში. მუსულმანური ფილოსოფიის მიხედვით, სევდას ორი მიზეზი აქვს: „სევდა მატერიალურ სამყაროსა და ამ სამყაროს სიამოვნებებთან მეტისმეტი მიჯაჭვულობის შედეგია“, სუფისტების აზრით კი, „სევდა – დაუკმაყოფილებლობის გრძნობაა, გამოწვეული იმით, რომ შეუძლებელია, ალაჰს ისე მიუახლოვდე, როგორც გსურს“.

საინტერესოა, რომ ფამუქი ადარებს ერთმანეთს, თუ როგორ აღიქვამენ სევდას აღმოსავლეთსა და დასავლეთში და აქაც რადიკალურ განსხვავებას აწყდება: აღმოსავლელისათვის სევდა არის ის გრძნობა, რომელიც აერთიანებს მთელი სტამბოლის მოსახლეობას და ის „თავის სევდას სიამაყით და ღირსებით ატარებს“, ხოლო დასავლური შავნაღვლიანობა ანუ მელანქოლია, პირიქით, ერთი ადამიანის განცდაა, ბედნიერი მარტოობისაკენ რომ უბიძგებს მას. აქედან – აღმოსავლური კულ-

ტურის კოლექტიური და დასავლურის – ინდივიდუალური ხასიათი. სტამბოლელები სევდას იღებენ, როგორც მათთვის განკუთვნილ ბედისწერას, რომელიც მათ ნებას ბოჭავს, დასავლელისათვის კი ის ავადმყოფობაა, ვთქვათ, – დეპრესიაა), რომლისგან განკურნებისთვის იბრძვის, აქედან გამომდინარეობს ამ ორი მენტალიტეტის კიდევ ერთი განმასხვავებელი: დასავლური კულტურის – ექსტრავერტული, აქტივობებისკენ მიმართული და აღმოსავლურის – ინტრავერტული, პასიური, შიგნით ჩაბრუნებული მზერის – ხასიათი.

როგორც ვთქვით, სევდიანი სტამბოლი უმთავრესი პერსონაჟია ფამუქის რომანებისა, ამავე დროს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება მკითხველს, რომ ის არის ძირითადი მთხრობელიც, ავტორი ტექსტისა. მართალი გითხრათ, სტამბოლს მე მხოლოდ ტელეეკრანებიდან ვიცნობ, მაგრამ, როცა ფამუქისეულ აღწერას ვკითხულობდი, ფერებით, განწყობით, ჭუჭყიანი თოვლით, ჩაბნელებული ქოხმახებით, გულისმომწყვლელი სიღარიბით, რომელიც უკურნებელ სენივით შეჰყრია ქალაქს, იმ სევდითაც, რომლითაც მთელი ტექსტია გაჟღენთილი, 90-იანი წლების ჩვენი ცხოვრება, მშობლიური ბათუმი თუ სხვა ქალაქები და სოფლები, ანუ უშუქ-უგაზო-უწყლო-უპურო საქართველო და მისი სევდით გამსჭვალული, უიმედო, დაბნეული, უგზოობასა და სასოწარკვეთილებაში ჩაკარგულ-ჩავარდნილი, ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნანგრევებში მოყოლილი უდანაშაულო ჩვეულებრივი ადამიანები გამახსენდა. რუსეთის წითელი იმპერიისგან ახლად განთავისუფლებულთ თავს ქარბორბალასავით რომ დაატყდათ დასავლეთის (დასავლეთსა და ვესტერნიზაციაში ყოველთვის ვგულისხმობთ არა მარტო დასავლეთ ევროპას, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც) ე. წ. „კულტურის“ ნიაღვარი, ე.წ., რადგან ოდითგან სხვის ბრმა მიბაძვას ჩვეულ ქართველებს (და როგორც ფამუქის შემოქმედებაც გვიდასტურებს – არა მარტო მათ!) ძალიან გაუჭირდათ ჭეშმარიტი და ყალბი დასავლური ღირებულებების გარჩევა და, როგორც, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე, დამახინჯებული, გაუკუღმართებული ფორმითა და შინაარსით, გაუგებარი აღტაცებითა და უკრიტიკოდ აღიქვეს და მეტ-ნაკლებად, შეითვისეს კიდეც ეს უცხო კულტურა თუ უკულტურობა, შედეგიც შესაბამისი მივიღეთ: თავისუფლება – ანარქიად და აღვირახსნილობად, ხელისუფლება – ქვეყნისა და ხალხის ძარცვის უფლებად, პატრიოტიზმი – ნიჰილიზმად, ხოლო ტრადიციული ზნეობრივი ფასეულობები კი ჩამორჩენილობის ნიშნად და ქილიკის, ცინიკური დაცინვის ობიექტად იქცა.

ახლა გავიხსენოთ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში როგორ დაახასიათა კონსტანტინე გამსახურდიამ ილიასეული პირუთვნელობით ქართველი ხალხი: „მუდამ ბიზანტიელებს ეგებოდნენ ფეხქვეშ ჩვენი სულელი აზნაურები და ღორმუცელა ეპისკოპოზები, მეფეები მწვანე ეტლებს მიეტრფოდნენ და ბიზანტიურ ხარისხებს...

ჩვენი უბედურება ეგაა: სხვის ფანდურზე ბუქნაობა გვიყვარდა მუდამ, ამიტომაც მუსრს ავლებდა საქართველოს სხვის ქვეყნებში ატეხილი ჭირი.

ხალხიც აზნაურებს ბაძავდა... ამიტომაც მშვენიერს „უცხოს“ უწოდებდნენ, კარგ ქართულ თხილს „ბერძნულს“, ხოლო საუკეთესო ცერცვსაც „ბერძნულს“.

როგორც უკვე ვთქვი, ეს მიმბაძველობის, უცხოს გაფეტიშების სენი მხოლოდ ქართველებს არ დაგვმართნია, აი, ამიტომ – ფამუქი და მის მიერ ასე დიდოსტატურად ნაგრძნობი და ხელშესახებად დახატული „სხვად ქცევის სევდა“: „ყველა ტომი, რომელმაც თვითმყოფადობა დაკარგა, ყველა ცივილიზაცია, რომელიც სხვას ჰბაძავდა, ყველა ერი, რომელსაც სხვათა ისტორია ბედნიერებას ანიჭებდა, დასანგრევად, გასაქრობად და დასავიწყებლად იყო განწირული“ – ხაზგასმით წერს და აფრთხილებს თანამემამულეთ ფამუქი.

სხვათა შორის, „შავ წიგნში“ ფამუქს შემოაქვს კინემატოგრაფის, როგორც მასებზე ზემოქმედების, უცხო კულტურის შემოჭრისა და სიმულაკრების, რეალობის ასლის შექმნის ფაბრიკის მოტივი:

„ნუთუ არცერთ სახელმწიფო მოღვაწეს არ შეუმჩნევია კავშირი სტამბოლის გადაგვარებასა და კინოს აღორძინებას შორის“. მისი ზეგავლენით თურქები თანდათან კარგავენ ეროვნულ იდენტობას და ევროპელთა უნიჭო (ხშირად – სასაცილო) ასლებად იქცევიან. ამას უპირისპირდება ბედი უსტა: ის „ქმნიდა მანეკენებს, რომლებსაც ჰქონდათ თურქებისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაცია, ის, რაც „ჩვენ ჩვენად“ გვაქცევს... რომელიც უცხოური ფილმების ზეგავლენით იკარგებოდა“.

და არა მარტო კინო, მოდაც, რომელიც ერთფეროვნად ქცევის, ნიველირების, ინდივიდუალობის გაქრობის უმძლავრესი საშუალებაა პოსტმოდერნის ეპოქაში, „უმრავლეს შემთხვევაში... გაუგებარი მიზეზების გამო შავი ჭირივით ვრცელდებოდა“. დიახ, დასავლეთი ყველა მიმართულებით უტევდა სტამბოლს. სწორედ მასობრივი კულტურა ანუ კულტურული ინტერვენცია, მულტიკულტურული გარემო ხდება თვითმყოფადობის დაკარგვის მიზეზები. მართალია, სტამბოლის მკვიდრთ კარგად არც ესმოდათ, რას ნიშნავს იცხოვრო „დასავლურ ყაიდაზე“ ან „რელიგიისგან გათავისუფლების გარდა, რისთვის იყო საჭირო ევროპეიზაცია“, მაგრამ მაინც გულმოდგინედ ცდილობდნენ მოდას არ ჩამორჩენოდნენ, რაც უპირველესად ერის სიმტკიცის გამომხატველი უმთავრესი ინსტიტუტის – ოჯახის – რღვევით გამოიხატა, ეს კი მწერლისთვის პოსტმოდერნისტული ქაოსის მაჩვენებელია: დაიწყო „ერთი ხის სახლში მცხოვრები, ოდესღაც ტრადიციული, ოსმალური, სტამბოლური ყაიდის ოჯახის ნელი რღვევა და დაშლა“.

ამიტომაც ასე მწვავედ დგას ორჰან ფამუქის შემოქმედებაში აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა. ის ვლინდება მრავალი ასპექტით, ესენია: გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიურ-მეტაფიზიკური. ეს მრავალპლანიანი ბინარული ოპოზიცია ყველაზე მტკივნეულად კულტუროლოგიურ ასპექტში იჩენს თავს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან გლობალიზაციის პროცესში ერების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, კულტურა, მენტალიტეტი განიცდის რადიკალურ ცვლილებებს, ზეწოლას დომინირებული ცივილიზაციისგან, რაც ბუნებრივად ხდება კონფლიქტების წყარო. ისტორიულად ჩამოყალიბებული ცხოვრების წესი ტრანსფორმირდება და, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, დღის წესრიგში მწვავედ დგება ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პრობლემა, რაც, თავის მხრივ, იწვევს წინააღმდეგობას ამ პროცესის მიმართ. მშობლიური ენა, რწმენა, ტრადიცია, ნაციონალური კულტურა ხდება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტები თუ ღირებულებები, რომლებიც ამ მულტიკულტურული და მულტილინგვისტური გარემოს შემოტევებისაგან დაცვას, უფრო მეტი, ზოგჯერ გადარჩენასაც კი საჭიროებენ, სწორედ ამ ჭრილში, როგორც მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, განიხილება აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემა ორჰან ფამუქის შემოქმედებაში.

„შავ წიგნში“ ფამუქი მკვეთრად სვამს თურქების ეთნოკულტურული თვითიდენტიფიკაციის საკითხს. მისი აზრით, პრობლემა შემდეგში მდგომარეობს: თურქები ვერც თანამედროვე დასავლურ კულტურას აკუთვნებენ თავს და ვერც – ტრადიციულ თურქულ-ისლამურს. რომანისტის აზრით, მისი თანამემამულენი „გაიჭედნენ სამყაროთა შორის“. ამაში ფამუქი ადანაშაულებს ქემალისტური რესპუბლიკის პოლიტიკას, რომელიც ენთუზიაზმით ქმნიდა ისეთი სამყაროს ასლს (სიმულაკრას), რომლის შესახებ მკაფიო წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომელსაც, ფაქტობრივად, არ იცნობდნენ. არადა, ვიღაცის ასლად ყოფნა, სხვად ქცევა მხოლოდ უბედურების, მარტოობის, გაორებისა და შინაგანი წინააღმდეგობების გამო სევდისა და რაღაც დიდის დანაკარგის განცდას იწვევს. მსგავს ვესტერნიზაციას კეთილი დასასრული ვერაფრით ექნება.

ორჰან ფამუქიც თავისი პოსტმოდერნისტული ტექსტებით ცდილობს აღმოსავლეთ-დასავლეთის ბინარული ოპოზიციის დეკონსტრუქციას უაღრესად კეთილშობილური მიზნით: შეძლოს თურ-

ქული იდენტობის შენარჩუნება ამ ორი, ერთი შეხედვით შეურიგებელი, სამყაროს დაპირისპირების პროცესში, მათი სინთეზის, მორიგების გზით.

სხვათა შორის, ქართველებს შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში ეს პრობლემა – აღმოსავლეთ-დასავლეთის მორიგება-სინთეზისა, თითქოს შეურიგებელ წინააღმდეგობათა დაძლევა შეძლო აღმოსავლური რენესანსის შემოქმედმა, გენიალურმა შოთა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“: „მისი სენსორული მსოფლშეგრძნება უფრო აღმოსავლურია, ხოლო ფორმათქმნაში და თქმის ტემპერამენტში იგი ძველ ბერძენ დიდოსტატებს უფრო გვაგონებს. ეს უკანასკნელნი მუდამ აფრთხილებდნენ ხელოვანს: არც ზომაზე მეტი და არც ზომაზე ნაკლებიო“.

საინტერესოა, რომ პოსტმოდერნისტ ორჰან ფამუქსა და მოდერნისტ კონსტანტინე გამსახურდიას ერთნაირად აინტერესებთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა. აი, როგორ მსჯელობს ქართველი მწერალი: საქართველოც, როგორც თურქეთი, საუკუნეთა განმავლობაში „ხალხთა ხიდი“ იყო. „ჩვენი ისტორიული მისსია იყო: ორ შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება-შეგუება, ორი დიდი სამყაროს ევროპის და აზიის სულის შეხამება. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდ სამყაროსგან გადმოსროლილ ჩრდილისა და სინათლის ნიუანსების ნათელყოფაა... ორ ძუძუთა ვსწოვდით. ჩვენი სამშობლო ორ კულტურულ ნაკადის შემრთველ აუზს წარმოადგენდა“.

გამსახურდია ამ პრობლემას ასევე დიდ ყურადღებას უთმობს თავის პირველ ექსპრესიონისტულ რომანში „დიონისოს ღიმილი.“ აი, როგორ მსჯელობენ მისი პერსონაჟები: „ქართველები არც აზიელები არიან და არც – ევროპელები... აღმოსავლეთი მარადიულ სტატიკას ჰხედავს, უძრავ საგანს უძრავ სამყაროში, დასავლეთი – ყველგან დინამიკას“ – დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ ეს შეფასება ძალიან ჰგავს ორჰან ფამუქის მიერ ორ სამყაროს შორის დარჩენილი თურქების დახასიათებას. გამსახურდიას აზრით, „მთელი მსოფლიოს ისტორია დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთშორის ბრძოლა იყო. ყოველ საუკუნეში აღმოსავლეთიდან სესხულობდა იდეებს დასავლეთი. ევროპული კრიზისიც მაშინ გადაწყდება, როცა რაციონალური ევროპის ინტელექტუალური ცხოვრება გრძნობა-მოჭარბებულ აღმოსავლეთის იდეებით გადახალისდება“. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველმა მოდერნისტმა „დიონისოს ღიმილით“ მონახა სინთეტური გეზი ევროპულსა და სპარსულ სამიჯნურო რომანს შორის.

მიხეილ ჯავახიშვილსაც აწუხებს ეს პრობლემა და არაერთგზის განიხილავს მას. გავიხსენოთ „ჯაყოს ხიზნებიდან“: „საქართველო ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო... ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მოღრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამე კი სამხრეთისკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისკენ. ეროვნული ნებისყოფაც და ენერგიაც ასე დაგვეფანტა“. ასეთი გაორება თუ გაოთხება, რა თქმა უნდა, ბედნიერ-დალხინებული ყოფის შედეგი არ იყო, მაგრამ, ფაქტია, საქართველო მარადიულ გზაჯვარედინზე იდგა მუდამ, ეს კი ძალიან დამღლელია და მართლაც ფიტავს ხალხის სასიცოცხლო ძალებს.

მიხეილ ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1924 წელს უბის წიგნაკში ასეთ ფრაზას წერს: „აღმოსავლური სიბრძნის და დასავლურ აქტიობის შედუღება – აი ჩვენი გზა“.

რა თქმა უნდა, აშშ-ს კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ფამუქმაც კარგად იცის, გაცნობიერებული აქვს, რომ კულტურათა დიალოგის გარეშე უცხო კულტურისადმი შიშისა და სიძულვილის დაძლევა წარმოუდგენელია. ცივილიზებული კომპრომისის მიღწევა შესაძლებელია არა ძალდატანებით, არამედ მხოლოდ ურთიერთპატივისცემით, ერთმანეთის ღირსებებისა და ღირებულებების აღიარებით. ესაა ბუნებრივი გზა ორი კულტურის ურთიერთგამდიდრებისა, ურთიერთგაგებისა, ჰარმონიის მიღწევისა. ამ შემთხვევაში შემაკავშირებელი, უფრო სწორად, შუამავალი

უნდა იყოს მხატვრული სიტყვა, ამიტომაც წერს ფამუქი: „შეჰზადესი არ იყოს, მეც იმიტომ ვყვები, საკუთარი მეობა რომ შევინარჩუნო“.

როგორც ვხედავთ, გლობალიზაციის, საკომუნიკაციო-ინფორმაციული რევოლუციის ეპოქაში, როცა მთელი მსოფლიო იქცა ერთ „უზარმაზარ სოფლად“, არ აქვს მნიშვნელობა, 80-მილიონიანი ხალხის შვილი ხარ თუ 5-მილიონიანის, ყველა ეროვნების მწერალს აწუხებს ნაციონალური სახისა და კულტურის შენარჩუნების პრობლემა, სწორედ ამიტომ წერდნენ დიდი ქართველი ანუ ეროვნული მწერლებიც, წერდნენ ქართველი ერის კულტურული ავტონომიისა და ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად, წერდნენ, რათა ქართველმა ხალხმა კვლავ უცხოთაგან ამართულ კერპებზე არ ილოცოს.

გზა ადამიდან ადამიანამდე

(ავტორის ბოლოსიტყვის მაგივრად)

„წარსულდაკარგულ ერს მომავალი ვერ ექნება“.
ანზორ კუდბა

აი, დავასრულეთ მოგზაურობა მეოცე საუკუნეში, ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და წინააღმდეგობებით სავსე ეპოქაში, როცა ადამიანს ოცნება – რეალობად, რეალობა კი – ვირტუალურ სამყაროდ ექცა, როცა იმდენი მეცნიერული აღმოჩენა გვაქვს, რამდენიც ერთად აღებული წინა ორ-სამ საუკუნეში არ გვქონია. ამასთან, ეპოქაში, როცა განსაკუთრებით მწვავედ დადგა ადამიანისა და სამყაროს, ადამიანისა და ღმერთის, ადამიანისა და ადამიანის, ადამიანისა და ტექნიკის, ზოგადად, ცივილიზაციისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. არც ერთი ამ პრობლემათაგანი არ დარჩენილა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ყურადღების მიღმა. თითოეული მათგანი აისახა დიდებული ქართველი მწერლების შემოქმედებაში, მათ შორის გამოიკვეთა ერთი უმთავრესი და უპირველესი პრობლემა: ეს არის გზა უფლის ქმნილებიდან, ადამიდან – ადამიანამდე. ეს გზა იოლი და ვარდყვავილებით მოფენილი რომ არ იყო, ადამიანის კრებითი სახის – კაცობრიობის ისტორიაც ადასტურებს, თუნდაც მხოლოდ იმავე მეოცე საუკუნეში. ეს გზა სავსეა შენაძენებითა და დანაკარგებით, სიხარულითა და სევდით, ამბოხითა და სინანულით, დამარცხებებითა და გამარჯვებებით, სიყვარულითა და სიძულვილით, სულიერი ამაღლებითა და დაცემით, მაგრამ ყველა შემთხვევაში, ესაა უნივერსალური გზა, რომელსაც გადის ნებისმიერი ადამიანი თავის ცხოვრებაში. ესაა ერთი კაცის გზა, რომელიც სწორედ მისი ადამიანობის გამოცდისათვის უნდა გაიაროს თითოეულმა ახალმა ადამმა დაბადებიდან სიკვდილამდე – აი, ამ დასკვნამდე მივყავართ აჭარაში მოღვაწე ეროვნებით აფხაზი, თუმცა მსოფლმხედველობით, მენტალიტეტით, ჯანსაღი პატრიოტული სულისკვეთებით გამორჩეული ჭეშმარიტად ქართველი მწერლის ანზორ კუდბას რომანს „ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი 2019 წელს გამოქვეყნდა, „წერილები მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაზე“ სწორედ ამ ტექსტზე საუბრით გვინდა დავასრულოთ, რადგან, ჯერ ერთი, ავტორი სწორედ გასული საუკუნიდან მოდის, მეორე, ესაა ტიპური პოსტმოდერნისტული ტექსტი და, მე-

სამე, მასში კონცენტრირებულია ის უმთავრესი პრობლემები, რომლებიც ჩვენს წერილებში იყო აქცენტირებული, ვთქვათ, იგივე ღმერთის სიკვდილისა და მისი ძიების მოტივები; მათ შორის უმთავრესია, რა თქმა უნდა, გზა ადამიდან ადამიანამდე. ეს გზა კი, მოგეხსენებათ, დაუსრულებელია და ის ახალ საუკუნეშიც გრძელდება როგორც ცხოვრებაში, ისე – მხატვრულ ლიტერატურაშიც.

როგორც ზემოთ ვთქვით, „ჩრდილს ნუ მომიკლავთ!“ ტიპური პოსტმოდერნისტული ტექსტია – დაწყებული მრავალგანზომილებიანი სათაურით და დამთავრებული ღია ფინალით:

„ნაბიჯს ნაბიჯი მიაყოლა და მერე სულმაც წინ გაუსწრო.

მირბოდა უკვე. ძირს დაიხედა: რკინის ქალამნები ეცვა.

ნაბიჯიც უგრძელდებოდა სულ უფრო და უფრო. ლამის დედამიწისთვისაც გადაებიჯებინა...“. ასე – რკინისქალამნებამოცმული დაიარება ცხოვრების გზაზე ახალი ადამი, რომელიც განწირულია მარადიულად ეძებოს თავისი ღვთაებრივი ნაწილი.

წიგნის სათაურმა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ჩრდილდაკარგული ანუ ეშმაკისათვის სულმიყიდული მურმანის სახემდე მიგვიყვანა. ჩრდილის დაკარგვა ეშმაკთან შეკვრას ნიშნავდა, სატანის ერთგულებას. ახლა გავიხსენოთ ქართული ფოლკლორისა და მწერლობის ამ მრავალმხრივ საყურადღებო პერსონაჟის გურამ ასათიანისეული დახასიათება. მურმანი ეგოცენტრიზმითაა გამორჩეული, მხოლოდ პირადი ბედნიერებისთვის იბრძვის, აქედან გამომდინარე, მისი აქტიურობა უდღეური და უპერსპექტივოა, მისი „ენერგია, ხალხის თვალში, ბოროტი ენერგიაა. ამის გამო მას არაფრის წარმოქმნა არ შეუძლია. მისი „ბროლის ციხე“ მხოლოდ მირაჟია, მხოლოდ ეფემერული ხუხულაა“. ასეთივე ხუხულაა ბაბილონის გოდოლიც, რომელსაც ნიმროდად გარდაქმნილი ადამი აშენებს. ერთი შეხედვით, მისი მიზანი კეთილშობილურია: მას უნდოდა ღმერთამდე აემაღლებინა ადამიანი, ლამის მიზანსაც მიაღწია, მაგრამ საბაოთმა ხერხს მიმართა: ენა აურია ანუ სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა გოდოლის მშენებლები და ასე აღკვეთა ამპარტავანი ნიმროდის პატივმოყვრული გეგმები. ანზორ კუდბა ზუსტად მიგვანიშნებს, რომ შურიანი, კადნიერი, ვნებებისა და სურვილების მონად ქცეული, ძალაუფლების წყურვილით შეპყრობილი ადამ-იანი ღმერთამდე ვერ ამაღლდება.

„ყოვლისმხილველი, ყოვლისმომცველი და ყოვლისშემძლე“ ცაბაოთი კი ასე აფრთხილებს ამბოხებულ ადამ-ყოფილს: „ნიმროდ, გონს მოდი: მებრძოლო მე, ნიშნავს ებრძოდე საკუთარ თავს. შენ დროის მიღმა დარჩენილხარ“, რაზეც ნიმროდი თავხედურად პასუხობს: „დროის გარეშეც იოლას გავალ. შენ კი აღარ მჭირდები!... მაგრამ გპირდები, ცაბაოთ: ამოვმაღლდები მე შენამდე ადამ-იანი და: გაგისწორდები!“. როგორც ვნახეთ, ვერ ამაღლდა.

ანზორ კუდბას ტექსტში ადამ-ის ჩრდილიც მრავალპლანიანია, ის ქალსაც განასახიერებს: ჯერ – ევას, შემდეგ – რეას. თავად უფალი საბაოთი ეუბნება ადამს, რომ ევა მისი „ჩრდილივითაა!“. ჩრდილი, როგორც ვთქვით, ასევე ადამიანის სულია, რომლის გარეშე ცხოვრება სირცხვილია, ამიტომ მზის სინათლეზე გამოსვლას ერიდება ადამი და ეს ნაკლოვანება შინაგანადაც აფორიაქებს, წონასწორობას ურღვევს მას. ჩრდილის – სულის – ევას, საყვარელი ქალის, თავისი სხეულის ნაწილის გარეშე ხომ მისი პიროვნება არასრულყოფილია, მას ცარიელი ადგილი სტკივა. დიახ, ადამიდან ადამიანობამდე გზაზე მიმავალმა კაცმა ჩრდილი – საკუთარი სული დაკარგა და, როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობაშივე აღვნიშნეთ, მეოცე საუკუნეში ჩრდილ/სულდაკარგული ადამი უკვე „ჰომო ფაბერად“ მოგვევლინა.

ანზორ კუდბას ახალი რომანი მითოლოგიზებულია. მასში, ფაქტობრივად, მოცემულია სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის მითოლოგიების მიქსი: აქ შეხვდებით პერსონაჟებს ბიბლიური, შუამდინარული, ბერძნული, ეგვიპტური, ქართული მითოლოგიიდან. ზოგის სახელი შეცვლილია, ზოგისაც

– არა, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს საერთო სურათზე. ნაწარმოები იწყება სამოთხიდან ადამისა და ევას გამოძევებისა და მათი დასჯის სცენით. როგორც ვთქვით, საბაოთმა ადამს ჩრდილი მოუკლა და სიცოცხლე მიუსაჯა, ესეც არ აკმარა და მეხსიერება წაართვა: მიუხედავად მებორნის გაფრთხილებისა, „სურვილების მონა," „გამოყეყეჩებული ორფეხა ცხოველი", როგორც მას ეშმაკი უწოდებს, შესვამს დავიწყების მდინარის წყალს, შედეგად, ადამს თავისი წარსული დაავიწყდება, ამიტომ მის „შორეულ წარსულში ძალიან ბნელა, შიშისმომგვრელი წყვდიადია". ძალიან გაუჭირდა უწარსულოდ, უდროოდ დარჩენილ ადამს და ის ნიმროდად იქცა, ევა – ქურუმთქურუმის უმშვენიერეს, ბრძენ ასულ რეად, რომელიც დედოფლად და ქალღმერთად, სწორფერ მეუღლედ დაისვა ნიმროდმა, იშთარის ტაძარშიც კი დააბრძანა.

ნიმროდი მოკვდავი და აღდგომადი ღვთაებაა: დუმუზის მსგავსად ისიც უნდა ჩავიდეს ქვესკნელში (90). მას სწორედ თარგამოსი კლავს, მაგრამ ცაბაოთი ბოლომდე ვერ იმეტებს თავის ქმნილებას და რეას გააცოცხლებინებს.

იქმნება პარადოქსული და უდავოდ დამაფიქრებელი ვითარება: საბაოთის წინააღმდეგ ამხედრებული, ცნობადის ნაყოფმირთმეული ადამი, ვისაც თავისუფლება უკვე აუცილებლობად გადაქცევია, თავად ხდება ბაბილონელებისთვის ტირანი: მან ქურუმებს სხვაგვარად ფიქრიც კი აუკრძალა: „ქურუმნო! მე თქვენგან აწი ვეღარ მოვითმენ ჩემგან განსხვავებულად ფიქრსაც კი!" – მწერალი ამით გვიჩვენებს, თუ რა მოსდის სულიერებადაკარგულ ძალაუფლებას, როგორ გარდაიქმნება ის დიქტატურად.

ნიმროდმა ჩრდილის უქონლობაც თავის სასარგებლოდ გამოიყენა: მან თავი უზენაეს ღმერთად გამოაცხადა, უფრო ზუსტად, თავად ბაბილონელები მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ უჩრდილო მხოლოდ ღმერთი შეიძლება იყოს; აი, ავტორიტეტული მოხუცის დასკვნა: „ჩრდილი მხოლოდ და მხოლოდ არ უნდა ჰქონდეს უფალ ღმერთს... ხალხო! უფალი ღმერთი მიწაზე ჩამოსულა და ადამიანებმა კინაღამ ვერ ვიცანით...". ამის დაჯერება ბაბილონელებს არ გაჭირვებიათ, რადგან ნიმროდი ჩვეულებრივი მოკვდავიც არ იყო: მას შეეძლო სხვისი ფიქრების წაკითხვა, დროში მოგზაურობა, გავიხსენოთ: „უდროობის თვალუწვდენელ ველზე მიაჭენებდა ბედის ბედაურს", ფრენა, ის ხე-კაციც იყო – კედარს შერწყმოდა, მას მელამი ჰქონდა მოფენილი ანუ მადლფენილი იყო და ა. შ.

ტექსტში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერსონაჟია: მართალი ებერი, რომელთანაც დაკავშირებულია ქართული ანბანის შენახვა-გადარჩენა. „ებერ, ეს ჩვენი ანბანია... შენ დიდი მისია გეკისრება: ანბანი უნდა გადაარჩინო, რომელიც უფალმა ღმერთმა ცაბაოთმა შეგვიდგინა". ღმერთი მეორედ მოსვლისას ამ ენაზე ისაუბრებსო – ასე შემოდის იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი" ანზორ კუდბას პოსტმოდერნისტულ ტექსტში.

ებერი იაფეტის შვილთაშვილის, თარგამოსის ქვეყანაში, ქარდუში წავიდა. მან შვიდი შვილი (ალბათ, საქართველოს შვიდი სამეფოს მეფე) გააჩინა და იბერია დააარსა. ანზორ კუდბას „ჩრდილს ნუ მომიკლავთ" ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის ტექსტიცაა და მასში ახალი რაკურსითაა დანახული და დახატული საყოველთაოდ ცნობილი ამბებიცა და პერსონაჟებიც. ვფიქრობთ, რომანში ერთი საინტერესო სახეა საბაოთის „ხელდასხმული... განდობილი" – ეშმა-კი, რომელიც სხვადასხვა სახელით გვხვდება: ბელზებელი, ვოლანდი, ლიუციფერი, მეფისტოფელი, სატანა. ის უცილობლად გაგვახსენებს ბულგაკოვისეულ ვოლადს „ოსტატი და მარგარიტადან". ვნახოთ, რას ეუბნება ვოლანდი ლევი მათეს: „რას იზამდა შენი სიკეთე, რომ არ არსებობდეს ბოროტება და რას დაემსგავსებოდა დედამიწა, მისგან რომ გაქრეს ყველა ჩრდილი?" – ეს, რა თქმა უნდა, რიტორიკული კითხვაა, რომელიც კაცობრიობას გაჩენის დღიდან მოსდევს. ბინარული ოპოზიცია: კეთილი და ბოროტი, ნათელი და ბნელი მარადიული თანმდევია ადამიანური არსებობისა და რადგან

ლიტერატურაც – იქნება ის რეალისტური, მოდერნისტული, პოსტმოდერნისტული თუ მომავალში, დავუშვათ, „დიგიმოდერნისტული“ – მაინც ამ ადამიანურ არსებობას უტრიალებს ირგვლივ, ვერც ის აუვლის გვერდს ამ უკვდავ „სიამის ტყუპს“.

დასასრულ, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ მწერლობას აქვს უზარმაზარი ტრადიცია, რაც მთავარია, შესაძლებლობა (ამის უცილო გარანტი „თექვსმეტსაუკუნოვანი მთლიანობა“ – მსოფლიო ლიტერატურის ერთი უმძლავრესი ფრთა – უმდიდრესი ქართული მწერლობაა!) იმისა, რომ სიკეთე-ბოროტების მარადიული ბრძოლის ასახვისას იდგეს იქ, საიდანაც მოდის და სულ ახალ-ახალი ფორმითა თუ თემატიკით, მოულოდნელი, ორიგინალური მხატვრული ხერხებითა თუ სახეებით, იგავმიუწვდენელი დიდოსტატობით შექმნილი შედევრებით ოცდამეერთე საუკუნეშიც კიდევ და კიდევ გააოცოს მკითხველი და ჩაუნერგოს რწმენა იმისა, რომ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ – ამ რწმენის გარეშე ძალიან გაუჭირდება ქართველ ხალხს – „მტრისა და მოყვრის მასპინძლებს, სულით მგოსნებსა და ბედოვლათებს“, ახალი საუკუნე ხომ ახალი, უფრო რთული გამოწვევების წინაშე აყენებს „არც ისე საწყალ და ხელით სატარებ საქართველოს“. ამიტომაც ყველა ქართველმა: მშობლებმა თუ შვილებმა, დიდმა თუ პატარამ, ცოდვილმა თუ უცოდველმა ყურად უნდა ვიღოთ გასული საუკუნის უდიდეს ქართველ შემოქმედთა გაფრთხილებაცა და თხოვნა-მუდარაც: „იყავ გუშინდელზე გონიერი!

ოკუპანტის სახე „არსენა მარაბდელში“

„ქართული ნაციონალიზმი ანუ პატრიოტიზმი მხოლოდ სიძულვილია უცხოტომელებისადმი, რომელთაც დაიპყრეს შენი სახლი, ჩვენი ცოლ-შვილი და ჩვენი ნაშრომი. რუსული ნაციონალიზმი კი აღვირაწყვეტილი სიხარბეა მხეცისა, რომელმაც ათი მეზობლიდან ცხრა შეჭამა და მეათესაც ითხოვს“.

მიხეილ ჯავახიშვილი

„ოკუპანტი“ უცხო სიტყვაა, თუმცა ქართველებს ამ სიტყვის გაგებისთვის უცხო სიტყვათა ლექსიკონებში ჩახედვა ნამდვილად არ გვჭირდება, ისე ორგანულად და საფუძვლიანად შემოიჭრა ის თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში, უფრო მეტი, ხშირად გვეჩვენება, რომ ეს „ოკუპანტი“ ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს რეალობაში. ოკუპანტები ანუ დამპყრობლები არც ერთ ეპოქაში არ კლებია ჩვენს სამშობლოს, შესაბამისად, ხალხის ზეპირსიტყვიერებასა თუ სიტყვაკაზმულ მწერლობაში იხატებოდა მათი სახეები. ერთ-ერთი, ვინც განსაკუთრებული ხელოვნებით, დიდოსტატურად გამოკვეთა ისინი, გენიალური მიხეილ ჯავახიშვილია. ეს პერსონაჟები განსხვავდებიან ერთმანეთისგან, უაღრესად ინდივიდუალური შტრიხებით იხატებიან, მაგრამ, ამავე დროს, აღიქმებიან, როგორც ერთიანი, კოლექტიური სახე დამპყრობლისა.

მიხეილ ჯავახიშვილი – „დროის მაჯისცემას მიყურადებული მწერალი“, ნეორეალიზმის პრინციპებით ხატავდა ეპოქას, როგორც თანამედროვეს – ისე წარსულს. „არსენა მარაბდელი“ ეხება იმ ეპოქას, როცა მფარველის სტატუსით შემოსულმა ერთმორწმუნე რუსეთმა დაარღვია გეორგიე-

ვსკის ტრაქტატის ყველა პუნქტი ანუ „ტრაქტატი დაფხრიწა“ და საქართველოს სახელმწიფომაც არსებობა შეწყვიტა – ის რუსეთის ერთ-ერთ პროვინციად/გუბერნიად იქცა.

დამპყრობელმა მალე გამოიჩინა „მზრუნველობა“ მართლმადიდებელი ქრისტიანი ძმებისადმი და აუტანელი ნაციონალური ჩაგვრის უღელი დაადგა მათ. ჯავახიშვილიც მაღალმხატვრულად ხატავს ამ ჩაგვრისა და უსამართლობის, ხალხის დამონება-გადაგვარების შემზარავ სურათებს, მე-19 საუკუნის 20-30-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, იგავმიუწვდომელი ოსტატობით გამოკვეთს ოკუპანტთა პორტრეტებს.

რა თქმა უნდა, ქართველი ხალხი არ შეგუებია ცარიზმის ამ უსამართლო, თვითნებურ გადაწყვეტილებას: იყო საერთო-სახალხო აჯანყებები (1802-1820 წლები), თავად-აზნაურთა შეთქმულება (1832), მაგრამ შედეგი არც ერთს არ მოჰყოლია, საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ვერ აღიდგინა. რუსეთმა მძლავრად გაიდგა ფესვები კავკასიაში, მათ შორის – საქართველოში. მაგრამ მის მიერ დამყარებული მართვა-გამგეობის სისტემა უცხო იყო ქართველებისთვის. ვერც რჯულის ერთიანობამ აღმოფხვრა უფსკრული ადგილობრივ მოსახლეობასა და ოკუპანტებს შორის, რამეთუ ძალიან დიდი იყო განსხვავება ორი ხალხის კულტურასა და ტრადიციებს, მორალურ ფასეულობებსა და ადათ-წესებს შორის.

განსაკუთრებით ცუდ დღეში გლეხობა ჩავარდა, რომელსაც ორმაგი უღელი დაადგეს: სოციალურ ჩაგვრას ეროვნული დაემატა. დამძიმდა გადასახადები: გაუთავებელი ეგზეკუციები, ათასგვარი ბეგარა, სასურსათო გადასახადები, მოკლედ, როგორც არსენა ამბობს: „მარტო ჰაერიღა ვერ დაბეგრეს“, თორემ სხვა ყველაფერი დაბეგრილი იყო: „გლეხს ქონებრივი ხერხემალი გატეხილი ჰქონდა და წელში გაწყვეტილი ხვლიკივით იკლაკნებოდა... სამართალს ეძებდა და მსაჯულის ენა არ ესმოდა. ქალაქში საქმისთვის მიდიოდა და უცხო მოხელემ მისი ცხოვრებისა არა იცოდა-რა. ბატონთან მივიდოდა საჩივლელად და ისიც მოხელის მხარეზე იყო“.

რუს ოკუპანტებს დაპყრობილი ხალხები მხოლოდ საზარბაზნე ხორცად სჭირდებოდათ. მათ შემოიღეს „სალდათობა“, ეს ნიშნავდა, რომ ქართველ ახალგაზრდებს 25 წელი რუსეთის დროშის ქვეშ უნდა ეღვარათ სისხლი. ბუნებრივია, ეს განსაკუთრებულ უკმაყოფილებას და „ბუნტს“ იწვევდა, რომლის შედეგი ისევ და ისევ აჯანყებულთა სახლ-კარების გადაწვა, დაპატიმრება-გაციმბირება იყო. მიუხედავად ამისა, ქართველები არასოდეს შეგუებიან მონობას: ყოველთვის ეძებდნენ შესაფერის დროს საძულველი ოკუპანტების ქვეყნიდან გასაყრელად, თუმცა ეს არც თუ იოლი საქმე იყო, ამიტომ თავსატეხი და საფიქრალი არ ელეოდათ მათ და ბასილა მაიორის ლექსიკონშიც ყველაზე აქტიური სიტყვები იყო: „ყველა ქართველი მოღალატე და ფიცის გამტეხია... დაიჭირეთ, გაციმბირეთ, დახვრიტეთ, გაროზგეთ, ჩამოახრჩეთ“... – აი, არასრული ჩამონათვალი იმ ხერხებისა, რომელთაც ერთმორწმუნე-მართლმადიდებელი, „მფარველად“ მოვლენილი დამპყრობელი იყენებდა თავისუფლებისმოყვარე, ამაყი ქართველის სულისა და ნებისყოფის გასატეხად, დასათრგუნად. ისინი აბუჩად იგდებდნენ ყველაფერ ქართულს, უფრო მეტი, ქართველებს დედაენაზე საუბრის უფლებასაც არ უტოვებდნენ. ამ მიმართებით საინტერესოა ახალციხის ეპიზოდი, გავიხსენოთ: ახმედ ფაშამ რამდენჯერმე სთხოვა პასკევიჩს – „კანონი რუსული, ენა – ქართული და რჯული – მუსულმანურიო“, მაგრამ კავკასიის მთავარმართებელს საკუთარი ფორმულა ჰქონდა: „რჯული მუსულმანური, ენა და კანონი კი – რუსულიო“ – აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ უტევდა ყველა დამპყრობელი ქართულ ენას, როგორც ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორს. დიახ, მშობლიური ენის დავიწყება ნაციონალობის დავიწყების ტოლფასია. სწორედ ამიტომ მართლმადიდებელი ქრისტიანი მთავარმართებლისთვის რჯულის შეცვლაზე უფრო მნიშვნელოვანი ქართული ენის ამოძირკვა იყო.

მიხეილ ჯავახიშვილის მიერ შექმნილი სახეები აღვირახსნილი, უზნეო ოკუპანტებისა, რომელთათვისაც არაფერი წმინდა არ არსებობს, უაღრესად შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელია. ისტორიული რომანის ფურცლებზე ცოცხლდებიან სულით ხორცამდე მახინჯი ივანიჩები („უშნო, აყლაყუდა, ბილწი, ლოთი, დუჟიანი და წირპლიანი აქლემი“) და არლოვები („თავპირი გაბერილ გოგრას მიუგავდა... წყლისფერი პაწაწინა თვალები საახალწლო ბასილასავით დაეჭყიტა“), პასკევიჩები და ვორონცოვები, საეგზეკუციოდ მოყვანილი ყოვლად გარყვნილი, „ყინულისტვინიანი“ და „ცხელსისხლიანი“ სალდათები, რომელთათვისაც სულ ერთი იყო ყიზილბაში და ქართველი. ისინი პირდაპირ, აშკარად, დაუფარავად აცხადებდნენ: „ჩვენთვის სპარსეთიც და საქართველოც სულ ერთიაო“. „რუსებმა თათრები მოგვაშორეს, მაიორმა კი თვითონაც თათრული წესი მოინდომა“: ფიქრიასა და მარინეს – მოახლეებს – დაადგა თვალი, ამავე დროს, ზაალის ქალიშვილს ეარშიყებოდა. მწერალი კარგად გვიჩვენებს, რომ ოკუპანტი: თათარია თუ ერთმორწმუნე – არა აქვს მნიშვნელობა, დამპყრობელია და ორივე ერთნაირად თელავს ფეხქვეშ დამონებული ხალხის ღირსებასა და პატიოსნებას: მაიორი არლოვი „თრიალეთს შემოესია და ქვას ქვაზე აღარ სტოვებს. ეს ხეობა ყიზილბაშებზე უარესად აიკლო“.

ბასილა მაიორს „სისხლი მუდამ სდევდა“, ის ხშირად უწყობდა ქართველ ხალხს „სისხლიან ნადიმებს“: „კიბეზე მაიორი ამოდიოდა. უკან ამალა მოსდევდა. არლოვი გაბადრული იყო და ისე მოალაჯებდა, თითქოს ბოროდინოს ველზე ნაპოლეონი დაეფრინოს“. ამ მშიშარა კაცს თავი მაკედონელი ჰგონია, როცა უიარაღო, უმწეო გლეხებს დაერევა ხოლმე. ჯავახიშვილი ბრწყინვალედ ხსნის სუსტთან ძლიერის, ხოლო ძლიერთან ქალაჩუნა კაცის – არლოვის ფსიქოლოგიას, რომლისთვისაც ქართული ადათი, ტრადიცია მხოლოდ დაცინვის საგანია, ის ყველა ხერხით ცდილობს ამოძირკვოს ყველაფერი ქართული. არლოვი დიდგულაა, ტრაბახა, ზემოდან დაჰყურებს „ტუზემცებს“ მანამ, სანამ ზურგს უკან მეფის ჯარისკაცები ეგულება, როგორც ვთქვით, ის „ვაჟკაცია“ უიარაღო გლეხების წინაშე, მაგრამ მეფის რუსეთის სახელოვანი ოფიცრის ვაჟკაცობისგან აღარაფერი დარჩა, როცა მარტოდმარტო აღმოჩნდა არსენას წინაშე: „ზაფრანის ფერი ედო, ძლიერ თრთოდა და ლამობდა მძაფრი შიში ნაძალადევ ღიმილში ჩაეხრჩო“.

რუსი ოკუპანტისთვის სულ ერთია თავადი და გლეხი, ის ერთნაირი ზიზღითა და ქედმაღლურად დაჰყურებს მათ. აი, როგორ „ქათინაურს“ აკადრებს ის თავადის ასულ დაროს: „რა ბრძანებაა! გლეხური კაბა კი არა, სულაც რომ არაფერი არ გეცვასთ, მაინც მომეწონებით, ათასწილ უფრო მეტადაც მომეწონებით – მიახალა მაიორმა ეპოქალურ-სალდათური ქათინაური და თავის ცხენივით დაიჭიხვინა“. ამის შემდეგ აღარ გვიკვირს რუსი სალდათების პირუტყვული ქცევა ქვრივი მაგდანას ოჯახში.

არლოვი ყველანაირად ამცირებს ქართველებს: ერთი გლეხი დააჩოქა, გადაჯდა, მეორე გლეხი მაგიდად გამოიყენა და დიდხანს წერა რაღაც. ასე ჰყრიდნენ პატივსა და ღირსებას ქართველ ხალხს რუსი სალდაფონები, რომელთათვის, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ ჰქონდა მნიშვნელობა: მართლმადიდებელი იყო ის, მუსულმანი თუ ებრაელი. უფრო მეტი: არლოვმა ვენახი აჭრა: „ლაშქარას რომ შვილებივით მოვლილი ვაზები დაუხოცეს, ნასყიდას ბაღს შეესივნენ და ოციოდე გულაბისა და თურაშაულის ხე ძირს დასცეს“, ამიტომ ვერ გაუგიათ ქართველებს, როცა რუსი თათარს ეომება, ვისი გამარჯვება ურჩევნიათ, ან ვის მხარეს უნდა დადგნენ: რუსეთის ჯარის, რომლის „დევურმა ბაჯბაჯმა გზაზე უამრავი ბუდე გაჰქელა“, თუ – ოსმალების. მწერლის დასკვნა ცალსახაა: არც ერთის და არც – მეორის. ჯავახიშვილის ისტორიული რომანიდან ერთად ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: არ აქვს მნიშვნელობა დამპყრობლის რწმენას, ეროვნებას, ფერს – ის მოსულია შენი მიწის, ერის, სულის დასაპყრობად, გასანადგურებლად, ყველას მიზანი ერთია: დაპყრობილი ხალხის

სრული ასიმილაცია, ყოველგვარი ეროვნულის ამოძირკვა, ფიზიკურ-მორალური განადგურება. ამიტომ ისმის დიდი გაოცება და აღშფოთება არსენას სიტყვებში, როცა ის რუსეთ-თურქეთის ომის დროს მუსულმან და ქრისტიან ქართველთა დაპირისპირების მომსწრე ხდება ახალციხეში, პასკევიჩის მიერ ქალაქის აღების დროს: „ქართველები მოსისხლე მოზვრებივით შეეჯახნენ ერთმანეთს“... „ქართველები კი – ქრისტიანებიც და მუსულმანებიც – ან ღმერთმა გაატუტუცა, ან რუსები და თათრები ძალით აჟლეტინებენ ერთმანეთს“.

ხომ გვეზიზღება არლოვები (ბოროტი და გაიძვერა, უზნეო და უპრინციპო), ივანიჩები (გონებაჩლუნგი, სასტიკი სალდაფონები), მაგრამ კიდევ უფრო საზიზღარი გადაგვარებული ქართველები არიან, აი, ისეთი დეგრადირებული ვაი-ქართველები, მიხეილ ჯავახიშვილი რომ ხატავს „არსენა მარაბდელში“, მაგალითად, დავით ბარათაშვილი, რომელსაც „თავისი ქვეყნისა თითქმის არა გაუგიარა, რადგან რუსულ სკოლაშია აღზრდილი და იქ კი ქართულს მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიან“.

მიხეილ ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს: ქვეყნის უბედურების ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ დამპყრობელთა გვერდით მუდამ იდგნენ მოღალატე ქართველი თავადები, ვინც ჩინმედლებზე, ფულზე, თანამდებობაზე ყიდდნენ სინდის-ნამუსსა და საკუთარ მოძმეს. არლოვი ვერაფერს გახდებოდა, გვერდით ზაალ ბარათაშვილი და მისი ოჯახი რომ არ ჰყოლოდა: „ყველამ იცოდა, რომ ზაალს დღევანდელ საქმეში ხელი იღლიამდე ჰქონდა ჩაფლული“: „არც ერთი მთავარმართებელი არ ყოფილა, რომ ბარათაანთ სამივე თაობის მკერდზე, ვითარცა კანკელზე, ჯვარი ან ვარსკვლავი არ ჩამოეკიდნა. ყველამ ღირსეული საჩუქარი მიიღო, რადგან სამთავე მკერდის ქვეშ ახალი ტახტისა და ახალი სამშობლოსადმი მართალი გული ჰფეთქავდა“ – რამდენი ირონიაა ამ სიტყვებში, ეპითეტში „ახალი“ – გეგონება, სამშობლო ჩოხა ან ქულაჯა იყოს, ახალი შეიძინო!

ვნახოთ, როგორ ემადლიერება ზაალ ბარათაშვილი ოკუპანტებს: „რუსის მადლი აუწერელია, ვეჟო..., დარაგოი მაიორუ, უთქვენოდ ეს ტეტიები აღა მაჰმად ხანზე უარეს დღეს დაგვაყრიდნენ“. ეს სიტყვები ეკუთვნის კაცს, რომელსაც, გურამ გვერდწითელის სამართლიანი დაკვირვებით, „გულისყური დახშული აქვს ეროვნული გრძნობისთვის“. ზაალ ბარათაშვილის ხასიათის გასაგებად უმნიშვნელოვანესია რომანის ექსპოზიცია, რამეთუ ბედის ირონიით „მოწინავე დროშის“ მფლობელი სწორედ ეს მედროვე თავადია. მას სადროშო რუსებმა გაუუქმეს, თუმცა „ალამი ახლაც ზაალს ეკუთვნის და იგი ნარგიზების ფორზე, აგერ იქ, კარვის თავზე ფრიალებს“. ბუნებრივია, ასეთი სულგაყიდული თავადები ვერ და არ დაიცავდნენ ქართულ დროშასა და ქართველი კაცის ღირსებას: „მაიორმა ცხენი დასძრა და დროშას ხელი მიატანა. ცალთვალა ღვთისავარმა დროშა უკან გადასწია, მეორე ხელი კი ბასილას ცხენს ჩასჭიდა აღვირში და ბატონებს გადაჰხედა. მედროშეს კორძიანი ხელი და ჭაღარით მოსილი ულვაშები ოდნავ უთრთოდა. გრიგოლ ორბელიანს ზაფრანის ფერი ედო. დავით ბარათაშვილს თავი ჩაექინდრა. მარშალი ალექსანდრე გაშეშებული იდგა. კნეინები განაბულიყვნენ, დროშის მოლარეს ზაალს კი პირი დაეღო და ხმა დაეკარგა.

არსენა მაიორს საწადელს მიუხვდა. პირისახეზე მწვავე ალმურმა აჰკრა და თავში აუვარდა... არსენამ უცებ დეზი ჰკრა ლურჯას, დროშაზე მიაგდო, თავის მამას ალამი ასტაცა და ბასილას თვალი თვალში გაუყარა...“.

ასე დაიცვა არსენა ოძელაშვილმა დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლო – დროშა, რომელიც ლამის ნახევარი საუკუნის მანძილზე ვაჟკაცურად აფრიალა ბრძოლის ველზე არსენას მამა-პაპამ.

რუსი ოკუპანტების წინაშე თავდახრილ-დამუნჯებულ თავადთა შემყურე არსენას სავსებით ლოგიკურად უჩნდება კითხვაცა და პრეტენზიაც: „რა ღმერთი გაუწყრათ ამ წყეულებს!... რამ დააჭიავა, რამ მოადუნა, ვინ გამოჰფიტა და ვინ დააძაბუნა?! თუ დაბერდნენ და გადაშენდნენ, დროა განზე გადგნენ და გზა დაგვითმონ“.

მიხეილ ჯავახიშვილი დაუნდობელია ასეთ ქართველთა მიმართ, ამიტომაცაა, რომ რუსი კაპიტანი ლომოვი ბევრად სიმპათიურად გამოიყურება, ვიდრე ბარათაშვილის ნაბიჭვარი გიგოლა – მახინჯი ჯაშუში, ან მუხანათი, მშიშარა, ვერაგი და გაუტანელი გიორგი კუჭატნელი, ზნეობის, პატიოსნების, ღირსების რომ აღარაფერი შერჩენია, საკუთარ ხალხს რომ დაპირისპირებია და მხოლოდ პირადი გამორჩენის პრინციპით მოქმედებს; ფარსადან ბოდბისხეველი, რომელიც არც ნათელმირონობას დაგიდევს, არც – ქართულ ტრადიციას და არც – მადლიერების გრძნობა გააჩნია, ალბათ, ამიტომ შენიშნავს მიხეილ ჯავახიშვილი: „გარუსებულს რუსი სჯობიაო“.

სამწუხაროდ, ქართველ ხალხში ბლომად იყვნენ არა მარტო მოღალატენი, არამედ „სულერთიებიც“ (რაც არანაკლები უბედურებაა ქვეყნისთვის!) – დათუნა ბარნაველის მსგავსი უხერხემლო, უნებისყოფო, არაფრისმაქნისი ადამიანები, რომლებსაც არავის და არაფრის დაცვის თავი არ ჰქონდათ: „ვის ვეომო, ზაალს თუ რუსის ჯარსო“ – ფიქრობდა დათუნა და ბრძოლის ვერანაირ მიზეზსა და მოტივს ვერ ხედავდა თეიმურაზ ხევისთავის ეს უშუალო წინაპარი.

ნიშანდობლივია, რომ მიხეილ ჯავახიშვილმა, რომელიც მუდამ იყო ბოლშევიკური კრიტიკის აქტიური სამიზნე, როგორც „ნაკაცართა“ სახეებისა და მათი ცხოვრების მხატვარი, რომელიც „ლოგიკურად, აუცილებლად ვარდება თანამედროვეობასთან მტრული განწყობილების მორევში“, ვერც „არსენა მარაბდელით“ დააღწია თავი „კრიტიკაჟანდარმის“ დევნას: რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ამჟამად მას, ზაალ და დავით ბარათაშვილების და სუმბათაშვილის სახეების შემქმნელს, თავადობის იდეალიზაცია დასდეს ბრალად, შენიშნეს, რომ „არსენა“ არის „ნაციონალისტური ნაწარმოები“ (პლატონ ჩხიკვაძე) და რომ მწერალი „არ სდგას ჩვენს მსოფლმხედველობაზე“ (კარლო მელაძე), რა თქმა უნდა, ეს, მართლაც, ასე იყო და, მადლობა ღმერთს, რომ ასე იყო: ყველა დიდი ქართველი მწერალი ხომ ეროვნული მწერალიცაა, შესაბამისად, ნებისმიერი ანტიეროვნული ძალის მტერი, მის წინააღმდეგ დაუნდობელი მებრძოლი. ასეთი იყო დიდი მიხეილ ჯავახიშვილი, სწორედ ამ უთანასწორო ბრძოლას ანტიქართული სისტემის წინააღმდეგ შეეწირა შემოქმედებითი იდეებით, გეგმებითა და სიცოცხლით სავსე ხელოვანი, ხალხის „ბედნიერი, თავისუფალი“ მომავლისათვის მებრძოლმა ოკუპანტებმა წამებით ამოხადეს სული პატრიოტ მწერალს. ეს ბასილა მაიორის შთამომავლებმა ჩაიდინეს, იმ ბასილასი, რომელმაც ძმას ძმა (სულხანს – როსტია) დაახვრეტინა. აი, როგორია მისი „ფილოსოფია“: „მერე რა, რომ ძმა იყო! რაკი ბრძანება მიიღო, ძმა კი არა, თავისი ცოლ-შვილიც უნდა დაეხოცნა და დედ-მამაც“, სწორედ ამ „ფილოსოფიის“ ლოგიკური გაგრძელებაა საუკუნის შემდეგ თქმული: „მე მამას მოვკლავ, დავახრჩობ დედას, რევოლუციამ თუკი მიბრძანა“ და პავლიკ მოროზოვები, არზაყან ზვამბაიები და სხვები და სხვები...

რევოლუციის სახელით მამისმკვლელობის მქადაგებელ ბოლშევიკ-კრიტიკოსებს, რა თქმა უნდა, არ მოეწონათ არსენას „უსისხლო სახელიც“, ის, რომ „არსენამ დიდი ზნეობრივი ძალის მეოხებით მოიპოვა სახელი, მას სისხლით არ მოუპოვებია ვაჟკაცობა“. არსენასა და მის თანამებრძოლთა ზნეობრივი ღირსებების, სულიერი კეთილშობილების, ლმობიერების, სულგრძელობის, ჰუმანურობის ფონზე კიდევ უფრო ამაზრზენია ოკუპანტთა და მათ ქართველ ყურმოჭრილ მონათა, სულგაყიდულთა ამორალურობა, სისხლისმსმელობა, სისასტიკე, არაადამიანურობა და უღირსებობა, თუნდაც იმავე ზაალ ბარათაშვილისა, რომელიც აღფრთოვანებულია რუსი მთავარმართებლის, ვორონცოვის, ქართველთა გარუსებისკენ მიმართული პოლიტიკით: „შვილებსავით გვივლის და აშკარად ამბობს, ჩემი საზრუნავი ის არის, რომ აქაური ხალხი და რუსი ერთმანეთში ავრიოთო... ამაზე მეტი რაღა გინდათ, ვეჟო!“.

ასეთივე – რუსზე უფრო მეტი რუსები იყვნენ ქართველი კომუნისტებიც. აი, რას ქადაგებდა მარიამ ორახელაშვილი 1925 წელს ქართველ მწერალთა ყრილობაზე: „სხვა ენები მოვსპოთ და რუ-

სულის სწავლა გავაძლიეროთო... მეფის მოხელეებს ამაზე მეტი არაფერი უთქვამთ“. აქვე მისთვის ჩვეული პირუთვნელობით, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით მოღვაწე შემოქმედი წერს: „რუსულ-ქართულის გათანასწორებას მკაცრი შედეგი მოჰყვა, მაგრამ არავის აქვს უფლება, სხვას უსაყვედუროს გარუსება. ყველანი ნებაყოფლობით ვრუსდებით“.

1921 წლის 25 თებერვალს ცარისტული, თეთრი რუსეთი ბოლშევიკურმა, წითელმა რუსეთმა შეცვალა, მეფის რუსეთის გუბერნია სსრკ-ს ერთ-ერთ რესპუბლიკად გადაკეთდა, მაგრამ არ შეცვლილა რუსული შოვინისტური სული და მისი დამოკიდებულება დაპყრობილი ხალხისადმი, მისი დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნულის წინააღმდეგ, ამიტომაც გაჩნდა მიხეილ ჯავახიშვილის „უბის წიგნაკში“ ასეთი ჩანაწერი: „25 თებერვალს მე ვიგრძენი, თუ როგორ შემოვიდა ტანში მჭრელი მახვილი, რომელიც მას აქეთ დღითი-დღე უფრო ღრმად მერჭობა. გაფითრებული ვარ და ტანში მუდმივად ჟრჟოლა მივლის. ეხლა სატევრის წვერი ზედ გულზე მაქვს დაბჯენილი და ვგრძნობ, ოდნავ რომ შევინძრე, ჩამესობა და ისე გამათავებს, რომ გმინვის ამოღებასაც ვეღარ მოვასწრებ“ – ეს 1930 წლის ჩანაწერია, ილიას გზის გამგრძელებელ გენიალურ მწერალს სულ რაღაც შვიდ წელიწადში ამოხადეს სული „უფროსი ძმის“ სახელით მოსულმა ოკუპანტებმა. ეს ლოგიკური დასასრული იყო დიდი მამულიშვილის სიცოცხლისა, რომელიც ასე აფასებდა ბოლშევიკების ბატონობის პერიოდს: „მთელი საქართველო ფსიქიატრიულ საავადმყოფოდ გადაიქცა, სადაც ექიმი სამკურნალოდ არ სჩანს“.

ველიკოდერჟავული იდეით, ველიკორუსული შოვინიზმით შეპყრობილი ხალხის ფსიქოლოგიის ბრწყინვალე მცოდნე მიხეილ ჯავახიშვილი რუსი ოკუპანტების შესახებ წერდა: „ბოლშევიზმი უმწიკვლო და უზადო სარკეა რუსი ხალხის. იგი მისი შვილიც არის, დედაც, შობილიც, მშობელიც, ორივ ერთია, განუყრელია. ვინც ეს ჭეშმარიტება გაიგო, მან ყოველივე გაიგო. დროა, გათავდეს უყალბესი ზღაპარი, ვითომ ხალხი სხვა იყოს, ბოლშევიზმი კი რაღაც – განყენებული, ციდან ჩამოვარდნილი რისხვა“. მართლაც, რუსეთი თეთრი იყო – ცარისტული, წითელი – კომუნისტური, ფერადი – კაპიტალისტური თუ სხვა, მისი არსი ერთია: ის ზესახელმწიფოდ თვლის თავს, მისი დესპოტური, „ველიკოდერჟავული“ სული არ იცვლება, რაც მთავარია, ამ სულით ერთნაირადაა გამსჭვალული როგორც რუსეთის უშორეს პროვინციაში მცხოვრები „მუჟიკი“, „სალდათი“, ისე უგანათლებულესი მწერალი თუ მეცნიერი – „ერთფერი, მოლიპული და გარანდული რუსი ხალხი“ – ეს „ველიკორუსული შოვინიზ-მით შეპყრობილი მონა“ კი, როგორც სამართლიანად შენიშნავს აკაკი ბაქრაძე, რუსულმა კულტურამ შექმნა.

მართალია, დიდი მწერალი ვერ მოესწრო, მაგრამ ორთავიანი არწივის ბრჭყალები დამოუკიდებელ საქართველოსაც მოსწვდა და მისი ტერიტორიის ორი მესამედი დღისით, მზისით „აღშფოთებულ-შეშფოთებული“ მსოფლიოს თვალწინ მიითვისა.

როგორც ვნახეთ, „არსენა მარაბდელში“, მიუხედავად მისი ისტორიულობისა, მძლავრად ფეთქავს მწერლის თანამედროვეობა, აშკარად იკითხება უმწვავესი სოციალურ-პოლიტიკური, ეროვნული პრობლემები, იხატება ჩვენი მარადიული ოკუპანტის კრებითი სახე – ერთგვარი მრავალთავიანი უჩხული თუ ორთავიანი არწივი, ბასრი კლანჭებით რომ ჩასჭიდებია კავკასიონსა და, მათ შორის, ჩვენს მშვენიერ სამშობლოსაც. სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია მწერლის მიერ ლამის საუკუნის წინ ნათქვამი სიტყვები: „ორთავიან არწივს კავკასია ათასი კლანჭით ეჭირა“.

ნოდარ ბარამიძე

გამოჩენილი მეცნიერი და მოღვაწე

ქართული ფილოსოფიური სკოლის აღიარებულ წარმომადგენელს, გამოჩენილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს – პროფესორ მიხეილ მახარაძეს 2021 წლის 13 ნოემბერს უსრულდება საიუბილეო თარიღი, დაბადებიდან 75 წელი.

ბევრი ცნობილი მეცნიერისგან განსხვავებით, მ. მახარაძემ თავიდანვე მიიქცია საზოგადოების ყურადღება თავისი მრავალმხრივი და ნაყოფიერი შემოქმედებით, რის დასტურიცაა მისი 32 წიგნი (სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომები, ლიტერატურული და პუბლიცისტური კრებულები, თარგმანები), მათ შორის 11 მონოგრაფია, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ათეულობით კრიტიკული სტატია და რეცენზია, 500-მდე პუბლიცისტური წერილი და სხვ. ეს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი მონაგარი სწორედ რომ ამშვენებს ღვაწლმოსილი შემოქმედის საიუბილეო თარიღს.

მ. მახარაძე დაიბადა 1946 წლის 13 ნოემბერს ხულოს რაიონის სოფელ ფაჩხაში. მამა – პედაგოგი ქაზიმ მახარაძე გარდაიცვალა ძალიან ადრე – 24 წლის ასაკში. მაშინ მიხეილი 3 წლისაც არ იყო. მამაზე უმცროსი, სრულიად ახალგაზრდა დაქვრივებული დედა ოჯახის თანხმობით და ხელშეწყობითაც მეორედ გათხოვდა. მიხეილი იზრდებოდა ბებიისა და ბაბუის მზრუნველობის ქვეშ. ამასთან, მისი ნამდვილი ბებია ადრე იყო გარდაცვლილი და მიხეილი ფაქტობრივად აღიზარდა ბებიანაცვლის ხელში. მიუხედავად ობლობისა და ასეთი ბავშვობისა, მიხეილის სახით აღიზარდა და ჩამოყალიბდა არა მარტო თავისი ოჯახისა და გვარისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის გამორჩეული პიროვნება.

მ. მახარაძემ 1961 წელს დაამთავრა ფაჩხის 8-წლიანი სკოლა, ხოლო 1964 წელს – ყინჩაურის საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფილოსოფიის სპეციალობით. 1979 წელს დაამთავრა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გერმანული ენის განხრით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მ. მახარაძემ მუშაობა დაიწყო ფილოსოფიის ინსტიტუტში, სადაც გამოიკვეთა მისი მომავალი კვლევა-ძიების სფერო: შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიის ისტორია, მეცნიერ-ხელმძღვანელი – პროფ. შალვა ხიდაშელი. მუშაობის პროცესში დაზუსტდა საკვალიფიკაციო თემა – „პირველმიზეზის

პრობლემა ნეოპლატონიზმსა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში“, რომელიც დაიცვა 1978 წელს.

საკანდიდატო დისერტაციასა და იოანე პეტრიწზე გამოქვეყნებულ შრომებში მან აჩვენა პეტრიწის ფილოსოფიის ორიგინალურობა ტრიადის საკითხში, კერძოდ:

1) პეტრიწის აზრით, პირველმიზეზისადმი (ღმერთისადმი) უსახო და უგვანო მატერიის მისწრაფება ხდება იმის საფუძველზე, რომ მატერია ყოველთვის იგივეობრივია თავისთავთან, ერთია და ღმერთს, როგორც ერთს ამით ემსგავსება.

2) ნეოპლატონიზმში არ ჩანს ღმერთში არსებათა უკუდაბრუნების აუცილებლობა (დუალიზმის საფრთხე). პეტრიწთან ყველა არსებას გააჩნია ღმერთში დაბრუნების ჩაუქრობელი სურვილი, რომელიც ღმერთისგან აქვთ მიღებული.

3) პეტრიწის აზრით, ღმერთი როგორც უმაღლესი სრულყოფილება, შეუძლებელია წარმოიშვას მისი შედეგებიდან – ნაკლებ სრულყოფილიდან. ახალ დროში, დეკარტთან ეს აზრი ღმერთის არსებობის დასაბუთების არგუმენტს ედება საფუძვლად.

შემდეგ მ. მახარაძე მთლიანად გადაერთო ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული ნეოპლატონიზმის – არეოპაგიტიკის კვლევებზე. რა თქმა უნდა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მოძღვრებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ შუა საუკუნეების ქართული კულტურისთვის (შ. ნუცუბიძე, შ. ხიდაშელი). საბოლოოდ ამ კვლევების შედეგები აისახა მის სადოქტორო დისერტაციაში – „არეოპაგიტიკის ფილოსოფიური შინაარსი“, რომელიც დაიცვა 1989 წელს (ის პირველი მეცნიერებათა დოქტორია ხულოს რაიონიდან). სათანადო გადამუშავების შემდეგ სადოქტორო დისერტაცია მონოგრაფიის სახით გამოიცა 1991 წელს, რუსულ ენაზე.

აკად. შალვა ხიდაშელის გარდაცვალების შემდეგ, მ. მახარაძე 1994-2006 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილებას. ფილოსოფიის ინსტიტუტის რეორგანიზაციის შემდეგ, 2007-2010 წლებში იყო ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და ჟურნალ „მაცნეს“ ფილოსოფიის სერიის მთავარი რედაქტორი. არის საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი.

1992-2006 წლებში მ. მახარაძე იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი. 2000-2006 წლებში ამავე უნივერსიტეტის პროფესორი. სამი ათეული წლის განმავლობაში მ. მახარაძე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და დედაქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

2013 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ხელმძღვანელობს ფილოსოფიის პროგრამულ მიმართულებას. იყო და არის არაერთი ასპირანტისა და დოქტორანტის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

მ. მახარაძე აგრძელებს ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომლის ძირითადი მიმართულებებია: ქართული ფილოსოფიის ისტორია, ქართული რენესანსის პრობლემები, რენესანსისა და ჰუმანიზმის საკითხები, შუა საუკუნეების ფილოსოფია, კულტურის ფილოსოფია.

გამოვყოთ ამ კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები არეოპაგიტიკასთან მიმართებით:

1) არეოპაგიტიკის ფილოსოფიური წყაროების ძიებისას, მ. მახარაძე განიხილავს პლატონის, პლოტინესა და პროკლეს ფილოსოფიას. ქართულ მეცნიერებაში არეოპაგიტიკის ფილოსოფიურ წყაროდ ძირითადად პროკლეს ფილოსოფია მოიაზრებოდა. ამ მიმართებით მან არანაკლები მნიშვნელობა მიანიჭა პლოტინეს ფილოსოფიას, განსაკუთრებით ღმერთის მისტიკურ ჭვრეტაში, აგრეთვე, პლოტინესა და არეოპაგიტული მისტიციზმის ფილოსოფიურ-ინტელექტუალურ ხასიათს და სხვ. ყველაფერი ამის საფუძველზე კი მ. მახარაძე მივიდა იმ და-

სკვნამდე, რომ ხშირად პროკლესა და არეოპაგიტული მოძღვრების მსგავსება ერთი წყაროს – პლოტინეს ფილოსოფიით სარგებლობის შედეგია.

2) არეოპაგიტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ღმერთის დადებითმა (კატაფატიკა) და უარყოფითმა (აპოფატიკა) დახასიათებამ. ამ საკითხის შესწავლის საფუძველზე გაირკვა, რომ კატაფატიკა და აპოფატიკა, როგორც ცოდნის მეთოდები ერთმანეთს არ უპირისპირდება (განსხვავებით ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებისა) და ღმერთის მისტიკური ჭვრეტის საფეხურზე გადასვლა ხდება ცოდნის მეთოდების უძლურობის გამო და იგი ემყარება ღმერთის აბსოლუტურ ნეგაციას.

3) სიკეთის აბსოლუტურობისა და ბოროტების არასუბსტანციურობის თვალსაზრისი გვხვდება პლატონის ფილოსოფიაში. არის, აგრეთვე, პლოტინესთან, პროკლესთან, კაპადოკიელებთან (ბასილი დიდი) და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არეოპაგიტიკაში. მხოლოდ არეოპაგიტიკაშია ბოროტება ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული (მაგ., პლატონთან, პლოტინესთან ბოროტება აუცილებელია სიკეთის გამოსამჟღავნებლად).

მ. მახარაძემ სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ მუშაობა გააგრძელა არეოპაგიტულ გავლენებზე, რომელიც მოიცავს როგორც ფილოსოფიას, ისე ღვთისმეტყველებას. მათი ნაწილი გამოქვეყნდა მონოგრაფიაში – „ძიებანი ქრისტიანული ფილოსოფიის ისტორიაში“ (1999).

არეოპაგიტიკის პრობლემებზე მუშაობისას მ. მახარაძემ არაერთი სტატია მიუძღვნა ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორიას ფსევდო-დიონისე არეოპაგელის და პეტრე იბერის იდენტობაზე, სადაც მან ორ პუნქტში განავითარა ეს თეორია, კერძოდ:

1. რამდენად ჩაითვლება ქართულად არეოპაგიტიკა, თუნდაც მისი ავტორი იყოს ქართველი.

2. რამდენად მნიშვნელოვანია არეოპაგიტიკა ჩვენთვის, თუკი მისი ავტორი არ იქნება პეტრე იბერი.

ამ საკითხზე მ. მახარაძემ კრიტიკული სტატიაც გამოაქვეყნა სომეხი მეცნიერის აკად. ს. არევშატიანის წინააღმდეგ, რომელიც არეოპაგიტიკის ავტორად მიიჩნევდა დავით ანაჰლთს.

საბოლოოდ არეოპაგიტიკის ირგვლივ მ. მახარაძის კვლევები შეჯამდა მონოგრაფიაში – „არეოპაგიტიკა“ (თბილისი, 2011).

როგორც ცნობილია, აღმოსავლური და ქართული რენესანსის თეორიები საბჭოურ სააზროვნო სივრცეში შ. ნუცუბიძემ შემოიტანა, რომელიც შემდეგ შ. ხიდაშელმა განავითარა.

მ. მახარაძემ გააგრძელა მათი დაწყებული საქმე და თავისი სიტყვა თქვა აღნიშნულთან მიმართებით. კერძოდ, სათანადო დასაბუთებით აჩვენა – თუ რის საფუძველზე შეიძლება იყოს ნეოპლატონიზმი რენესანსის მსოფლმხედველობრივი საფუძველი. ამის გარდა, ყურადღება მიაქცია ქრისტიანული მსოფლმხედველობის მნიშვნელობას რენესანსისთვის, რითაც მისი პოზიცია განსხვავდება მასწავლებლების პოზიციებისგან.

რენესანსის და ჰუმანიზმის პრობლემებზე კვლევა-ძიებების შედეგები გადმოცემულია მონოგრაფიებში – „რენესანსი, ჰუმანიზმი და XI-XII საუკუნეების საქართველო“ (თბ., 2003) და „რენესანსი, ჰუმანიზმი და ქართული რენესანსის საკითხები” (ბათუმი, 2009). ამ გამოკვლევებში ის ემყარება და მაქსიმალურად ითვალისწინებს განსახილველი პრობლემების აღიარებული ქართველი და უცხოელი მკვლევრების შეხედულებებს და ამასთან, გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს. ამ ნაშრომებში, ქართულ მეცნიერებაში პირველად, ერთ მთლიანობაშია განხილული რენესანსის, ჰუმანიზმისა და ქართული რენესანსის საკითხები; შეჯამებულია ამ საკითხებზე არსებული თვალსაზრისები, სრულყოფილადაა შესწავლილი და წარმოდგენილი ქართული, რუსული და უცხოური გამოკვლევები, საფუძვლიანადაა გამოკვლეული რენესანსისა და ჰუმანიზმის ფილოსოფიური საფუძვლები და გარკვეულია მათი, როგორც ცნებების შინაარსები და ურთიერთმიმართების ხასიათი. ეს

კი ნამდვილად არის ახალი სიტყვა რენესანსის პრობლემების კვლევაში საქართველოში.

ყველაფერი რაც გაუკეთებია მ. მახარაძეს ანტიკურ ფილოსოფიაში, ნეოპლატონიზმსა და არეოპაგიტიკაში საბოლოოდ ემსახურებოდა ქართული ფილოსოფიისა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხების შესწავლას. ამ მიზნით დაწერა მან გამოკვლევები პეტრე იბერზე, იოანე პეტრიწზე, აბუსერისძე ტბელზე, ჟამთააღმწერელზე, XIII-XVIII და XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიის თავისებურებებზე, ს. დოდაშვილზე, გ. ქიქოძეზე, ი. გოგებაშვილზე, ნ. მარზე, ივ. ჯავახიშვილზე, შ. ნუცუბიძეზე, მ. გოგიბერიძეზე, კ. ბაქრაძეზე, ს. წერეთელზე, შ. ხიდაშელზე ზ. კაკაბაძეზე, მ. მამარდაშვილზე, ა. ვაჩეიშვილზე, ო. ჯიოთიზე, გ. თევზაძეზე და სხვ. მთლიანობაში ეს შეადგენს 40-მდე ავტორზე გამოქვეყნებულ 60-ზე მეტ სამეცნიერო სტატიას თუ წერილს, რომლებშიც ახალი კუთხითაა წარმოჩენილი ბევრი მათგანის შემოქმედება. მსგავსი რამ ჩვენს სინამდვილეში ძნელად მოსაძებნია.

აღსანიშნავია, რომ მ. მახარაძის მრავალმხრივი შემოქმედებითი მუშაობის ერთი ეტაპის ღირსეული შეფასება და თავისებური შეჯამებაც იყო მისი 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული „ფილოსოფია და თანამედროვეობა“ (გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007), რომელშიც შესულია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსების ნაშრომები. კრებულში ასახულია სავლე წერეთელის ფილოსოფიის ინსტიტუტში გამართული საიუბილეო სამეცნიერო კონფერენციის მასალებიც. აქვე წარმოდგენილია სტატიები, რომლებშიც საუბარია იუბილარის პიროვნულ თვისებებზე, მის სამეცნიერო, პუბლიცისტურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე.

ქართულ ფილოსოფიაში მ. მახარაძის მთავარ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადება და გამოცემა (1996-2010 წწ.), რომელიც **2011 წელს აღინიშნა ეროვნული პრემიით მეცნიერების დარგში.** 2013 წელს კი მისივე იდეითა და რედაქტორობით განხორციელდა ოთხტომეულის მეორე შევსებული გამოცემა. ბათუმელთა საამაყოდ უნდა აღინიშნოს, რომ პირველი გამოცემის ორი ტომი ბათუმშია გამოცემული, ხოლო მე-2 გამოცემას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გრიფი ადევს.

გავა წლები, ათწლეულები და შალვა ნუცუბიძის გამონათქვამის პარაფრაზირება რომ მოვახდინოთ, ამიერიდან „მცდელობის მიუხედავად, ხელიდან ვერავინ გაგვაგდებინებს“ ჩვენი ფილოსოფიური აზროვნების თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორიის ნიმუშებს, რომლებიც ქრონოლოგიურად დალაგებულია, ლოგიკურად შეკრულია და წარმოდგენილია ოთხი მშვენიერი ტომის სახით.

1993 წლიდან მ. მახარაძე საქართველოს მწერალთა კავშირის წევრია. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო-პოპულარული, პუბლიცისტური, ლიტერატურული და მხატვრული კრებულები: „წერილები ქართულ ფილოსოფიაზე“ (1988), „გამხელილი ფიქრები“ (1988), „სუსხიანი ბარათები“ (1992), „სხალთის ზარები“ (1996), „ინტელიგენცია და პოლიტიკა“ (1997), „სხალთის ზარების ექო“ (1998), „ფილოსოფია მოზარდთათვის“, რომელიც გამოიცა ოთხჯერ (2001, 2002, 2003, 2020), „ავანტიურა აჭარის სახელით“ (2004, რომელსაც ამავე წელს მიენიჭა **სახელმწიფო პრემია ლიტერატურაში**), „ფილოსოფია, პოლიტიკა, მცირე პროზა“ (2005). **ეს უკანასკნელი აღინიშნა ნუცუბიძის პრემიით** (2009), „მერიემი“ (2020).

მას ეკუთვნის წერილები შოთა რუსთაველის, დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ფრიდონ ხალვაშის, ზურაბ გორგილაძის, ჯემალ ქათამაძის და გამოჩენილი უცხოელი მწერლების – თომას მანის, ჰალდუნ თანერისა და მაქს ფრიშის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებზე.

მ. მახარაძე ავტორია, აგრეთვე, ნაშრომებისა – „ფილოსოფიური ეტიუდები“ (2015), „ძიება-

ნი ქართული ფილოსოფიის თემებზე“ (2015) და „თანამედროვე ქართული ფილოსოფია. ნარკვევები“ (2020).

სულ ახლახან გამოვიდა მ. მახარაძის წიგნი აკად. შალვა ხიდაშელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. მასში ნაჩვენებია აღიარებული შემოქმედის ღვაწლი ქართული მეცნიერებისა და კულტურის წინაშე. აქვე მადლიერი მოწაფის მიერ წარმოჩენილია ძვირფასი მასწავლებლის პიროვნების დამახასიათებელი ნიშნები, მისი საინტერესო პორტრეტი, მისი სიმართლე, პატიოსნება და კეთილშობილება.

მ. მახარაძის ქართულ ენაზე გამოცემული ნაშრომები ქართულ ფილოსოფიასა და არეოპაგიტიკაზე ინახება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკაში, კოლუმბიისა და ჰიუსტონის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში.

მისი სამეცნიერო ნაშრომები მშობლიური ქართულის გარდა, გამოქვეყნებულია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და უკრაინულ ენებზე. მათ შორის ისეთ პრესტიჟულ გამოცემაში, როგორიცაა სამსაუკუნოვანი – „ბრილი“ (აშშ) (2002 და 2014) და, აგრეთვე, ნიუ-იორკის ერთ-ერთ პრესტიჟულ გამოცემაში.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მ. მახარაძე ჩართული იყო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აჭარაში მიმდინარე მოვლენებს, რელიგიის საკითხებს, პროვინციული აზროვნების ცალკეულ გამოვლინებებს, რასაც მიეძღვნა მისი უამრავი სტატია და წერილი, რომლებიც პერიოდულად გამოიცემოდა შემდეგ ზემოაღნიშნულ პუბლიცისტურ კრებულებში. სიტყვით და საქმით იგი ყოველთვის ფხიზლად იდგა და დგას ზოგადქართული ღირებულებების დაცვის სადარაჯოზე.

ბოლო წლებში მ. მახარაძე იკვლევს თანამედროვე ქართული ფილოსოფიის საკითხებს და გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულ ფილოსოფიაში დამკვიდრებულ ერთ მთავარ ტენდენციას ის უწოდებს, როგორც – „ფილოსოფიის მოშინაურებას საბჭოთა საქართველოში“. აქ, მას მხედველობაში აქვს ამ პერიოდში საქართველოში ფილოსოფიის არამარქსისტული დარგების – აქსიოლოგიის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიისა და კულტურის ფილოსოფიის დამკვიდრება. ამ საკითხებზე მან გამოაქვეყნა რამდენიმე სტატია, რომლებიც შევიდა მის წიგნში – „ფილოსოფიური ეტიუდები“ (ბათუმი, 2015).

ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია მ. მახარაძის წვლილი ისეთ სერიოზულ გამოცემაში, როგორიცაა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა“ (2007-2014 წლები, 4 ტომად). ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ გამოსაცემად გამზადებული ოთხტომეული გაუგებარი მიზეზების გამო 12 წელი თაროზე იყო შემოდებული. მისი გამოცემა განხორციელდა ბატონ მიხეილის ინიციატივით. მისივე ძალისხმევის შედეგია სათაური და მანვე აქტიური მონაწილეობა მიიღო მეოთხე ტომის რედაქტირებაში.

ეს და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საქმე გააკეთა მან სახელმწიფო სამსახურში ყოფნის პერიოდში: მ. მახარაძე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე – 2004-2008 (პირველი მოწვევა) და 2008-2012 წლები (მეორე მოწვევა). იგი იყო საქართველოს V და VIII მოწვევის პარლამენტის წევრიც (2012-2016 წლები). მან ნათლად აჩვენა, რომ საქვეყნო საქმეების კეთება, კეთილი ნების შემთხვევაში, ყოველთვის და ყველა პოზიციიდან შეიძლება. მიხეილ მახარაძე საკუთარ სინდისთან არასოდეს წასულა კომპრომისზე. ასეა პოლიტიკაშიც, ცხოვრებაშიც და მეცნიერებაშიც. ერთი დამახასიათებელი მაგალითი მეცნიერების სფეროდან:

ადრინდელ გამოკვლევებში მ. მახარაძე თითქმის უსიტყვოდ იზიარებდა ქართული რენესანსის ნუცუბიძისეულ კონცეფციას. ახლა შედარებით ფრთხილია და უფრო იხრება ივანე ჯავახიშვილის პოზიციისკენ, რომლის თანახმადაც საქართველოში, მართალია იყო, მაგრამ არ ყოფილა დასრულებული სახის რენესანსი.

ჩვენი აზრით, საკითხისადმი ასეთი მიდგომა წარმოაჩენს მიხეილის, როგორც მეცნიერისა და პიროვნების, კიდევ ერთ ღირსებას: ამაღლდეს საკუთარ თავზე, უარი თქვას მის მიერ ადრე გაზიარებულ თუ განვითარებულ შეხედულებებზე და მხარი დაუჭიროს შეიძლება ნაკლებად მიმზიდველ, მაგრამ მისთვის უფრო გამართლებულ პოზიციას. სხვა საკითხია, არის თუ არა ეს სწორი, ჭეშმარიტი პოზიცია. ამ შემთხვევაში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ იმაზე, რომ ავტორი მართალია საკუთარი თავის წინაშე. იგი შინაგანად მეცნიერული კეთილსინდისიერებით, ზნეობრივად მოქმედებს.

მ. მახარაძის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობიდან აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ევროპის რეგიონული ასამბლეის სესიაში, რომელიც გაიმართა 2007 წლის 13-15 სექტემბერს ქ. სტრასბურგში. 13 სექტემბერს სესიაზე გამოვიდა მოხსენებით – „რეგიონული დემოკრატია აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე ცვლილებების ფონზე“. მოხსენებას მაღალი შეფასება მისცა პოლონეთის დელეგაციის წევრმა.

2008 წელს აჭარის არ დელეგაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა მ. მახარაძე, ბულგარეთის ქ. ვარნაში მონაწილეობა მიიღო შავი ზღვის აუზის ქვეყნების კონფერენციაში. კონფერენციაზე ოფიციალურად დაფუძნდა „შავი ზღვის ევრორეგიონი“ და 28 სექტემბერს ხელი მოეწერა ორგანიზაციის დეკლარაციას. მ. მახარაძე კი აირჩიეს ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად. მას ეს პოსტი ეკავა 4 წლის განმავლობაში.

მიხეილ მახარაძე ნამდვილი ინტელექტუალია. მან კარგად იცის წიგნის, ბიბლიოთეკის და წიგნზე მუშაობის ფასი. მისივე თქმით, იგი დაბადებული არაა, თორემ გაზრდილია ბიბლიოთეკებში. ათეული წლების წინათ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ სართულზე განთავსებული მშვენიერი ბიბლიოთეკა სხვაგან გადაიტანეს, მიხეილი აღშფოთებას ვერ მალავდა. იგი დასცინოდა იმ უბედურ ჩინოვნიკებს, რომლებსაც უხაროდათ, რომ მათი კაბინეტები ბიბლიოთეკის ნათელ დარბაზში მოაწყვეს. ასევე, როდესაც „ოპტიმიზაციის“ მიზნით, ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას, ფაქტობრივად, გაუქმების საფრთხე დაემუქრა, მიხეილმა, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, ყველაფერი გააკეთა, რომ ბიბლიოთეკა ხელუხლებელი დარჩენილიყო, რომლის ადგილსა და მნიშვნელობას ბათუმელებისთვის (და არა მხოლოდ მათთვის) ვერაფერი შეცვლის. ასევე, მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რათა საფუძველშივე მოხსნილიყო აზრი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზღვისპირა პირველი კორპუსის გასხვისების თაობაზე.

გარემოებათა ცვალებადობის მიუხედავად, მიხეილ მახარაძე ისევ იმ პიროვნებად დარჩა. არც გაჭირვებამ, არც მაღალმა თანამდებობამ, არც პარლამენტის წევრობამ, არც ელიტარულ საზოგადოებაში „ტრიალმა“, არც სამეცნიერო შემოქმედებითმა მიღწევებმა, ვერც გამორჩეულმა სოციალურმა აქტივობამ და საზოგადოებრივმა ყურადღებამ ვერ შეცვალა იგი. მისი პიროვნება არ დაექვემდებარა „ჟამთასვლას“. მიხეილს არასდროს უთამაშია როლი, არასდროს უტარებია რაიმე ნიღაბი. იგი თავიდანვე იყო ჰარმონიული, მთლიანი, ძლიერი პიროვნება, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა გონიერებით, სიდინჯით, პრინციპულობით და ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა. ამასთანავე, ამბობდა და წერდა არაორაზროვნად, ნათლად და ყველასათვის გასაგებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულს კარგად ავსებს მიხეილ მახარაძის ფსიქოლოგიური პორტრეტისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი შტრიხი, რომელიც სწორადაა შენიშნული ფილოსოფოს ანზორ ბრეგაძის მიერ. მიხეილისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში იგი წერს: „გონითი ადამიანი სანთლითაა საძებნი. მე ჩემს კოლეგებში ასეთად მიშა მახარაძე მეგულება. მის ყოფიერებას უმაღლესი გონითი აქტი – სინდისი ანათებს, ქმედებას – უანგარობა, სიკეთეს დათესს და ჩაივლის, მადლობასაც არ მოითხ-

ოვს დავალებულისაგან“. კარგადაა ნათქვამი, ეს მართლაც ასეა.

მიხეილ მახარაძე გაწონასწორებული, უკომპლექსო, შინაგანად თავისუფალი და თავადაც თავისუფლების მოყვარეა. იქნებ ამიტომაც არ უყვარს მაინცდამაინც მკაცრად განსაზღვრული, შემოფარგლული დღის რეჟიმი, თუმცა საჭიროებისამებრ იცავს მას. უაღრესად მიზანსწრაფულია. იგი მომენტურ აწმყოზე, პირად ინტერესებზე ამაღლებული, ჭეშმარიტად შორეული მოტივაციური ქცევის სუბიექტია, რომელიც ძირითადად სოციალური, საზოგადოებრივი მოტივებით ხელმძღვანელობს და ერისა და ქვეყნისათვის საჭირო ღირებულებებს ქმნის.

მ. მახარაძე დაჯილდოებულია ღირსების (2004), ვახტანგ გორგასლის I ხარისხის (2007) და ბრწყინვალების საპრეზიდენტო (2012) ორდენებით. პატრიარქისგან მიღებული აქვს საჩუქრად ძოწით შემკული ჯვარი.

2019 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ – ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის, მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, პროფ. მ. მახარაძე დააჯილდოვა იუნესკოს მიერ დაწესებული საპატიო სიგელით.

მიხეილის წარმატებებთან ასოცირდება, მისი ცხოვრების აწ გარდაცვლილი მეგობარი, თანასკოლელი – ქალბატონი ციალა დავითაძე, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება, ოთხი შვილის აღმზრდელი დედა. აი, რას ამბობს მეუღლის თანადგომასთან მიმართებით თვითონ მიხეილი თავის „სხალთური ჩანახატების“ კრებულში:

„ოჯახის შექმნამდე მოკრძალებული მიზნები მქონდა, მათ შორის, მეცნიერებათა კანდიდატი თუ გავხდებოდი ეს ჩემთვის უმაღლეს მიღწევად მიმაჩნდა. ოჯახის შექმნის შემდეგ, რასაც მივაღწიე, და მივაღწიე საკმაოდ ბევრს, ამაში უდავოდ არის მეუღლის დიდი წვლილი. მის გარეშე, დარწმუნებული ვარ, ამის ნახევარი წარმატებაც არ მექნებოდა“. ვერაფერს იტყვი, მეუღლის თანადგომისა და დამსახურების ლამაზი, რაინდული შეფასებაა.

ასეთია, მოკლედ მიხეილ მახარაძის – მრავალმხრივ ნაყოფიერი შემოქმედის, ფილოსოფიის ჭეშმარიტი პროფესორის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა, რომელიც დღესაც წარმატებით გრძელდება. ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი მეცნიერების, ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

ჭოროხი 5

2021

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2021
malkhaz.pagava@mail.ru